К 90 мл сточной воды добавляли 10 мл концентрированного бульона. К смеси добавляли культуру и инкубировали в течение 18 ч при 37°С. Полученную смесь центрифугировали 30 мин при 5000 g и фильтровали через мембранные фильтры Millipore с размером пор 0,8μм + 0,45μм [7].

Количественное и качественное определение бактериофагов – по методу Грациа и Аппельмана. [7]. Получение клонов фагов "чистых" линий проводили методом отбора негативных колоний. Отбор проводили 4-5-кратно [15]. Размножение клонов фага, для получения фаголизатов с высокими титрами, использовали метод, описанный Yesaitis [15].

Концентраты фагов получали двухслойным методом на чашках Петри. Очистку и осаждение проводили методом дифференциального центрифугирования при 5 000 g / 20 000 g / 5 000 g [7].

Электронномикроскопические исследования бактериофагов проводили с применением негативного контрастирования препаратов из очищенных концентратов. Препараты диализировали и наносили на сетки с амилацетатной подложкой. Контрастирование проводили уранилацетатом. [7]. Реакция нейтрализации фага, адсорбция, латентный период и урожайность были исследованы по классическим методам, описанным Адамсом [7]. Диапазон литического спектра действия исследовали с применением Spot-Test [11].

Выделение фаговой ДНК производили методом слабощелочной депротеинизации по стандартной методике [2].

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

Нами изучено 80 штаммов S. marcescens. Из них 60 штаммов свежевыделеных, из крови и из кала больных новорожденых детей, а остальные из собственного банка. Бактериоскопическое изучение штаммов-изолятов показало, что все они подвижны, с перитрихальным расположением жгутиков, все изоляты являются грамм-отрицательными палочками. Глюкозу штаммы ферментируют с образованием кислоты и газа, ферментируют сахарозу и сорбит, декарбоксилируют лизин и орнитин, гидролизируют (разжижают) желатину; сероводород не образуют, все исследованные штаммы индолоотрицательны.

Исходя из данных литературы, род Serratia, который принадлежит к трибе Klebsiellae, положителен в реакции Фогес-Проскауера [3, 9, 13]. Представленная реакция является одним из ключевых диагностических тестов для данных

бактерии. По этому тесту нами были исследованы все 80 изолятов. Опыты позволили установить, что все отобранные бактериальные культуры S. marcescens дают положительную реакцию Фогес-Проскауера.

Особо важным тестом при изучении штаммов, применяемых для выделения и размножения терапевтических фагов, является установление оптимума роста культур. Бактерии S. marcescens являются факультативными анаэробами – их температурный оптимум роста 25-37°С. Способностью образования розовато-красного водо-нерастворимого пигмента продигиозана обладали 33,3% изученных нами изолятов. В большинстве случаев образование пигмента наблюдали после хранения на различных питательных средах. Именно в связи с наличием специфического пигмента, эти бактерии часто применялись в качестве комменсалов при установления загрязнения окружающей среды. Часть штаммов (50%) обладали способностью гемолиза. Нами установлено, что способность образования продиогиозана не связана с факторами, определяющими патогенность S. marcescens. В этой связи следует обратить внимание на то, что 50% выделеных нами от больных штаммов S. marcescens обладали способностью гемолиза, независимо от наличия пигмента, так как процентное соотношение S. marcescens гемолитических штаммов среди пигментирующих и непигментирующих вариантов почти идентично. Установлено, что помимо наличия гемолизинов, S. marcescens обладает способностью образования гидролизных энзимов – липазы, желатиназы и ДНК-азы. По данным показателям эти микроорганизмы являются уникальными среди семейства Enterobacteriaceae.

Результаты исследования на антибиотикочувствительность показали, что из 23 антибиотиков, примененных нами в опытах, только к 9 удалось установить различную степень сенситивности: ампициллин – 0,7%, карбенициллин – 2,1%, канамицин – 0,7%, гентамицин – 3,5%, Тетрациклин – 1,4%, эритромицин – 5,0%, левомицетин – 3,5%, полимиксин – 25%, сизомицин – 50%. К остальным 14 антибиотикам наши изоляты оказались резистентными.

Предварительное изучение чувствительности штаммов S. marcescens с коммерческими препаратами бактериофагов, показало, что к препаратам компании "Биохимфарм" они малочувствительны.

Выделение бактериофагов из сточных вод проводили в различные периоды года. Оптимальным оказался период с мая по октябрь. Полученные фильтраты испытывались с индикаторными штаммами, а затем со всеми штаммами нашего банка. Резистентные ко всем фильтратам штаммы отбирали для повторного засева [7, 12]. Последующая работа проводилась в двух направлениях: отбор и реанимация уже существующих фагов из банка Лаборатории таксономии и селекции фагов (11); выделение и селекция новых фагов с высоким терапевтическим потэнциалом.

Было реанимированно 7 клонов из 12 фагов (комплект Serratia фагов). Изучение их диапазона действия на гомологичных штаммах показало, что эти фаги обладают не очень широким диапазоном действия. (Таблица 1)

Сопоставление спектра литического действия имеющихся в нашем распоряжении фагов S. marcescens показало, что они лизируют от 11,6 до 45%, лучшими показателями обладали фаги SA2 и SA3, доля лизированных этими фагами штаммов равнялась 41,0-45,0%. Вышеуказанные клоны пассировались на свеже-

выделенных штаммах, что дало нам возможность расширить диапазон их действия. Для получения более эффективных фагов, выделяли новые фаги из сточных вод коллектора центральной городской клиники. Для засева были подобраны штаммы, резистентные к фагам, уже имеющимся в нашем распоряжении. В каждую пробу воды засевали по 5 резистентных и 1 слабочувствительному штамму. Оптимальный подбор штаммов для засева показал, что уже в исходных фильтратах наблюдалась видовая специфичность фагов. Выделение фагов проводили по методу клонирования, по характеру негативных колоний. Клонирование проводили 4-5-кратно. Было выделено 5 новых фагов S. marcescens. Выделеные клоны были обозначены порядковыми номерами. Спектра литического действия новых фагов был исследован со всеми имеющимися штаммами. Результаты экспериментов показали (Таблица 2), что из выделенных 5 клонов – SM1 N, SM2 N, SM3 N, SM4 N и SM5 N, 4 фага обладали наиболее высокой активностью.

Таблица 1

Диапазон действия отобранных фагов на штаммах S. marcescens (из банка Лаборатории селекции и таксономии фагов)

Наименование фагов Serratia marcescens	Количество бактериальных штаммов	Титр фага, корп/мл	Лизированные штаммы, %
SA 1	80	$2 \cdot 10^{10}$	25,0
SA 2	80	$5 \cdot 10^{9}$	41,0
SA 3	80	$1 \cdot 10^{9}$	45,0
SM 3	80	$3 \cdot 10^{9}$	32,9
SM 4	80	$3 \cdot 10^{10}$	16,0
SM 5	80	$4 \cdot 10^{10}$	11,6
SM 6	80	$2 \cdot 10^{9}$	25,0

Таблица 2

Диапазон литического действия новых фагов на штаммах S. marcescens

Фаги	Количество проверенных штаммов	Доля лизированных штаммов, %
SM1 N	80	78,8
SM2 N	80	70,5
SM3 N	80	58,8
SM4 N	80	81,2
SM5 N	80	14,7

Селекционированные нами новые фаги, вместе с семью отобранными из лабораторного банка, составили комплект из 11 фагов, оптимальных по спектру литического действия.

В последующих опытах проведено пассирование отдельных клонов на резистентных и слаборезистентных штаммах. Размножение клонов проводили из одной негативной колонии в условиях слабой аэрации, на качалке. Такой, модифицированный нами, метод размножения фагов позволяет провести добавочное клонирование и обеспечивает получение высокоактивных фаголизатов значительно облегченным способом. Из селекционированных фагов были получены соответствующие фаголизаты с содержанием $1 \cdot 10^9$ до $2 \cdot 10^{10}$ корп/мл. Проведен скрининг всех фагов со всеми свежевыделеными штаммами. Сопоставление данных показало, что все фаги, включая и селекционированные новые клоны, взаимно дополняют друг друга, что дает возможность значительно расширить диапазон действия при конструировании лечебного фага. Нами была, также определена устойчивость Serratia фагов к влиянию различных pH и температуры. Опыты показали, что фаги жизнеспособны в пределах 3,5-8,0 pH, а инактивация под влиянием температуры происходит при 67-75°C. Так как конечная цель нашего исследования состоит в создании лечебно-профилактических препаратов бактериофагов, мы сочли обязательным изучить действие Serratia фагов на представителя нормальной микрофлоры человеческого кишечника – штамме E.coli. Было показано, что штамм E.coli M17 не чувствителен к фагом Serratia, что позволяет использовать этот фаг для создания лечебно-профилактического бактериофага.

Для качества лечебного препарата немаловажное значение имеют и такие факторы, как серологические свойства лечебного фага. При этом, необходимо исследовать серологические свойства каждого компонента, входящего в состав лечебного фага. Большое значение имеет исследование этапов взаимодействия вируса с клеткой-хозяином [1, 4, 5, 6, 14, 15, 16, 17].

При изучении новых лечебных фагов необходимо определить некоторые, наиболее важные, таксономические критерии систематики фага. Для изучения морфологических свойств фагов были получены очищеные высококонцентрированные препараты всех, отобранных нами, 11 фагов S. marcescens,.

Концентраты фагов получали двухслойным методом на чашках Петри. Смеси для засевов готовили двумя методами, методом Херши [7] и модифицированным нами методом засева отдельных колоний фагов, дающим возможность визуально контролировать морфологию каждого засеянного клона. Полученный смыв очищали и осаждали методом дифференциального центрифугирования – 5 000 g / 20 000 g / 5 000g. Осадок ресуспендировали в различных растворителях, в зависимости от поставленной задачи. Были получены по две серии концентратов отобранных лечебных фагов на штамме-хозяине S. marcescens:

SA1-277 – $2 \cdot 10^{12}$ корп/мл	SM6-754 – $3 \cdot 10^{11}$ корп/мл
SA2-277 – $3 \cdot 10^{12}$ корп/мл	SM1N-277 – $6 \cdot 10^{11}$ корп/мл
SA3-277 – $3 \cdot 10^{12}$ корп/мл	SM2N-277 – $4 \cdot 10^{11}$ корп/мл
SM3-573 – $9 \cdot 10^{10}$ корп/мл	SM3N-277 – $3 \cdot 10^{11}$ корп/мл
SM4-277 – $3 \cdot 10^{10}$ корп/мл	SM4N-277 – $1 \cdot 10^{11}$ корп/мл
SM5-277 – $5 \cdot 10^{11}$ корп/мл	

Морфологию бактериофагов исследовали методом негативного контрастирования. Препараты диализировали против стерильной дистиллированной воды и наносили на сетки с амилацетатной подложкой. Изучены морфология и размеры вирионов всех 11 фагов.

Изучение морфологии фага SA1 показало, что вирион фага состоит из головки и отростка; головка гексагональная, 55 × 55 нм. Отросток сложного строения заканчивается хорошо сформированной базальной пластинкой, видны короткие субструктуры, ответственные за необратимую фазу адсорбции фага на клетке. Размер отростка 111,1 нм. По международной классификации фаг принадлежит к семейству Myoviridae, морфотип A1. Фаг SA3 состоит из довольно крупной для данного семейства головки 55 × 55нм со слабо сформированным коротким отростком, морфологически является типичным представителем семейства Podoviridae, морфотип C1. Изучение строения и размеров фагов SM3, показало, что его головка гексогональная, 37 × 37нм, нечетко обозначеная коротким отростком. Фаг SM3 является представителем семейства Podoviridae, морфотип C1. Фаг SM4 представитель семейства Myoviridae, морфотип A1. Головка изометрическая, отросток сложного строения, 98нм. Фаг SM6 семейство Siphoviridae, морфотип B1, головка изометрическая с длинным несократимым отростком, базальная пластина не просматривается..

Следующим этапом наших исследований было изучение белков, входящих в состав отдельных структурных элементов фага и установление их генетической регуляции, что расширяет круг задач, выполняемых с помощью иммунологических методов исследования. Присутствие антигенов и их специфичность в отдельных фагах устанавливается высокочувствительными серологическими методами, что со своей стороны предъявляет особые требования к качеству антифаговых сывороток [1]. Серологическая характеристика фагов представляет один из важнейших тестов при таксономии бактериофагов. Кроме того, установление серологического родства и различия между фагами может способствовать рациональному подбору бактериофагов при конструировании новых лечебных препаратов [1, 4, 5, 6, 7]. Антифаговые сыворотки, специфичные к фагам SA1, SM6 и SA3, были получены с применением полного адъюванта Фрейнда. В опытах в качестве антигена применяли очищенные концентраты фагов, приготовленные на физиологическом растворе.

Проведена характеристика фагов по тестам специфичности, активности и стабильности лизиса. Характеристика по морфологическим признакам показала, что фаги принадлежат к различным семействам: Фаг SA1 – Myoviridae, морфотип A1; Фаг SM6 – Siphoviridae, морфотип B1; Фаг SA3 – Podoviridae, морфотип C1. Таким образом, в начальных опытах исследования серологии фага, мы применяли по одному представителю из каждого семейства фагов S. marcescens. Полученые сыворотки – антифаговая сыворотка (АФС) – SA1, при взаимодействии с гомологичным фагом SA1 нейтрализует его при разведении в довольно широких пределах, во всех разведениях подчиняясь кинетике реакции первого порядка. Подчиняясь "закону процентного соотношения", он не присущ ни одной другой серологической реакции [8]. Аналогично, АФС – SM6 нейтрализует фаг SM6, а АФС SA3 нейтрализует гомологичный фаг SA3. Во всех случаях нейтрализация подчиняется кинетике реакции первого порядка. Показатели констант нейтрализации с гомологичными фагами равнялись: АФС SA1 – $K = 34{,}5 min^{-1}$; АФС SM3 – $K = 26{,}3 min^{-1}$; АФС SA3 – $K = 42{,}4 min^{-1}$. Для сравнительной характеристики других фагов S. marcescens применяли перекрестную реакцию нейтрализации сывороток с морфологически неродственными и родственными фагами.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Исследование сыворотки SA1 с фагом SM4 показало, что в перекрестной реакции нейтрализации, константа нейтрализации ровняется К=6,5 min^{-1}, что говорит о наличии у фагов SA1 и SM4, принадлежащих к одному семейству – Myoviridae, морфотип A1, общих белков, расположенных в адсорбционном аппарате данных фагов. Однако, исследования в перекрестной реакции нейтрализации с остальными фагами S. marcescens показали, что ни один из этих фагов не инактивируется исследуемой сывороткой. Следовательно, все вышеперечисленые фаги являются серологически неродственными.

Итак, проверка перекрестной реакции нейтрализации показала полное отсутствие способности сывороток блокировать фаги, принадлежащие к гетерологичным семействам, а также и большинство фагов, принадлежащих к гомологичным семействам и морфотипу. Последнее говорит о различии в белках некоторых структурных элементов фагов, принадлежащих к одному семейству и даже к общему морфотипу.

При изучении фага, применяемого с лечебной целью, важнейшим тестом является определение способности фага репродуцироватся на бактериальной клетке [7, 16]. Первым этапом взаимодействия фага с бактериальной клеткой является адсорбция. Определение степени адсорбции фага на клетке-хозяине проводили путем определения количества неадсорбированного фага. Константу скорости адсорбции вычисляли по формуле:

$$K = \frac{2,3}{Bt} \cdot \log \frac{P_0}{P},$$

где К – константа скорости адсорбции (в мл/min^{-1});

t – время адсорбции;

Po – количество фага в начальный момент времени;

P – количество неадсорбированного фага за время t;

B – концентрация бактерий в 1мл.

Адсорбцию фагов определяли прямым методом по числу неадсорбированного фага. В Таблице 3 представлены данные адсорбции бактериофагов на штаммах-хозяевах.

Таблица 4

Показатели скорости адсорбции фагов Serratia marcescens на штаммах-хозяевах S. marcescens

Фаги	Бактериальные штаммы Serratia marcescens	Множественность заражения	Адсорбция		К/мл/мин
			Время	%	
SA1	277	1:10 (0,1)	5’	91,5	$4,92 \cdot 10^{-9}$
SM4	277	1:10 (0,1)	5’	97,3	$7,2 \cdot 10^{-9}$
SM2N	277	1:10 (0,1)	10’	74,0	$2,6 \cdot 10^{-9}$
SM6	277	1:10 (0,1)	10’	85,6	$7,2 \cdot 10^{-9}$

Для более совершенной классификации новых фагов, мы провели исследование генетического материала, с помощью рестрикционных эндонуклеаз.

Были выделены ДНК фагов S. marcencens SA1, SA3, SM5, SM3 и SM2N и определён характер воздействия рестрикционных эндонуклеаз: E.coR V(GATATC), Bam HI (GGATCC), Sal I(GTCGAC) на ДНК перечисленных фагов.

Эксперименты показали, что расщепление ДНК фагов SM3 и SA3 эндонуклеазами E.coR V, Sal I происходит на фрагменты одинаковых молекулярных масс, тогда как, Bam HI не вызывает гидролиза этих же ДНК. Гидролиз ДНК фага SM5 используемыми рестриктазами носит обособленный характер. ДНК фага SM5 чуствительна к рестриктазе Bam HI и проявляет резистентность по отношению к двум другим ферментам. Эти свойство указывают на различие между данными фагами. Из представленных данных можно заключить, что фаги SM 3 и SA 3 близкородственны, тогда как фаг SM5 – отличается от них .

Далее мы провели сравнительное изучение чувствительности ДНК фагов, SA1, SA3 и SM2N по отношению к тем же эндонуклеазам – E.coR V, Bam HI, Sal I. Результаты исследований показали, что ДНК фагов SMN2 и SA3 имеют одинаковую чувствительность к воздействию рестриктаз, а ДНК фага SA1 отличаеться от них.. На основании полученных результатов нами выбраны ДНК фагов SM3, SMN2, SM5 SA1, которые подвергли гидролизу рестриктирующими эндонуклеазами MspI(CCGG) и DpnI(G^{me}ATC). Результаты опытов показали, что рестриктирующая эндонуклеаза MspI вызывает расщепление всех четырех фаговых ДНК, а рестриктаза DpnI гидролизирует только ДНК фага SM5, что указывает на присутствие в ДНК данного фага метилированного аденина.

Эти результаты находятся в согласии с морфо-физиологическими показателями изученных фагов.

Полученные данные дают нам возможность продолжить работу по дальнейшему тестированию (эффективность посева, свойство фага репродуцироватся на бактериях инактивированных ультрафиолетом) выбранных фагов, после чего станет возможным конструирование высокоэффективного лечебного препарата бактериофага.

ЛИТЕРАТУРА

1. *Гачечиладзе К.К. Чанишвили Т.Г.* Изв. АН ГССР, сер. биол., 1989, 15, 179-189.
2. *Маниатис Т., Фрич Э., Сэмбрук Дж.* Молекулярное клонирование. Москва, Мир, 1984.
3. *Покровский А.Г.* Медицинская микробиология. Москва, Медицина, ГЭОТАР, 1998.
4. *Чанишвили Т.Г.* В кн.: Материалы XV Всесоюзного Съезда ЭНИ, 1971, с-231-232.
5. *Ackerman H.W.* Encyclopedia of Microbiology. V.1, 1992.
6. *Ackerman H.W.* Arch. Virol., 2001, 146, 843-857.
7. *Adams M.H.* Bacteriophages. New York, Interscience Publ. 1959.
8. *Andrews C.H. Elford W.Y.* British J. Exptl.Pathol., 1933, 14, 376.
9. *Bargey's* Manual of Determinative Bacteriology. Williams and Wilkins, 1994.
10. *Carlton R.M.* Arch. Immun. Therap. Experim., 1999, 47, 267-274.
11. *Carlson K., Miller E.* T4 General procedures. Philadelphia, 1994, 427-437.
12. *D'Herelle F.* Бактериофаг и феномен выздоровления. Тбилиси, Изд-во ТГУ, 1935.
13. *Koneman E.W.* Diagnostic Microbiology. Philadelphia, J.B. Lipincott Company, 1994.
14. *Karam I.G.* 1994, Molecular biology of bacteriophage T4., Am. Soc. Microbiol., Washington, D.C. 1994.
15. *Klaus. S., Kruger D., Meyer J.* Bacterienviran. Iena, Gustav Fischer Verhag, 1982.
16. *Kutter E.* Phage Therapy: Bacteriophages as Antibiotics. Olympia, WA, Evergreen State College, 1997.
17. *Yesaitis M.A.* J. Gen. Physiol., 1961, 44, 125-160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

SERRATIA MARCESCENS-ის სამკურნალო-პროფილაქტიკური ბაქტერიოფაგების სელექციის ზოგიერთი ასპექტი

ა. ღოლიჯაშვილი, მ. ძულიაშვილი, კ. გაჩეჩილაძე, თ. მესხი, თ. ბურბუტაშვილი, ნ. ჯაფარაშვილი, ნ. მახარაძე, დ. სარალიძე, ი. ბონდირევი, ნ. სტურუა

ბიოფარმაცევტული კომპანია "ბიოქიმფარმი", თბილისი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

რეზიუმე

უკანასკნელ წლებში გართულდა პირობით-პათოგენური გრამუარყოფითი მიკროორგანიზმებით გამოწვეული (მათ შორის Serratia marcescens-ის მიერ) ინფექციების მკურნალობა, ანტიბიოტიკებისადმი მათი მულტირეზისტენტული ფორმების სელექციის გამო. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალებაა დაავადების ამ გამომწვევების მიმართ ეფექტური ბაქტერიოფაგის პრეპარატების შექმნა. ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა სპეციფიკური S. marcescens ფაგების სელექცია და მათი მორფობიოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებების შესწავლა, თერაპიული მიზნებით გამოყენებისათვის. ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა სხვადასხვა პათოლოგიური მასალიდან გამოყოფილი და საკუთარი ბანკიდან მიღებული 80 შტამი. ფოგეს-პროსკაუერის ტესტის, – ტაქსონომიური, კულტურულ-ბიოქიმიური თვისებების – მიხედვით ეს შტამები იდენტიფიცირებულია, როგორც S. marcescens, Triba Klebsiellae-ს წევრი. დადგენილ იქნა, რომ გარდა ჰემოლიზინებისა შ. მარცესცენს შტამებს გააჩნიათ უნარი წარმოქმნან ორი სახის ჰიდროლიზური ფერმენტი – Дნმ-აზები და ჟელატინაზები, შტამების 33,3% გამოიმუშავებდა მოვარდისფრო-წითელ პიგმენტს – პროდიგიოზანს. ნაჩვენებია, რომ S. marcescens ყველა შტამი გამოირჩევა მრავლობით რეზისტენტობით ანტიბიოტიკების მიმართ, მათ შორის ახალი ანტიბიოტიკებისადმი.სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ იქნა ფაგის ფილტრატები. ინდიკატორული შტამების ოპტიმალურმა შერჩევამ უზრუნველყო სპეციფიკური ფაგების გამოყოფა პირველივე სინჯებში. დადგენილ იქნა მოქმედების დიაპაზონი ცალკეული ფაგების კლონებისათვის, რომელიც შეადგენდა 32,9-დან 81%-მდე. ყველა შერჩეული ფაგი ავსებს ერთმანეთს ლიზისური მოქმედების სპექტრისა და დიაპაზონის მიხედვით. მომზადებული მაღალაქტიური კომპონენტები შემდგომ სამკურნალო ბაქტერიოფაგის კონსტრუირებისათვის იქნება გამოყენებული. ფაგების ბიოლოგიური თვისებები გამოკვლევისას დადგინდა, რომ მათთვის დამახასიათებელია გამრავლების პროდუქტიული ციკლი და მაღალი გამძლეობით ხასიათდებიან გარემოს ზოგიერთი ინაქტივაციური ფაქტორისადმი. დადგენილია, რომ ფაგები SA1, SM4 მიეკუთვნება Myoviridae-ს ოჯახს, მორფოტიპი A1; ფაგი SM6 Syphoviridae-ს ოჯახს, მორფოტიპი B1, ხოლო ფაგები SA3, SM4, SM2N Podoviridae-ს ოჯახს, მორფოტიპი C1. გამოკვლეულ იქნა ფაგების სეროლოგიური თვისებები, დადგინდა, რომ ნეიტრალიზაციის რეაქცია ფაგებსა და ჰომოლოგიურ ანტიფაგურ შრატებს შორის ყველა შემთხვევაში რეაქციის პირველი ხარისხის კინეტიკით მიმდინარეობს. დადგენილი იქნა, რომ მორფოლოგიურად განსხვავებული ოჯახების წარმომადგენლები სეროლოგიურად განსხვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებულ ჯგუფებს ეკუთვნიან – არ ბლოკირდებიან ჰეტეროლოგიური შრატებით ჯვარედინი ნეიტრალიზაციის რეაქციის დროს. შესწავლილია ფაგების SA1, SA3, SM3, SM5 და SM2N დნმ-ს მგრძნობელობა რესტრიქციული ენდონუკლეაზების E.coR V (GATATC), Bam HI (GGATCC), Sal I (GTCGAC); Dpnl ($G^{me}ATC$); Mspl (CCGG) მოქმედებისადმი. დადგინდა, რომ რესტრიქტაზული ენდონუკლეაზა Mspl იწვევს ოთხი ფაგური დნმ-ის დაშლას, ხოლო რესტრიქტაზა Dpnl იწვევს მხოლოდ ფაგ SM5-ის დნმ-ს ჰიდროლიზს, რაც მოცემული ფაგის დნმ-ში მეთილირებული ადენინის არსებობაზე მიუთითებს.

SOME ASPECTS OF SELECTION OF CURATIVE-PREVENTIVE BACTERIOPHAGES OF *SERRATIA MARCESCENS*

A.O. Golidjashvili, M.G. Dzuliashvili, K.K. Gachechiladze, T.Sh. Meskhi, T.A. Burbutashvili, N.Sh. Djaparashvili, N.P. Makharadze, D.P. Saralidze, I.I. Bondirev, N.A. Sturua

Biopharmaceutical company "Biochempharm", Tbilisi; G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

In the last decades, because of emergence of multi-resistant, conditionally-pathogenic gram-negative microorganisms (among them *Serratia marcescens*) strains, treatment of infections caused by these organisms became very complicated. Creation of effective bacteriophage preparation against these organisms appears to be one of the possible solutions of the problem. The main goal of our work was selection and investigation of some morphological, biological and physiological properties of specific Serratia phages for therapeutic application. Investigations of taxonomy, cultural, and biochemical properties of 80 strains isolated from various sources and from own Strain Bank revealed the strains of *S. marcescens*, tribe *Klebsiellae* by Vogas Proskauer key test. It has been established that *S. marcescens* strains, besides the presence of hemolysins, can produce two hydrolytic enzymes – DNAase and gelatinasa, and 33,3% of these strains can produce pinky-red pigment – prodigiosan. It was shown that all *S. marcescens* strains have distinct multiple resistance against antibiotics, some newly created antibiotics included. Polymixins and sizomicin represent an exception.

The optimal selection of indicator strains make it possible to isolate specific phages already in initial samples. The activity ranges of individual phage clones that are able to lyse 32,9 – 81 % strains, were established. It was shown that all selected phages have the above properties and have reciprocal activity upon specificity spectrum. Highly active clones for creation of clinically active polyvalent phages in our following works were hence prepared. Investigation of biochemical properties of the phages showed that they have productive multiplication cycle and high resistance against some environmental factors. It was also proven that phage virions SA1, SM4 that belong to appendix phage group have binary structure symmetry, with various head sizes, having contractile appendix sheath, are related to family *Myoviridae*, morphotype A1; phage characterized with elastic non-contractile appendix – SM6 belongs to *Siphoviridae* family, morphotype B1, while phages SA3, SM3, SM2N having short undifferentiated appendix, belong to *Podoviridae* family, morphotype C1.

It was shown that neutralization reaction of phages with homologous antiphage sera occurs according to kinetic reaction of first order. It was found that representatives of various morphological families belong to various serological groups – they are not blocked by heterologous sera in cross-neutralization reaction. Sensitivity of DNA of phages SA1, SA3, SM3, SM5 and SM2N against the influence of restrictive endonucleses: EcoRV (GATATC), BamH1 (GGATCC), Sal1(GTCGAC), Dpnl(G^{me}ATC), Mspl(CCGG) was investigated. It was found that restrictive endonuclease Mspl splits all four phage DNAs, while restrictase Dpnl hydrolyses only DNA of phage SM5, which points out the presence of methylated adenine in the DNA of the given phage.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

ტრიოვიტის მეგადოზების გავლენა ვირთაგვის სისხლისა და სათესლის ეპრ სპექტროსკოპიულ პარამეტრებზე

ე. ეკალაძე, ნ. თხილავა, ე. რაფავა, მ. ხიზანიშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 11.10.2004

თანამედროვე მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ანტიოქსიდანტების მეგადოზებით მკურნალობა და პრევენცია. თუმცა, არსებობს აზრი, რომ ანტიოქსიდანტების მაღალი დოზებით გამოყენების მართებულობა საეჭვოა და აუცილებლად საჭიროებს შემდგომ კვლევას. ჩვენ გამოვიკვლიეთ ანტიოქსიდანტური პრეპარატის – ტრიოვიტის გავლენა ზრდასრული და ახალშობილი ვირთაგვის სისხლისა და ზრდასრული მამრი ვირთაგვის სათესლე ჯირკვლის ეპრ-სპექტროსკოპულ მაჩვენებლებზე. ჩვენი მონაცემებით, ტრიოვიტის ჰიპერდოზირებამ შეცვალა ვირთაგვის ქსოვილების ეპრ მაჩვენებლები: ზრდასრული მამრის სათესლის ქსოვილში მიტოქონდრიული სუნთქვის ინტენსიურობა დაქვეითდა, შემცირდა ჟანგბადის თავისუფალი რადიკალებისა და ანტიოქსიდანტური ფერმენტების რაოდენობა. ზრდასრული ცხოველების სისხლის ეპრ-სპექტში მკვეთრი ცვლილებები არ გამოვლინდა. ცვლილებები შედარებით მკვეთრი იყო ახალშობილ ვირთაგვაში, რომელიც ტრიოვიტით დატვირთული დედის რძით იკვებებოდა. მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე, ტრიოვიტისა და, საერთოდ, ანტიოქსიდანტების დანიშვნისას ფრთხილი დოზირებაა საჭირო, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს ლაქტაციის პერიოდში მყოფ ახალშობილს ეხება.

საკვანძო სიტყვები: ანტიოქსიდანტი, სუპეროქსიდდისმუტაზა, ცერულოპლაზმინი, ტრიოვიტი, ოქსიდაციური სტრესი, ვირთაგვები

ანტიოქსიდანტები მონაწილეობენ თავისუფალი რადიკალების განეიტრალებასა და გაუვნებელყოფაში, რითაც უზრუნველყოფენ ორგანიზმის დაცვას საზიანო გარემო ფაქტორებისაგან. დღეისათვის მიმართავენ ანტიოქსიდანტების მეგადოზების გამოყენებას, როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკის მიზნით [6]. ამავე დროს, თანამედროვე ლიტერატურაში არსებული ალტერნატიული აზრით, ანტიოქსიდანტების მაღალი დოზების გამოყენების მართებულობა საეჭვოა და დამატებით კვლევას საჭიროებს [6].

ტრიოვიტის შემადგენელი ყველა კომპონენტი (β-კაროტინი, ვიტამინები E, C და სელენი) ანტიოქსიდანტია [4]. მათგან E ვიტამინი განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერია და მის უკმარისობას ხშირად მოყვება ახალშობილთა ანემია, ჰემოგლობინის პროდუქციის და ერითროციტების სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითების გამო [4]. ამგვარად, ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებს ხშირად ენიშნებათ ტრიოვიტი. აღნიშნული პრეპარატის მეგადოზები გამოიყენება, აგრეთვე, სხვადასხვა მძიმე დაავადებების თავიდან აცილების მიზნითაც.

ჩვენ მიზნად დავისახეთ, გამოგვეკვლია, როგორ მოქმედებს ტრიოვიტის მეგადოზები ზრდასრული და ახალშობილი ვირთაგვის სისხლზე და ზრდასრული მამრი ვირთაგვის სათესლე ჯირკვლის ეპრ სპექტროსკოპულ პარამეტრებზე.

მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ ზრდასრული და ახალშობილი თეთრი ვირთაგვები. რვა დღის განმავლობაში ზრდასრული ვირთაგვები (წონით 200-250 გრ) 2-2 დღის შუალედით სამჯერ იღებდნენ ტრიოვიტის ნახევარ კაფსულას (ვიტამინები: A – 5 მგ, E – 20 მგ, C – 50 მგ; სელენი – 25 მკგ), ანუ თერაპიულ დოზაზე 2-ჯერ მეტს. ასეთივე რეჟიმით იტვირთებოდა ლაქტაციის პერიოდში მყოფი დედა ვირთაგვა.

პრო- და ანტიოქსიდანტური სისტემის კვლევა წარმოებდა ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსით თხევადი აზოტის ტემპერატურაზე (–196°). საკვლევი მასალა იყო ცხოველის სისხლი და სათესლე ჯირკვალი. თავისუფალი NO-ს შემცველობა ისაზღვრებოდა ეპრ მეთოდით, სპინხაფანგის – ნატრიუმის დიეთილდითიოკარბამატის (Sigma) საშუალებით. სუპეროქსიდდისმუტაზის აქტივობაზე ვმსჯელობდით Mn^{2+}-ის ეპრ სიგნალის, ცერულოპლაზმინის აქტივობაზე – Fe^{3+}-ტრანსფერინის, მეტჰემოგლობინის (MetHb) – Fe^{2+}-იონების, თავისუფალი რადიკალების და აღდგენილი NADH-ის შემცველობაზე – შესაბამისი ეპრ სიგნალების ინტენსივობის საფუძველზე.

შედეგები და მათი განხილვა

ცხრილში (ცხრილები 1 და 2) მოცემულია ვირთაგვების სისხლისა და სათესლე ჯირკვლის პარამაგნიტური ცენტრების ცლილებები ტრიოვიტით დატვირთვის ფონზე.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, დაჟანგული ცერულოპლაზმინის სიგნალის ინტენსივობა ტრიოვიტით დატვირთული მამრების სისხლის ეპრ სპექტრში იზრდება 15%-ით, მდედრებში – 14%-ით და ახალშობილებში – 45%-ით.

ცნობილია, რომ ცერულოპლაზმინი სისხლის შრატის პოლიფუნქციური, სპილენძის შემცველი ცილაა და სუპეროქსიდისმუტაზური, პეროქსიდაზური და ამინოოქსიდაზური აქტივობით ხასიათდება [3]. გარდა ამისა, დაჟანგული ცერულოპლაზმინი, ჟანგავს რა რკინას, ხელს უწყობს მის ჩართვას აპოტრანსფერინში, რის შედეგადაც სისხლის შრატში მცირდება Fe^{2+}-იონების შემცველობა [3]. ახალშობილ ვირთაგვებში დაჟანგული ცერულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლაზმინის ეპრ სიგნალის მომატება და Fe^{3+}-ტრანსფერინის ეპრ სიგნალის შემცირება მიუთითებს სისხლის ანტიოქსიდანტური უნარის დაქვეითებაზე. რაც შეეხება Mn^{2+}, Fe^{2+} და MetHb, მათი ეპრ სიგნალის ინტენსივობა არ იცვლება არც ზრდასრულ და არც ახალშობილ ვირთაგვებში. აზოტის ჟანგის ეპრ სიგნალის ინტენსივობა კი მცირდება (ცხრილი 1).

ცხრილი 1

სისხლის პარამაგნიტური ცენტრების ცვლილებები ტრიოვიტით ჰიპერდოზირების დროს

		MtHb	ცერულო-პლაზმინი	Fe^{3+}-ტრანსფე-რინი	NO	Mn^{2+}	Fe^{2+}
მამრი	ნორმა	–	20,0	30,0	16,0	–	–
	ტრიოვიტი	–	23,5 P < 0,01	30,1 P > 0,05	14,0 P < 0,01	–	–
მდედრი	ნორმა	–	20,3	30,0	16,5	–	–
	ტრიოვიტი	–	22,8 P < 0,01	31,2 P > 0,05	14,3 P < 0,001	–	–
ახალშობილი	ნორმა	–	20,8	30,0	16,2	–	–
	ტრიოვიტი	–	29,0 P < 0,001	27,0 P < 0,01	14,0 P < 0,001	–	–

ცხრილი 2-დან ჩანს, რომ მამრი ვირთაგვების სათესლე ჯირკვლის ეპრ-სპექტრში გაჩნდა Mn^{2+}-ის სიგნალი და NO-ს სიგნალის ინტენსივობა შემცირდა 31%-ით. ამასთან, აღინიშნა ციტოქრომ P_{450}-ის ეპრ სიგნალის ინტენსივობის 21%-ით გაზრდა, FeS-ცენტრების სიგნალის შემცირება 20,6%-ით. სათესლე ჯირკვალში FeS ცენტრების ეპრ სიგნალი განპირობებულია ადრენოდოქსინით, რომელიც აღადგენს რა ციტ.ოქრომ P_{450}-ს, აკატალიზებს სტეროიდების ჰიდროქსილირებისა და ქოლესტეროლის პროგნენოლონად გარდაქმნის რეაქციებს. მაშასადამე, ჩვენს მიერ მიღებული შედეგი სტეროიდოგენეზის პროცესში ელექტრონული სატრანსპორტო ჯაჭვის დარღვევასა და ე.ი. სტეროიდოგენეზის მოშლაზე მიუთითებს.

ცხრილი 2

სათესლის პარამაგნიტური ცენტრების ცვლილებები ტრიოვიტით ჰიპერდოზირების დროს

მამრი	ციტოქრომ P_{450}	FeS	Mn^{2+}	NO
ნორმა	23,5	31,5	–	14,5
ტრიოვიტი	28,5 P < 0,01	25,1 P < 0,01	9,2 P < 0,001	10,0 P < 0,001

ციტოქრომ P_{450}-ის ფუნქციობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მემბრანების ფოსფოლიპიდური კომპონენტი. ამ უკანასკნელის ნორმალური ფუნქციობისათვის აუცილებელია მუდმივი განახლება, რასაც ფოსფოლიპაზა A_2 ახორციელებს. აღნიშნული ფერმენტი კი თავისუფალი რადიკალებით აქტიურდება [4]. ტრიოვიტის მეგადოზებმა, სავარაუდოდ, სრულიად მოსპო თავისუფალი რადიკალები, რამაც მემბრანის ფოსფოლიპიდების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ცვლილება გამოიწვია. შედეგად, დაჟანგული ციტოქრომ P_{450}-ის კონცენტრაციამ და, შესაბამისად, ციტოქრომ P_{450} ეპრ სიგნალის ინტენსივობამაც მოიმატა (ცხრილი 2). შეფერხდა სტეროიდოგენეზში მონაწილე სუბსტრატების (მათ შორის ქოლესტერინისა და ცხიმოვანი მჟავების) ბიოტრანსფორმაციის პროცესი, რაც ხელს უწყობს სისხლში აღნიშნული ნაერთების რაოდენობის მომატებას. ამასთან, ცნობილია, რომ ანდროგენები ააქტიურებენ ჰეპატიკური ლიპაზის მოქმედებას [4]. ჩვენ შემთხვევაში, რადგან ანდროგენეზის პროცესი დაქვეითებულია, შესაბამისად, ჰეპატიკური ლიპაზის აქტივობაც ქვეითდება და, შედეგად, სისხლში ქოლესტერინის რაოდენობა იმატებს [1].

ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების დაბალი კონცენტრაცია არეგულირებს ანტიოქსიდანტური ფერმენტების (მათ შორის SOD) გენების ექსპრესიას [2, 5]. რეაქტიული ჟანგბადის ბალანსის დარღვევა ორგანიზმში ანტიოქსიდანტური ფერმენტების უკმარისობას განაპირობებს [2, 5]. ეს უკანასკნელი ჩვენ მონაცემებში ვლინდება Mn^{2+} ეპრ სიგნალის ინტენსივობით ვირთაგვის სათესლეებში (ცხრილი 2), რაც Mn^{2+}-შემცველი SOD-ის უკმარისობის შესახებ იუწყება. NO-ს შემცველობის შემცირებაც ჟანგვითი პროცესების პათოლოგიური დაქვეითების შედეგი უნდა იყოს.

ამრიგად, ანტიოქსიდანტური პრეპარატის – ტრიოვიტის მეგადოზებმა მნიშვნელოვნად დააქვეითა თავისუფალი რადიკალების რაოდენობა ორგანიზმში, რითაც შეფერხდა თავისუფალი რადიკალების თანაობით მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები, აღინიშნა ცვლილებები ლიპიდურ ცვლასა და პრო- და ანტიოქსიდანტურ სისტემაში. აღნიშნული ცვლილებები განსაკუთრებით მკვეთრია ახალშობილებში.

ვფიქრობთ, რომ პრეპარატ ტრიოვიტისა და, საერთოდ, ანტიოქსიდანტების მეგადოზების დანიშვნისას საჭიროა სიფრთხილე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ლაქტაციის პერიოდში მყოფ დედასა და ახალშობილთან გვაქვს.

ლიტერატურა

1. *ეკალაძე ე.მ, თხილავა ნ., რაფავა ე.* საქ. მეცნ აკად მაცნე, ბიოლ. სერია, 2002, 28, 537-542.
2. *Frei B. et al.* Proc. Nat. Acad. Sci., 1988, 85, 9748-9752.
3. *Lovstad R.A.* Int. J. Biochem., 1981, 13, 221-224.
4. *Mayes P.A.* In: Harper's Biochemistry; 1996.
5. *Vospelnikova N.D.* In: Biochemical Bases of Pathologic Processes, 2000.
6. *Walkins T.R.* In: Antioxidant Status, Diet, Nutrition and Health. 1998, p 479.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВЛИЯНИЕ МЕГАДОЗ ТРИОВИТА НА СПЕКТРОСКОПИЧЕСКИЕ ПАРАМЕТРЫ КРОВИ И СЕМЕННИКОВ КРЫС

Э. Экаладзе, Н. Тхилава, Э. Рапава, М. Хизанишвили

Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

В современной медицине широко используется мегадозное лечение и превенция антиоксидантами. Существует, однако, мнение, что разумность использования антиоксидантов в больших дозах сомнительна и требует дальнейшего исследования. В связи с этим, мы исследовали влияние триовита на биохимию тканей крови и семенников половозрелых и новорождённых крыс. По нашим данным, гипердозировка триовита резко меняет биохимические показатели тканей вышеуказанных органов крыс: интенсивность митохондриального дыхания в тканях семенников половозрелых животных понижалась; так же уменьшалось количество свободных радикалов кислорода и антиоксидантных ферментов (супероксиддисмутазы). ЭПР-параметры крови половозрелых крыс значительно не изменились. Сравнительно резкие изменения отмечались у новорождённых крысят, которые питались молоком матери, обогащенным триовитом. Исходя из полученных результатов, следует соблюдать осторожность при дозировке триовита и, вообще антиоксидантов, особенно, если дело касается новорождённого при грудном кормлении.

EFFECT OF MEGADOSES OF TRIOVIT ON SPECTROSCOPIC PARAMETERS OF THE BLOOD AND TESTES IN RATS

E. Ekaladze, N. Tkhilava, E. Rapava, M. Khizanishvili

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Treatment and prevention with antioxidants in megadoses is widely used in contemporary medicine. However, there is a contrary opinion concerning applicability of the usage of antioxidants in large doses and it is suggested that further investigation is essential. In this regard we studied effect of Triovit – antioxidant preparation – on biochemistry of the rat blood and testes. According to our data, a hyperdoses of Triovit sharply alter biochemical indices in the rat testes: intensity of mitochondrial respiration, as well as amount of free oxygen radicals and antioxidant enzymes (superoxidismutase) decrease in the testes of adult animals. Comparatively sharp changes were observed in the newborn rats, fed by Triovit-loaded milk. Proceeding from the results obtained, we suggest that prescription and dosage of Triovit and the antioxidants in general, should be made carefully, especially when the suckling newborns are concerned.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

საკომუნიკაციო სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის გავლენა ვირთაგვების ქცევაზე

ლ. ვასაძე, ი. მაისურაძე, მ. ნიკოლაიშვილი, თ. სოლოშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი, თბილისი

მიღებულია 11.10.2004

ვირთაგვები, რომლებიც იმყოფებიან საკომუნიკაციო სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის (ემვ) ზემოქმედების ქვეშ, ხასიათდებიან დაბალი ემოციურობით, რაც ვლინდება ღია ველში ფეკალური ბოლუსებისა და ურინაციის ნაკლებობაში, ცენტრალური წრიდან გამოსვლის დროის გაზრდაში და ტრანსლოკაციის დაბალ რაოდენობაში.

საკვანძო სიტყვები: ემვ, მოძრაობითი აქტივობა, საორიენტაციო-კვლევითი ქცევა, სტერეოტიპული ქცევა, ემოციური ქცევა, ვირთაგვები

არამაიონიზებელი გამოსხივება, მიუხედავად მისი გაცილებით ფართო გამოყენებისა, ბიოლოგიური კვლევის ობიექტად (ჰიგიენურ-პრევენციულ ასპექტებში) შედარებით გვიან გვევლინება. ყოფაცხოვრებაში ელექტრომაგნიტური ველების (ემვ) ფართო გამოყენების მიუხედავად, როგორი პარადოქსულიც არ უნდა ეს, ადამიანის ორგანიზმზე სხვადასხვა სიხშირის ემვ-ის ზემოქმედება შესწავლილი არ არის და არც მისი მოქმედების რეალური მექანიზმებია ცნობილი. ცოცხალ ორგანიზმებზე და, პირველ რიგში, მათ ნერვულ სისტემაზე (ნს), მაღალი სიხშირის ემვ-ის გავლენის გარკვევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს [2, 4, 7]. თანამედროვე გამოკვლევებში ხშირად აუცილებელი ხდება გამოსაკვლევი ობიექტის ემოციურ-მოტივაციური სფეროს შეფასება, ვინაიდან ემვ-ის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ბიოლოგიური ეფექტები, რომლებიც რეგისტრირდება ნერვულ, იმუნურ, ენდოკრინულ სისტემებსა და ჰემოპოეზში, ნამდვილად მოწმობენ ნეიროჰუმორულ ძვრებზე და ქემორეცეპტორულ რეაქციებზე [3, 5, 6]. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა საკომუნიკაციო სიხშირის ემვ-ის გავლენა ვირთაგვების ემოციურ-მოტივაციური ქცევაზე ღია ველის პირობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა და მეთოდები

ცდებს ვატარებდით ვისტარის ჯიშის ვირთაგვებზე, რომლებსაც საკვები და წყალი მიეწოდებოდათ სტანდარტულ პირობებში (ქერი, სიმინდი, მზესუმზირა, კომბოსტო, სტაფილო, პოლივიტამინი უნდევიტი და პური რძით). ექსპერიმენტს ვატარებდით დღის მეორე ნახევარში. ყუთზე, რომელშიც იყვნენ ვირთაგვები, 10 სმ მანძილზე იდგმებოდა GSM სტანდარტის მობილური ტელეფონი, რომლის საშუალებით, ყოველი 10 წთ-ის შუალედში ირეკებოდა 6 საათის განმავლობაში, 2 კვირის განმავლობაში. ცხოველთა მოძრაობითი რეაქტიულობა და ემოციური აქტივობა შეისწავლებოდა ღია ველში. შედეგები ვიდეოკამერის საშუალებით გადაეცემოდა კომპიუტერს, რომელიც აღჭურვილი იყო სპეციალური პროგრამით – Rat Watcher. პროგრამა წარმოადგენს ჩვენს ცენტრში ადრე შემუშავებული პროგრამის, ველი-91-ის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ ვარიანტს. იგი გათვალისწინებულია IBM PC ტიპის პერსონალური კომპიუტერებისათვის და მუშაობს ოპერაციულ სისტემაში Windows [1].

შედეგები და მათი განხილვა

ღია ველში ვირთაგვების ქცევის შედარებამ გვიჩვენა, რომ მოძრაობით აქტივობაში მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნევა ცენტრალური წრიდან გამოსვლის დროსა და ტესტირების საერთო დროიდან ამ დროის პროცენტის მაჩვენებლებში. B ჯგუფის ვირთაგვები ($5{,}0 \pm 0{,}5$), რომლებიც განიცდიდნენ მობილური ტელეფონის 6-საათიან ზემოქმედებას ყოველდღიურად, თითქმის 2-ჯერ უფრო გვიან გამოდიოდნენ ცენტრალური წრიდან, ვიდრე საკონტროლო, A ჯგუფის ვირთაგვები ($2{,}5 \pm 0{,}4$). მათ შორის განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნოა ($p < 0{,}05$). ტრანსლოკაციების რაოდენობის მიხედვითაც ამ ჯგუფების ვირთაგვები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. საკონტროლო და საცდელ ვირთაგვებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება დადგინდა ტრანსლოკაციების რაოდენობებს, ტრანსლოკაციების ჯამურ დროსა და ტესტირების საერთო დროიდან ტრანსლოკაციაზე დახარჯული დროის პროცენტს შორისაც. საცდელი, B ჯგუფის ვირთაგვებში ტრანსლოკაციების რაოდენობა სტატისტიკურად სარწმუნოდაა შემცირებული საკონტროლო, A ჯგუფის ინდივიდებთან შედარებით ($p < 0{,}001$). ასევე სტატისტიკურად სარწმუნოდაა შემცირებული ტრანსლოკაციების ჯამური დროის მაჩვენებლები და ტესტირების საერთო დროიდან ტრანსლოკაციაზე დახარჯული დროის პროცენტი. ყველა მაჩვენებლისათვის, საცდელ და საკონტროლო ჯგუფებს შორის, ეს დინამიკა თვალსაჩინოდაა ასახული ცხრილ 1-ში.

საინტერესო შედეგები აღინიშნა ვირთაგვების საორიენტაციო-კვლევითი აქტივობის მაჩვენებლების მიხედვითაც. როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, საკონტროლო A ჯგუფის ვირთაგვებთან შედარებით, B ჯგუფში ვერტიკალური წამოდგომების რიცხვი თითქმის 1,5-ჯერ არის მომატებული ($p < 0{,}001$), მაგრამ განსხვავება არ იყო ვერტიკალური წამოდგომების ჯამური დროისა და ტესტირების საერთო დროიდან ამ დროის პროცენტის მაჩვენებლების მიხედვით, რაც ასახულია ცხრილ 2-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

ღია ველში ვირთაგვების ტრანსლოკაციების ცვლილება საკომუნიკაციო სიხშირის ემპ-ის ზემოქმედების შემდეგ

ვირთაგვები	ტრანსლოკაციების რაოდენობა	ჯამური დრო	% საერთო დროიდან
A ჯგუფი	107,0 ± 18 $p_{a-b} < 0,001$	107,4 ± 12,9 $p_{a-b} < 0,001$	59,6 ± 7,1 $p_{a-b} < 0,001$
B ჯგუფი	34,0 ± 4	55,2 ± 5,8	30,6 ± 3,2

ცხრილი 2

ღია ველში ვირთაგვების საორიენტაციო-კვლევითი აქტივობის ცვლილება საკომუნიკაციო სიხშირის ემპ-ის ზემოქმედების შემდეგ

ვირთაგვები	ვერტიკალური დგომების რაოდენობა	ჯამური დრო	% საერთო დროიდან
A ჯგუფი	15,0 ± 0,4 $p_{a-b} < 0,001$	27,7 ± 7,3 $p_{a-b} > 0,05$	15,3 ± 4,0 $p_{a-b} > 0,05$
B ჯგუფი	9,0 ± 0,2	28,1 ± 5,8	15,6 ± 3,2

სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები დადგინდა საკონტროლო და საცდელი ჯგუფების ვირთაგვებს შორის უძრაობის დროისა და ტესტირების საერთო დროიდან ამ დროის პროცენტის მაჩვენებლების მიხედვით (ცხრილი 3). ეს მაჩვენებლები საკონტროლო, A ჯგუფის ვირთაგვებში თითქმის ორჯერ მცირეა, ვიდრე საცდელი ჯგუფების ვირთაგვებში ($p < 0,001$). ეს მიუთითებს, რომ საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვები გაცილებით უფრო მოძრავი იყვნენ, ვიდრე ჯგუფების ვირთაგვები.

ცხრილი 3

ღია ველში ვირთაგვების უძრაობის დროის ცვლილება საკომუნიკაციო სიხშირის ემპ-ის ზემოქმედების შემდეგ

ვირთაგვები	უძრაობის ჯამური დრო	% საერთო დროიდან
A ჯგუფი	25,0 ± 11,1 $p_{a-b} < 0,001$	13,8 ± 6,1 $p_{a-b} < 0,001$
B ჯგუფი	51,4 ± 6,7	28,5 ± 3,7

ასევე მატება იყო აღრიცხული სტერეოტიპული აქტივობის შესწავლისას. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ B ჯგუფების ვირთაგვებს გრუმინგების რაოდენობა 1,.5-ჯერ მეტი ჰქონდათ, ვიდრე საკონტროლო A ჯგუფის ვირთაგვებს. ეს სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნოა ($p < 0,001$).

სხვაობის სტატისტიკური სარწმუნობის მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში არის $p < 0,001$ (ცხრილი 4). ასევე, სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები დაფიქსირდა საკონტროლო და საცდელი ჯგუფების ვირთაგვებს შორის გრუმინგების ჯამური დროისა და ტესტირების საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროიდან ამ დროის პროცენტის მაჩვენებლების მიხედვით. როგორც აღინიშნა, გრუმინგების დროის შედარებამ გვიჩვენა, რომ B ჯგუფის ვირთაგვები გრუმინგებზე გაცილებით მეტ დროს ხარჯავდნენ, რის გამოც მათ გრუმინგების ჯამური დრო თითქმის 4,5-ჯერ მეტი ჰქონდათ, ვიდრე A ჯგუფის ინდივიდებს ($p < 0,001$).

ცხრილი 4

ღია ველში ვირთაგვების სტერეოტიპული აქტივობის ცვლილება საკომუნიკაციო სიხშირის ემვ-ის ზემოქმედების შემდეგ

ვირთაგვები	გრუმინგების რაოდენობა	ჯამური დრო	დროის % საერთო დროიდან
A ჯგუფი	3,0 ± 0,0 $p_{a-b} < 0,001$	6,4 ± 2,5 $p_{a-b} < 0,001$	3,5 ± 1,3 $p_{a-b} < 0,001$
B ჯგუფი	5,0 ± 1,1	27,6 ± 5,4	15,2 ± 3,0

რაც შეეხება ვირთაგვების ემოციურ აქტივობას, B ჯგუფის ვირთგვებს ბოლუსებისა და ურინაციების თითქმის 5-ჯერ ნაკლები რაოდენობა ჰქონდათ, ვიდრე A ჯგუფის ვირთაგვებს ($p<0,001$) (ცხრილი 5). ეს მეტყველებს მათ გაცილებით ნაკლებ ემოციურობაზე. ამასვე ადასტურებს ისიც, რომ ეს ვირთაგვები გაცილებით უფრო გვიან გამოდიოდნენ ცენტრალური წრიდან, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მათ ნაკლებ ემოციურობას.

ცხრილი 5

ღია ველში ვირთაგვების ემოციური აქტივობის ცვლილება ქსელის სიხშირის ემვ-ის ზემოქმედების შემდეგ

ვირთაგვები	ბოლუსებისა დაურინაციების რაოდენობა
A ჯგუფი	5 ± 0,0 $p_{a-b} < 0,001$
B ჯგუფი	1,0 ± 0,0 0,0 ± 0,0

ამრიგად ჩვენი მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ვირთაგვები, რომლებიც იმყოფებიან საკომუნიკაციო სიხშირის ემვ-ის ზემოქმედების ქვეშ, ხასიათდებიან დაბალი ემოციურობით, რაც ვლინდება ბოლუსებისა და ურინაციის ნაკლებობაში, გრუმინგების მაღალი რიცხვში და ტრანსლოკაციის დაბალ რაოდენობაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ორი კვირის განმავლობაში, რომლის დროსაც ისინი იმყოფებოდნენ ზემოქმედების ქვეშ, ცხოველები ხასიათდებოდნენ უძრაობით, საკვების მიღების შემცირებული ოდენობით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მიღებული ზემოქმედება იმდენად მაღალი ემოციურობით ხასიათდება, რომ ცხოველები კარგავენ საკვების მიღების ხალისს და გამოირჩევიან დეპრესიულობით, ყოველივე ეს კი გარკვეულ გამოხატულებას პოულობს მათ ქცევაში ღია ველში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა

1. *მაისურაძე ი., მაისურაძე ბ., სანებლიძე ო., კვანტალიანი გ.* რადიაციული გამოკვლევები, 1994, 8, 333-347.
2. *მაღრაძე გ., ციცქიშვილი ლ., იორდანიშვილი გ., ნიკოლაიშვილი მ.* ეკოლოგიის პრობლემები, 2000, 212-221.
3. *Григорьев Ю.Г., Шафиркин А.В. и др.* Радиационная биология и радиоэкология, 2003, 43, 565-578.
4. *Gallineli A., Matteo M., Volpe A., Faechinetti F.* J. Fertil. Steril., 2000, 73, 812-816.
5. *Heikkinen P., Kosma V., Huuskonen H., Komulainen H., Kumlin T., Penttila I., Vaananen A., Juutilainen J.* Int. J. Radiat. Biol., 2001, 77, 483-495.
6. *Herrnandez J., Parra A., Mandez J., Cabrera V., Cravioto M., Mereado M.* J. Amer. Med. Res., 2000, 31, 216-222.
7. *Nadareishvili K.* Radiation Studies, 1991, 6, 171-217.

ВЛИЯНИЕ ЭЛЕКТРОМАГНИТНОГО ИЗЛУЧЕНИЯ КОММУНИКАЦИОННОЙ ЧАСТОТОЙ НА ПОВЕДЕНИЕ КРЫС

Л. Васадзе, И. Маисурадзе, М. Николаишвили, Т. Солошвили

Центр радиационной биологии и экологической радиологии Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Крысы, которые подвергались электромагнитному излучению коммуникационной частотой, характеризуются низкой эмоциональностью, что проявляется в уменьшении количества фекальных болюсов и уринаций, в количестве транслокаций и выходов из центрального круга.

EFFECTS OF COMMUNICATION FREQUENCY ELECTROMAGNETIC FIELDS ON ANIMAL BEHAVIOR

L. Vasadze, I. Maisuradze, M. Nikolaishvili, T. Soloshvili

Center of Radiobiology and Radiation Ecology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The rats subjected to communication frequency electromagnetic fields are characterized with attenuated emotionality, which is manifested in reduced number of boluses and urination, and reduced translocation. These changes are accordingly reflected in their behavior in the Open Field.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
ბელზე გულის იშემიური დაავადების დროს, რაც საშუალებას მოგვცემდა გვემსჯელა აღნიშნული პრეპარატის ანტიიშემიური მოქმედების უნარზე.

მასალა და მეთოდები

შესწავლილია 30 დან 70 წლის ასაკამდე 167 ავადმყოფი გულის იშემიური დაავადებით, რომელთაგან 122-ს აღენიშნებოდა მწვავე სუბენდოკარდიული (Q კბილის გარეშე) ინფარქტი, 45-ს – სტაბილური დაძაბვის სტენოკარდია. პარკუჭოვანი რეპოლარიზაციული კომპონენტის მსფ მაჩვენებლის გამოთვლას ვახდენდით გრაფიკულად, 12-ვე განხრაში [1], შემდეგ კი ვსაზღვრავდით მათ საშუალო ჯამურ სიდიდეს და წინა და უკანა კედლის ამსახველი განხრების საშუალო ფარდობით მაჩვენებელს. დეპრესიული T-კბილის შემთხვევაში ფარდობითი მაჩვენებელი ითვლებოდა განუსაზღვრელად. კვლევიდან გამოთიშული იყვნენ ის ავადმყოფები, რომლებსაც ეკგ-ზე აღენიშნებოდათ პარკუჭშიდა გამტარებლობის დარღვევა ჰისის კონის ნებისმიერი ბლოკადის სახით.

ინფარქტიან ავადმყოფთა კონტინგენტი დაიყო 2 ქვეჯგუფად: საკონტროლო (42 ავადმყოფი – I ქვეჯგუფი) და საკვლევი (80 ავადმყოფი – II ქვეჯგუფი). საკვლევ ჯგუფს, ტრადიციული მკურნალობის ფონზე, 10 დღის განმავლობაში ეძლეოდა პლაფერონი, 0,8 მგ/კგ ინექციების სახით, საკონტროლო ჯგუფი მკურნალობდა პლაფერონის გარეშე. მსფ მაჩვენებელს ვსაზღვრავდით ორივე ქვეჯგუფში მკურნალობამდე და მკურნალობის პროცესში, 10 დღის განმავლობაში.

სტენოკარდიით დაავადებულთა კონტინგენტი დაიყო 2 ქვეჯგუფად: საკონტროლო (n = 15) და საკვლევი (n = 30). ორივე ქვეჯგუფის ავადმყოფებს უტარდებოდათ დატვირთვა ტრედმილზე. მსფ მაჩვენებელს ვსაზღვრავდით დატვირთვამდე და დატვირთვის შემდეგ, საკვლევ ჯგუფში – პლაფერონის შეყვანის ფონზე (0,8 მგ/კგ), საკონტროლო ჯგუფში – პლაფერონის გარეშე. მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზისათვის ვიყენებდით სტიუდენტის t-ტესტს.

შედეგები და მათი განხილვა

პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებში მარცხენა პარკუჭის წინა კედლის ამსახველ პრეკორდიალურ ეკგ განხრებში (V_3,V_4,V_5) მსფ-ის საშუალო მაჩვენებელი უტოლდებოდა 1,48-ს (±0,03). ამავე კედლის სუბენდოკარდიული ინფარქტის მწვავე სტადიაში მსფ შემცირდა 1,17-მდე (±0,02), ანუ ნორმასთან შედარებით 20,9%-ით. ამავე დროს, ეს ცვლილებები გაცილებით თვალსაჩინოა, ვიდრე ცვლილებები პერიფერიულ განხრებში (I, AVL), სადაც ნორმის მაჩვენებელთან (1,35 ± 0,03) შედარებით, მწვავე ინფარქტის დროს, მსფ შემცირდა 1,14-მდე (±0,06) ანუ 15,5%-ით (ცხრილი 1).

უკანა კედლის ამსახველ განხრებში ჯანმრთელ პირთა ნორმალური მაჩვენებელი უტოლდებოდა 1,23 ± 0.02-ს. ამავე კედლის სუბენდოკარდიული ინფარქტის მწვავე სტადიაში მსფ მაჩვენებელი შემცირდა 1,09-მდე (±0,03)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ 11,3%-ით. ორივე შემთხვევაში მსფ პათოლოგიური ცვლილებები საგრძნობლად განსხვავდებოდა ნორმის მაჩვენებლებისაგან ($p < 0,02$). პლაფერონის ანტიიშემიური ეფექტის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ პლაფერონის გავლენით, პირველი 10 დღის განმავლობაში, მსფ უფრო მეტად (სურ. 1) უახლოვდება ნორმის მაჩვენებელს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში, სადაც მკურნალობის კომპლექსში პლაფერონი-ლბ არ იყო. აღნიშნული წარმოდგენილია დიაგრამაზე, რომელიც ასახავს მსფ ცვლილებებს წინა და უკანა კედლის ინფარქტის დროს, საკვლევ და საკონტროლო ჯგუფებში. პრეკორდიალური განხრების (V_3,V_4,V_5) საშუალო მსფ მაჩვენებლის დინამიკა წინა კედლის ინფარქტის 10-დღიანი მკურნალობის ფონზე, პლაფერონისა და საკონტროლო ჯგუფში წარმოდგენილია სურ. 2-ზე მრუდების სახით, საიდანაც ჩანს, რომ პლაფერონის ფონზე, მსფ მეტად უახლოვდება ნორმის მაჩვენებელს და უფრო სწრაფად აღწევს სტაბილიზაციას, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში.



სურ. 1. მსფ მაჩვენებლის ცვლილებათა პროცენტი (Δ%) პლაფერონ-ლბ-ს ფონზე და მის გარეშე მიოკარდიუმის ინფარქტის საწყის მონაცემებთან შედარებისას.

ცხრილი 1

მსფ საშუალო მაჩვენებელი წინა და უკანა კედლის ინფარქტის მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ, M ± m

ეკგ განხრები	მსფ ნორმა	საწყისი მსფ	მსფ 10 დღის შემდეგ		P
			საკონტროლო ჯგ.	პლაფერონის ჯგ.	
V_3 – V_5 განხრების საშუალო მსფ წინა კედლის ინფარქტის დროს	1,48 ± 0,03	0,17 ± 0,08	1,23 ± 0,06	1,29 ± 0,01	<0,05
I, aVL განხრების საშუალო მსფ წინა კედლის ინფარქტის დროს	1,35 ± 0,02	1,14 ± 0,06	1,22 ± 0,05	1,25 ± 0,03	<0,05
II, III, aVF განხრების საშუალო მსფ უკანა კედლის ინფარქტის დროს	1,23 ± 0,02	1,09 ± 0,07	1,15 ± 0,06	1,19 ± 0,04	<0,05

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 2. მსფ-ის მაჩვენებლის დინამიკა საკვლევ და საკონტროლო ჯგუფში წინა კედლის ინფარქტის მკურნალობის 10-დღის განმავლობაში.

სტენოკარდიით დაავადებულთა შორის მსფ საშუალო მაჩვენებელი პერიფერიულ განხრებში შეადგენდა 1,11-ს (±0,07), ნაცვლად 1,53-ისა (±0,03), ხოლო პრეკორდიალურ განხრებში – 1,66-ს (±0,1), ნაცვლად 1,32-ისა (±0,06). ტრედმილზე დატვირთვისას მსფ მცირდებოდა როგორც ჯანმრთელებში, ისე ავადმყოფებში. პრინციპული განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ ჯანმრთელ კონტინგეტში მსფ 1-ს უტოლდებოდა 125 ვტ დატვირთვის ფონზე, ხოლო სტენოკარდიულ ავადმყოფებში – 50 ვტ დატვირთვისას. იგივე ავადმყოფების დატვირთვა პლაფერონის ინექციების ფონზე მსფ-ს ამცირებდა 1-მდე 75 ვტ-ით დატვირთვის პირობებში, რაც მიუთითებს პლაფერონის უნარზე გააძლიეროს სტენოკარდიით დაავადებულთა ტოლერანტობა ფიზიკური დატვირთვისადმი.

ამგვარად, ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გულის იშემიური დაავადების დროს როგორც სტენოკარდიის, ისე სუბენდოკარდიული ინფარქტის პირობებში, პარკუჭთა რეპოლარიზაციის მსფ მაჩვენებელი სპეციფიკურ ცვლილებებს განიცდის, რაც სავსებით შეესაბამება ლიტერატურაში არსებულ მონაცემებს [4, 5]. წინა კედლის იშემიისა და იშემიური დაზიანების დროს განსაკუთრებით მგრძნობიარეა გულმკერდის პრეკორდიალური განხრები, რაც გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათზე გულის ელექტრული ველი მოქმედებს როგორც მულტიპოლი და ამდენად ლოკალური პროცესების ასახვისათვის უკეთეს პირობებს ქმნის მაშინ, როდესაც პერიფერიული განხრები კიდურებიდან, გულის ერთიანი ინტეგრალური დიპოლის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და ნაკლებად ასახავენ ლოკალურ დაზიანებას.

როგორც ცნობილია, გულის კუნთის იშემიური დაზიანების დროს პარკუჭოვანი ეკგ კომპლექსის რეპოლარიზაციული კომპონენტი T-კბილის სახით ასახავს არა ნეკროზულ უბანს, არამედ პერიინფარქტულ იშემიურ ზონაში დარღვეულ აღდგენით პროცესს, რაც თავისებურ ასახვას პოულობს რეპოლარიზაციის მსფ მაჩვენებლის ჩვენს მიერ გამოვლენილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებებში. პლაფერონ-ლბ-ს დადებითი გავლენა ამ მაჩვენებლებზე როგორც დაძაბვის სტენოკარდიის, ისე სუბენდოკარდიული ინფარქტის დროს, მეტყველებს ამ პრეპარატის ანტიიშემიური მოქმედების უნარზე. ეს მონაცემები სავსებით შეესაბამება ჩვენი ადრინდელი კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევების შედეგებს [2, 3, 4] და ლიტერატურის მონაცემებს პლაფერონის დადებითი გავლენის შესახებ სუბუჯრედულ და უჯრედულ დონეზე მიმდინარე ენერგოპროდუქციის პროცესებზე [9].

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პარკუჭოვანი ეკგ კომპლექსის რეპოლარიზაციული კომპონენტის რაოდენობრივი სიჩქარითი პარამეტრი – რეპოლარიზაციის ფარდობითი მაჩვენებელი, რომელიც იძლევა ინფორმაციას აღდგენითი პროცესების ცვლილებათა დინამიკის შესახებ გულის იშემიური დაავადების დროს, პრეპარატ პლაფერონის გავლენით სარწმუნოდ უფრო სწრაფ დინამიკას განიცდის ნორმალიზაციისაკენ, ვიდრე ეს ვლინდება ეკგ-ს ტრადიციული თვისობრივი ანალიზის პირობებში.

ვინაიდან რეპოლარიზაციის ფარდობითი მაჩვენებლის დადებითი დინამიკა ასახავს გულის კუნთში იშემიური დაზიანების პროცესის დინამიკას, შეიძლება ითქვას, რომ პლაფერონ-ლბ-ს თერაპიული ეფექტი ადასტურებს მის ანტიიშემიური მოქმედების უნარს.

ლიტერატურა

1. *მეგრელაძე ი., მონასელიძე ი.* მკურნალი, 1999, 4-5, 39-40.
2. *მეგრელაძე ი., ხუხია დ., ლლონტი თ.* საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბიოლ. სერია A, 2003, 29, 659-665.
3. *Джавахишвили Н.А., Мегреладзе И.И., Цагарели З.Г., Дадиани Л.Н., Бахуташвили В.И.* В кн.: Плаферон. Тбилиси, Мецниереба, 1995, 40-45.
4. *Имедидзе Э.А.* В кн.: Плаферон. Тбилиси, Мецниереба, 1995, 13-17.
5. *Маколкин В.И., Морозова И.С., Нефедова В.А.* Кардиология 1988, 28, 55-59.
6. *Микеладзе Д.Г.* В кн.: Плаферон Тбилиси, Мецниереба, 1995, 137-141.
7. *Пагава К.И.* В кн.: Плаферон. Тбилиси, Мецниереба, 1995, 100-126.
8. *Халфен Э.Ш., Сулковская Л.С.* Кардиология 1986, т.26, № 6, ст.60-63.
9. *Ягужинский Л.С., Имедидзе Э.А., Дадиани Л.В., Бахуташвили В.И.* В кн.: Плаферон. Тбилиси, Мецниереба, 1995, 10-13.
10. *Mori H., Nagavana T., Oda T. et al.* Jap. Circulat. J., 1968, 32, 149-160.
11. *Sano T., Suzuki F., Takanashi I. et al.* Jap. Heart J., 1967, 8, 301-308.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВЛИЯНИЕ ПЛАФЕРОНА-ЛБ НА ПОКАЗАТЕЛЬ ОТНОСИТЕЛЬНОЙ МАКСИМАЛЬНОЙ СКОРОСТИ РЕПОЛЯРИЗАЦИОННОГО КОМПОНЕНТА ЖЕЛУДОЧКОВОГО ЭКГ-КОМПЛЕКСА ПРИ ИШЕМИЧЕСКОЙ БОЛЕЗНИ СЕРДЦА

И.И. Мегреладзе, И.А. Монаселидзе

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

С целью изучения антиишемического влияния плацентарного препарата плаферона-ЛБ был проведен анализ изменений показателя относительной максимальной скорости (ОМС-показателя) Т-зубца при ишемической болезни сердца (ИБС). Материалом для исследования послужили 122 больных инфарктом миокарда без Q-зубца и 45 больных стенокардией напряжения. О влиянии плаферона на ишемию миокарда судили по динамике ОМС-показателя. Больные с инфарктом миокарда былы разделены на 2 подгруппы; 80 больных в течение 10 дней получали плаферон-ЛБ парентерально (0,8 мг/кг); 30 больных контрольной группы лечились без плаферона. Больные стенокардией напряжения также были разделены на 2 подгруппы – 42 больных получали плаферон, а 15 больных контрольной группы – традиционное лечение без плаферона. ОМС вычисляли до и после 10-дневного лечения инфаркта миокарда, а у больных со стенокардией – до и после физической нагрузки на тредмиле.

Анализ полученных данных показал, что при субэндокардиальном инфаркте ОМС - показатель стабилизировался быстрее в группе с плафероном, чем в контрольной группе ($p < 0,05$), а при стенокардии ишемические изменения ОМС-показателя выявлялись у больных, получивших плаферон, при бóльших нагрузках (75 Вт), чем в контрольной группе (50 Вт), что свидетельствует о способности плаферона повышать толерантность больных с ИБС к физической нагрузке. Результаты исследования подтверждают антиишемическое действие препарата плаферон-ЛБ.

INFLUENCE OF PLAFERON-LB ON REPOLARIZATION RMS CHARACTERISTIC OF VENTRICULAR ECG COMPLEX IN PATIENTS WITH ISCHEMIC HEART DESEASE

I. Megreladze, I. Monaselidze

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

The RMS (ratio of maximal speed scalar value of repolarization) criterion as characteristic of antiischemic effects of plaferon-LB in the commonly used 12 leads ECG system, in cases of 167 patients with the ischemic heart desease (IHD) have been investigated.

The plaferon's high antiischemic and positive electrophysiological capacity was determined by means of RMS criterion for assessing the changes in the repolarization component of ventricular ECG complex.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

წისქვილკომბინატის საწარმოს გარემოს ზემოქმედება მუშათა იმუნურ სისტემაზე

*რ. მეშველიანი, ი. შურღაია, ბ. კორსანტია, ნ. კილაძე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი; * თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 29.10.2004

წისქვილკომბინატის გარემოში მიკოტოქსინებით (კერძოდ, მათი მეტაბოლითებით – აფლატოქსინებით) ძლიერი დაბინძურების ცნობილი ფაქტი დაედო საფუძვლად საწარმოს მუშაკთა შორის იმუნოლოგიური გამოკვლევის ჩატარებას. ინტერფერონისა და ფაგოციტოზის აქტივობის, T- და B-ლიმფოციტებისა და იმუნოგლობულინების რაოდენობრივი მაჩვენებლების მაგალითზე გამოვლენილ იქნა აღნიშნული პარამეტრების დისბალანსი, რაც მიუთითებდა იმუნოპათოლოგიური მდგომარეობის ფორმირებაზე (ორგანიზმის სენსიბილიზაცია, ინტერფერონის სისტემის დათრგუნვა). ეს მონაცემები, ასევე წინასწარი ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ცხოველებზე, ასაბუთებს მუშათა აღნიშნულ კონტინგენტში იმუნორეაბილიტაციის ჩატარების აუცილებლობას.

საკვანძო სიტყვები: მიკოტოქსინი, საწარმო გარემო, იმუნური სისტემა

ადამიანის, ისევე, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმის, ენერგიისა და პლასტიკური, საშენი მასალის წყაროს წარმოადგენს კვების პროდუქტები, მაგრამ ორგანიზმისათვის აუცილებელი ქიმიური ნაერთების გარდა, ისინი შეიძლება შეიცავდნენ ჯანმრთელობისათვის პოტენციურად სახიფათო ნივთიერებებსაც, რომელთა რიცხვი ძალზე დიდია. ეს ნივთიერებები შეიძლება იყვნენ როგორც ანთროპოგენური, ასევე ბუნებრივი წარმოშობის. მათ რიცხვს მიეკუთვნება ბაქტერიები და მათი ტოქსინები, მძიმე მეტალები, პესტიციდები, ნიტრატები და ნიტრიტები, N-ნიტროზამინები, პოლიქლორირებული დიფენილები და სხვა [6, 10].

უკანასკნელი წლების განმავლობაში მეცნიერთა ყურადღება მიიქცია ბუნებაში მეტად გავრცელებულმა ობის მიკროსკოპული სოკოების მეორადმა მეტაბოლიტებმა – მიკოტოქსინებმა. მათ შორის ძალიან მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევიან აფლატოქსინები, რომელთაც გამოჰყოფს მიკროსკოპული სოკოების მხოლოდ ორი სახეობის შტამი: Aspergillus flavus

link და sp. parasiticus speare. ისინი ხასიათდებიან მუტაგენური, ტერატოგენული და კანცეროგენული თვისებებით. მათ შეუძლიათ გამოჰყონ ტოქსინები განსხვავებულ ხელოვნურ სუბსტრატებზე და ფართოდ არიან გავრცელებული ბუნებაში. ამით აიხსნება საკვები პროდუქტების და კომბინირებული საკვების აფლატოქსინებით დაბინძურების დიდი მასშტაბი [6].

დადგენილია, აგრეთვე, რომ ორგანიზმში მიკოტოქსინის მოხვედრის გზა საკვების საშუალებით ერთადერთი არაა. არსებობს მოხვედრის რეალური საშიშროება საწარმოს სათავსოების ჰაერიდანაც. პირველ რიგში ეს ეხება მარცვლეულის დამამზადებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს (წისქვილკომბინატები და პურ-პროდუქტების საწარმოები). ჩატარებულმა გამოკვლევებმა მტვრის ნიმუშებში გამოავლინა ტოქსინების შემცველობის მაღალი დონე და სიხშირე – ელევატორის, მარცვლეულის გამწმენდ განყოფილებასა და კომბინირებული საკვების საამქროებში [1].

ინჰალაციური ინფიცირების პრინციპულ არსებობაზე მიუთითებს მთელი რიგი მონაცემები, მაგალითად, არაქისისა და ზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელ საწარმოების მუშებში ონკოლოგიური დაავადებების განვითარების გაზრდილი საშიშროების შესახებ. ცნობილია აფლატოქსინების ძლიერი ჰეპატოტოქსიკური და ჰეპატოკანცეროგენული თვისებები. ზოგიერთი რეგიონის მოსახლეობის ეპიდემიოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა პირდაპირი კორელაცია აფლატოქსინებით დაბინძურებული საკვების ყოველდღიურ მოხმარებასა და ღვიძლის პირველადი სიმსივნის განვითარებას შორის [7, 15, 8]. არსებობს სარწმუნო მონაცემები მიკოტოქსინების ძლიერი მუტაგენური მოქმედების შესახებ, მათ უნარზე დაარღვიონ უჯრედული მემბრანების სტაბილურობა, დათრგუნონ უჯრედშიდა ფერმენტული პროცესები, გამოიწვიონ ორგანიზმის რედოქს-სისტემის დისბალანსი [4, 13, 14]. აფლატოქსინებით საკვები პროდუქტების დაბინძურების მაღალი დონე და სიხშირე, მაღალტოქსიკურობა და მათი პროდუქტების ფართო გავრცელება ბუნებრივ პირობებში, იმის საწინდარია, რომ ეს მიკოტოქსინები მივაკუთვნოთ ადამიანის საარსებო გარემოს ბიოლოგიურ დამაბინძურებელ და ჯანმრთელობისათვის პოტენციურად სახიფათო ნივთიერებათა ჯგუფს.

იმუნურ პროცესებზე მიკოტოქსინების გავლენის შესწავლა XX საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს დაიწყო და ისიც მიკოტოქსინების შეზღუდულ რიცხვზე. ამ პრობლემის პრაქტიკული მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორით განისაზღვრება: კვების პროდუქტებისა და ნედლეულის მიკოტოქსინებით დაბინძურებისა და მათ მიმართ ცხოველების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ორგანიზმის, მაღალი მგრძნობელობით; ცხოველების იმუნიზაციისათვის მათი ხშირი გამოყენებით; ცხოველებში მიკოტოქსინების შეყვანის შეწყვეტის შემდეგ, ცხოველმყოფელობის ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და ციტოლოგიური მაჩვენებლების ნორმალიზების ფონზე იმუნური დეფექტების ხანგრძლივი შენარჩუნებით [16].

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია იმუნორეაბილიტაციის საკითხების შესწავლა აფლატოქსიკოზების დროს, მაგრამ ლიტერატურის მონაცემების ანალიზმა მკაფიოდ დაგვანახა, რომ აფლატოქსინების იმუნოტროპულობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპლექსურად არ არის შესწავლილი. ის მცირე მონაცემებიც კი ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოა; ამასთან ჩვენ ვერ ვიპოვეთ მონაცემები მიკოტოქსიკოზების დროს იმუნოკორექციის შესახებ. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ სპეციალური გამოკვლევების წინასწარი ჩატარება, რათა შეგვესწავლა აფლატოქსინების მოქმედება თეთრი თაგვების იმუნურ ჰომეოსტაზზე [12]. მიღებული შედეგების ანალიზმა, ინტერფერონის სისტემისა და ფაგოციტოზის მაგალითზე, ასევე ანტისხეულების სინთეზის საფუძველზე, სარწმუნოდ გვიჩვენა, რომ აფლატოქსინ-B1-ს გააჩნია გამოხატული იმუნოდეპრესიული მოქმედების უნარი. სწორედ ეს მონაცემები დაედო საფუძვლად წისქვილ-კომბინატების მუშათა იმუნური სტატუსის შესწავლას.

მასალა და მეთოდები

იმუნოლოგიური ანალიზი ჩაუტარდა თბილისისა და ქუთაისის წისქვილ-კომბინატის 66 თანამშრომელს, ძირითადად იმ საწარმო ზონებში, სადაც ორგანიზმზე მიკოტოქსინების ყველაზე ძლიერი დატვირთვა დადგინდა.

გამოყენებულ იქნა შემდეგი მიკრომეთოდები [3]: T-ლიმფოციტებისა და მათი სუბპოპულაციების (T-აქტიური, T-ჰელპერები, T-სუპრესორები, იმუნორეგულაციის ინდექსი) პროცენტული შემცველობის დადგენა, აგრეთვე B-ლიმფოციტებისა და სამი კლასის იმუნოგლობულინების (G, A, და M) რაოდენობი გამოანგარიშება სისხლში [9, 11]. α- და γ-ინტერფერონების აქტივობა (IF) ფასდებოდა სისხლის ლეიკოციტების მიერ მათი ინ ვიტრო პროდუცირების უნარით [5]. ფაგოციტოზი ფასდებოდა სისხლის ნეიტროფილებში სამი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით [2]: ფაგოციტური რიცხვი (PhN) და ინდექსი (PhI), მონელების პროცენტი (PhC). შედეგების სტატისტიკური დამუშავება ხდებოდა ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით, სტიუდენტის განსხვავებითი მნიშვნელობის კრიტერიუმის გამოთვლით.

შედეგები და მათი განხილვა

ყურადსაღები აღმოჩნდა საწარმოო პირობების სერიოზული გავლენა ჯანმრთელ მომუშავე პირთა იმუნურ სისტემაზე (ცხრილი 1). კერძოდ, დადგინდა მკვეთრად გამოხატული იმუნოდეპრესიის ნიშნები ინტერფერონის სისტემაში, განსაკუთრებით გამა-ლირ-ის მაჩვენებლის დინამიკაში, რომელიც ნორმასთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა (16,6 ერთ/მლ, $p < 0,001$). საერთო T-ლიმფოციტების რაოდენობა (50,7%), ისევე, როგორც T-ჰელპერების (31,4%), არასარწმუნოდ დაქვეითებული აღმოჩნდა. ამასთანავე T-სუპრესორების პროცენტი გაიზარდა (19,2%), რის გამოც იმუნორეგულაციის ინდექსი მკვეთრად შემცირდა (1,6 – ნაცვლად 2,39-ისა კონტროლში, $p < 0,01$). ამ ფონზე აღინიშნა B-ლიმფოციტების პროცენტის არასარწმუნო მატება და დისბალანსი იმუნოგლობულინების სინტეზში: IgG (14,4 გ/ლ) და IgA (1,96 გ/ლ) რაოდენობის ზრდა, IgM-ის დაქვეითების ფონზე (1,03 გ/ლ), რაც მიუთითებს ორგანიზმის სენსიბილიზაციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ფაგოციტოზის სისტემას, ფაგოციტურ რიცხვში (72,6%), რაიმე სარწმუნო დინამიკა ნანახი არ იყო, ხოლო ფაგოციტური ინდექსი (3,05 – $p < 0,001$) და პროცესის დასრულება (59,4%, $p<0,01$) სერიოზულად დაქვეითდა.

ცხრილი 1

წისქვილკომბინატის გამოკვლეულ მუშათა იმუნური სისტემის მდგომარეობა

T	Ta	Th	Ts	Ii	B	IgG	IgA	IgM	PhN	PhI	PhC	αIF	γIF
50,7	21,4	31,4	19,2	1,63	25,3	14,4	1,96	1,03	72,6	3,05	59,4	28,7	16,6
52,6	32,5	37,1	15,4	2,39	24,5	12,5	1,83	1,22	75,5	6,13	72,6	43,4	31,8

შენიშვნა: მე-2 ხაზი – კონტროლი. განმარტება იხილეთ ტექსტში.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იმუნოლოგიური მაჩვენებლები საწყის ეტაპზე შევაფასეთ საშუალო სიდიდეების მიხედვით, მაგრამ შემდგომმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ აღნიშნული პარამეტრების დინამიკა აშკარად გამოხატული კანონზომიერებით იყო დაკავშირებული გამოკვლეულ პრაქტიკულად ჯანმრთელი მუშების ასაკთან, მარცვლეულ პროდუქტთან პროფესიული კონტაქტის ხანგრძლივობასთან (სამუშაო სტაჟი) და საწარმოო გარემოს დამტვერიანებასთან (მტვერში მიკოტოქსინების შემცველობა და მათი დატვირთვა ადამიანის ორგანიზმზე).

ასეთი მიზანმიმართული მიდგომით გამოვლინდა, რომ იმუნოდეპრესიის ნიშნები განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული მარცვლეულის მტვერთან კონტაქტში მყოფ დიდი სტაჟის (10 წელზე მეტი) მქონე პირებში და აგრეთვე 1-2 წლის სტაჟის მქონე პირებში. ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ ეს ის პერიოდია, როდესაც წარმოებაში მუშაობის დაწყებისას, ორგანიზმზე გავლენას ახდენს სამრეწველო შხამი (აფლატოქსინი), რაც იწვევს ორგანიზმის ადაპტაციური ძალების დაძაბვას. ასეთი მოსაზრება არ არის უსაფუძვლო, რადგან საშუალო სტაჟის მქონე პირებში აღნიშნული მაჩვენებლები თანდათან უმჯობესდება, თუმცა სარწმუნოდ ჩამორჩება ნორმას. ეს გარემოება უშუალო კავშირშია ორგანიზმის კომპენსატორულ და ადაპტოგენურ შესაძლებლობასთან, კერძოდ კი – იმუნური ჰომეოსტაზის მდგომარეობასთან. სწორედ ამის გამო, დიდი სტაჟის მქონე პირებში, რომელთა ასაკიც შედარებით მეტია, კვლავ ვლინდება ორგანიზმის დაცვითი ძალების დეფიციტი.

გარდა ზემოთქმულისა, ნაჩვენები იქნა პირდაპირი კორელაცია მიკოტოქსინების ორგანიზმზე რეალურ დატვირთვასა და იმუნოდეპრესიის ინტენსივობას შორის. მარცვლეულის მტვერის საშუალო თვიური კონცენტრაციის, მასში მიკოტოქსინების შემცველობისა და მუშათა ექსპოზიციის დროის მიხედვით, ყველაზე მაღალი დამტვერიანებაა კომბინირებული საკვების საამქროში. სწორედ ამ ზონაში მომუშავე პირთა იმუნური სტატუსი ხასიათდებოდა მაქსიმალური დეპრესიით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ექსპერიმენტულად გამოვლინდა მარცვლეულის გადამუშავების სხვადასხვა ეტაპზე მიკოტოქსინების სასუნთქი გზებით მოხვედრის შესაძლებლობა მუშათა ორგანიზმში. ეს გზა კი გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე საჭმლის მომნელებელი ტრაქტი. იმუნოლოგიური კვლევის მიღებული შედეგები საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ აფლატოქსინი იწვევს გამოხატულ იმუნოდეპრესიას სხვადასხვა მექანიზმების ჩართვით, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, წამყვანი როლი ტოქსინის მასენსიბილიზებელ ეფექტს და ამ სამრეწველო შხამით გამოწვეულ ჰიპოქსიასა და ჰორმონულ დისბალანს უნდა მიენოჭოს. ამ მექანიზმების ამოქმედებისას განსაკუთრებით მგრძნობიარე იმუნოკომპეტენტური უჯრედები და იმუნური პასუხის მედიატორები არიან. რამდენად ღრმა ხასიათი აქვს იმუნური სტატუსის დათრგუნვას, რამდენად შეუქცევადია ეს პროცესები, ინარჩუნებს თუ არა ორგანიზმი იმუნორეაქტიულობის რეზერვებს და, საბოლოო ჯამში, არსებობს თუ არა აღნიშნული დარღვევების იმუნოკორექციის შესაძლებლობა – აი იმ საკითხების ნუსხა, რომელთაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და რომლებზეც ჩვენ ნაწილობრივ მაინც შევეცადეთ გაგვეცა პასუხი წინა ექსპერიმენტებში [12] და წარმოდგენილ ნაშრომში. მთავარი დასკვნა კი ისაა, რომ ჩვენი მონაცემები ასაბუთებს იმუნორეაბილიტაციის აუცილებლობას მუშათა მითითებულ კონტინგენტში.

ლიტერატურა

1. *Дадиани К. и др.* Труды института санитарии и гигиены , Тб., 1986, 29-33.
2. *Кост Е.А., Степко М.И.* Справочник по клиническим методам исследования. Москва, Медицина, 1975, 185 с.
3. *Новиков Д.К.* Справочник по клинической иммунологии и аллергологии. Минск, Беларусь, 1987, 223 с.
4. *Покровский А.А.* Метаболические аспекты фармакологии и токсикологии пищи. Москва, Медицина, 1979, 212 с.
5. *Соловьев В.Д., Бектимиров Т.А.* Интерфероны в теории и практике медицины. Москва, Медицина, 1981, 268 с.
6. *Тутельян В.А., Кравченко Л.В.* Микотоксины. Москва, Медицина, 1985, 247 с.
7. *Hayes R.. et al.* Food Chem. Toxicol., 1984, 22, 39-43.
8. *Hsich D.* In: UPAC Symp., Vienna, 1995, 69-80.
9. *Jondal M. et al.* J. Exp. Med., 1972, 136, 207-222.
10. *Lioy-Paul I.* Environ. Sci. Technol., 1990, 24, 938-945.
11. *Manchini G. et al.* J. Immunochemistry, 1965, 2, 235-254.
12. *Meshveliani R. et al.* Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2003, 29, 405-409.
13. *Ong M.* Mutat. Res., 1992, 32, 79-82.
14. *Uwaifo A.* Toxicology, 1994, 31, 33-37.
15. *Wilkinson A. et al.* Hum. Toxicol., 1988, 7, 353-356.
16. *Yoshizawa T. et al.* Appl. Envir. Microbiol., 1997, 47, 130-135.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВЛИЯНИЕ ПРОИЗВОДСТВЕННОЙ СРЕДЫ НА ИММУННУЮ СИСТЕМУ РАБОЧИХ МЕЛЬКОМБИНАТА

Р.С. Мешвелиани, И.В. Шургая, Б.М. Корсантия, Н.П. Киладзе*

Институт медицинской биотехнологии АН Грузии; * Тбилисский государственный медицинский университет

РЕЗЮМЕ

Хорошо известный факт сильной загрязненности производственной среды мелькомбината микотоксинами (точнее, их метаболитами – афлатоксинами) послужил основанием для проведения иммунологических исследований среди работников производства. На примере активности интерферона и фагоцитоза, количественных показателей Т- и В-лимфоцитов, а также иммуноглобулинов, был выявлен дисбаланс указанных параметров, указывающий на формирование иммунопатологического состояния (сенсибилизация организма, угнетение системы интерферона). Эти данные, а также результаты предварительных экспериментальных исследований на животных, обосновывают необходимость проведения иммунореабилитации среди указанного контингента рабочих.

INFLUENCE OF WORKING-PLACE ENVIRONMENT IN FLOUR-MILL ON IMMUNE SYSTEM OF THE WORKER

R. Meshveliani, I. Shurgaia, B. Korsantia, N. Kiladze*

Institute of Medical Biotechnology of Georgian Academy of Sciences; * Tbilisi State Medical University

SUMMARY

Protecting humans from the influence of external biological and chemical agents is important medical objective. It is established that anthropogenic and natural soils and foodstuffs may be dangerous to human health, as a result of exposure to toxic metabolites of fungi *Asp. flavus* and *Asp. parasiticus*. There is sound experimental and clinical evidence, indicating important role of mycotoxins in human pathology.

The main purpose of our investigation was to study the influence of working-place environment of the flour-mill on immune status of the workers. Immunopathological condition of organism (sensibilisation and deppression of some lymphokins, such as interferon) proves necessity of immunorehabilitation, which may benefit workers exposed to the mycotoxins in soil and foods, e.g., large bakeries and mills.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

C-რეაქტიული ცილისა და IL6-ის პროგნოზული ღირებულება მძიმე სეფსისის დროს

ქ. მშვიდობაძე, ა. ნანუაშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 15.10.2004

სეფსისით გამოწვეული ორგანული დაზიანებების დიაგნოსტიკისა და პროგნოზირებისათვის გამოიყენება C-რეაქტიული ცილა და IL6. რომელ მათგანს უნდა მიენიჭოს კლინიკური უპირატესობა, ბოლომდე შესწავლილი არაა. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შედარებით მსუბუქ და მძიმე ორგანულ უკმარისობისას თითქმის ანალოგიურად, 1,4-ჯერ იცვლება როგორც C-რეაქტიული ცილა, ასევე IL6. რაც შეეხება პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის განსაზღვრას დინამიკაში, აქ C-რეაქტიულ ცილასთან უკეთესი კორელაცია გამოვლინდა (70,6%), ვიდრე IL6-თან (60%).

საკვანძო სიტყვები: სეფსისი, პროგნოზი, C-რეაქტიული ცილა, IL6, SOFA

ინტერლეიკინი-6 (IL6) წარმოადგენს მრავალფუნქციურ ციტოკინს, რომელიც გამომუშავდება როგორც ლიმფოიდურ, ასევე არალიმფოიდურ უჯრედებში და არეგულირებს იმუნურ პასუხებს, მწვავე ფაზის რეაქციებს და ჰემოპოეზს. IL6 მრავალი სახელწოდებით იყო ცნობილი, ხოლო 1988 წელს მას IL6 ეწოდა. იგი გლიკოპროტეინია, მოლეკულური მასით 21-28 კდ [6]. ბაქტერიული LPS აძლიერებს მის წარმოქმნას მონოციტებსა და ფიბრობლასტებში. IL6 წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს B-ლიმფოციტებზე და იწვევს იმუნოგლობულინების პროდუქციას. IL6 იწვევს მწვავე ფაზის მრავალი ცილის ინდუცირებას, მისი დონე შრატში კორელირებს C-რეაქტიული ცილის დონესთან და ხშირად IL6-ის მატება შრატში წინ უსწრებს ჩ-რეაქტიული ცილის მატებას [5]. ღღეისათვის მრავალი გამოკვლევის შედეგია გამოქვეყნებული IL6-ის დიაგნოსტიკური და პროგნოზული ღირებულების შესახებ. მისი როლი სეფსისის სიმძიმის განსაზღვრისათვის უდავოა [1], ვინაიდან სეფსისის დროს IL6-ის დონე ხშირად მატულობს, მაგრამ ამ მაჩვენებლის დიაგნოსტიკური მნიშვნელობის შესახებ კვლავაც აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე უდავოა სეფსისის დიაგნოსტიკაში C-რეაქტიული ცილის როლიც. პირველად იგი 1930 წელს აღწერეს. იმის გამო, რომ ადამიანის პლაზმის ერთ-ერთი ცილა პნევმოკოკურ C-პოლისაქარიდულ ანტიგენთან პრეციპიტაციას იძლეოდა, მას C-რეაქტიული ცილა უწოდეს [3]. დღეისთვის ცნობილია, რომ როგორც ინფექციური, ასევე არაინფექციური მწვავე ანთებითი რეაქცია იწვევს C-რეაქტიული ცილის მკვეთრ მომატებას. თავისთავად ეს მაჩვენებელი არ მიანიშნებს რაიმე კონკრეტულ ნოზოლოგიაზე, მაგრამ კლინიკურ და სხვა ლაბორატორიულ მონაცემებთან ერთად, C-რეაქტიული ცილა საკმაოდ ინფორმატიულია [2]. მისი და სხვა მწვავე ფაზის პროტეინების სინთეზი ჰეპატოციტების მიერ რეგულირდება, ანთებითი ციტოკინებით. მათ შორის ძირითადი როლი IL1, IL6 და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორს ეკუთვნის.

C-რეაქტიული ცილა ორგანიზმის დაცვით ფუნქციებს შორის ერთ-ერთ არსებით როლს თამაშობს. იმუნოგლობულინების მსგავსად იგი უკავშირდება უცხო ანტიგენურ სტრუქტურებს, მაგრამ არასპეციფიკურად და ასრულებს ოფსონინის ფუნქციას, ააქტიურებს კომპლემენტის სისტემას და მოქმედებს, როგორც პროინფლამატორული ციტოკინების მოდულატორი [4]. გამომდინარე აქედან, C-რეაქტიული ცილის დონის მომატების ძირითადი მიზეზი ორგანიზმის მწვავე ანთებითი რეაქციაა.

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა მძიმე სეფსისის დროს C-რეაქტიული ცილისა და IL6-ის მაჩვენებლების კორელაცია დაავადების სიმძიმესთან, დინამიკაში; აგრეთვე მათი პროგნოზული ღირებულება სეფსისით გამოწვეული პოლიორგანული უკმარისობის გამოსავალში.

მასალა და მეთოდები

ჩვენ შევისწავლეთ ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებული 18 ავადმყოფი სეფსისის მძიმე ფორმით განპირობებული მრავლობითი ორგანული უკმარისობით – 3 ქალი და 15 მამაკაცი. საშუალო ასაკი 38 წელი (22-დან 73 წლამდე).

დაკვირვების ქვეშ მყოფ ყველა ავადმყოფს ორჯერადად განესაზღვრა დინამიკაში C-რეაქტიული ცილა და IL6. C-რეაქტიული ცილის განსაზღვრა წარმოებდა ტურბიდომეტრული მეთოდით (Roche), სათანადო დიაგნოსტიკუმით, ხოლო IL6-ის განსაზღვრა – ენზიმშეკავშირებული იმუნოსორბენტული მეთოდით (Dyaclon). პარალელურად, ავადმყოფთა სიმძიმე ფასდებოდა სეფსისით განპირობებული ორგანული უკმარისობის ხარისხის (SOFA) ცხრილის მიხედვით, 1-დან 24 ქულამდე.

შედეგები და მათი განხილვა

დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა ორგანული უკმარისობის სიმძიმე შეფასდა 4-დან 22 ქულამდე. დინამიკაში თითქმის ყველა მათგანის მდგომარეობა შეიცვალა (შემსუბუქდა ან დამძიმდა), მაგრამ 2 ან მეტი ქულით დინამიკური ცვლილება, ჩვენს მიერ შესწავლილ პერიოდში, 18-დან მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ 7 შემთხვევაში დადგინდა, მხოლოდ 1 ქულით შეიცვალა 10 ავადმყოფში და საერთოდ არ შეიცვლა 1 შემთხვევაში (პაციენტი გარდაიცვალა განმეორებითი შეფასებიდან 24 საათში).

პაციენტთა მდგომარეობა SOFA-ს ცხრილის შეფასებით დაიყო ორ ჯგუფად: 1-დან 12 ქულამდე და 13-დან 24 ქულამდე. პირველ ჯგუფში C-რეაქტიული ცილის საშუალო რაოდენობა იყო 92,3 მგ/ლ, ხოლო მეორე ჯგუფში – 129,5 მგ/ლ (მატება 1,4-ჯერ). შესაბამისად, IL6-ის რაოდენობამ შეადგინა 42,1 პგ/მლ და 58,6 პგ/მლ (მატება 1,39-ჯერ) (ცხრილი 1)

ცხრილი 1

C-რეაქტიული ცილის და IL6-ის საშუალო რაოდენობა სხვადასხვა სსიმძიმის ორგანული დზიანების დროს

ორგანულ დაზიანებათა სიმძიმე, ქულები SOFA-ს სკალით	C-რეაქტიული ცილა, მგ/ლ	ინტერლეიკინი-6, პგ/მლ
1-12	92,3 (n = 15)	42,1 (n = 18)
13-24	129,5 (n = 13)	58,6 (n = 13)

განსაკუთრებით საინტერესო იყო C-რეაქტიული ცილის რაოდენობის ცვლილების კორელაცია პაციენტის მდგომარეობის ცვლილებასთან. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესების (SOFA-ს ცხრილის შეფასებით ქულის შემცირება) 12 შემთხვევიდან C-რეაქტიული ცილის რაოდენობის შემცირება დადგინდა 9 შემთხვევაში (75%). ორ შემთხვევაში ის გაიზარდა, ხოლო ერთ შემთხვევაში დარჩა უცვლელი. პაციენტის მდგომარეობის გაუარესების (SOFA-ს ცხრილის შეფასებით ქულის გაზრდა) 5 შემთხვევაში C-რეაქტიული ცილის რაოდენობის გაზრდა აღირიცხა 3 შემთხვევაში. ერთ შემთხვევაში, პაციენტის დინამიკაში უცვლელი მდგომარეობის პირობებში დაფიქსირდა C-რეაქტიული ცილის კლება. ყველა შემთხვევაში ჩ-რეაქტიული ცილის ცვლილება იყო საგრძნობი (C-რეაქტიული ცილა შეიცვალა საწყის მაჩვენებელთან შედარებით მინიმუმ 15%-ით გაზრდით ან შემცირებით). მაშასადამე, C-რეაქტიული ცილის ადეკვატური ცვლილება პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ან გაუარესებასთან პირდაპირ კავშირში 17-დან 12 შემთხვევაში (70,6%) აღინიშნა.

რაც შეეხება IL6-ის ცვლილებას, ეს მაჩვენებელი პაციენტის მდგომარეობის დამძიმების 6 შემთხვევიდან მხოლოდ 3-ში გაიზარდა, არ შეცვლილა ერთ შემთხვევაში და მოიკლო 2 პაციენტში. პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებას IL6-ის შემცირება მოჰყვა 9-დან 6 შემთხვევაში, იგივე დარჩა ერთ შემთხვევაში და გაიზარდა ორში. ამრიგად, IL6-ის ადეკვატური ცვლილება 15-დან 9 შემთხვევაში (60%) აღინიშნა.

როგორც მიღებული შედეგები გვიჩვენებს, სეფსისით გამოწვეულ ორგანული უკმარისობის მარკერს წარმოადგენს როგორც C-რეაქტიული ცილა, ასევე IL6, რომელთა რაოდენობრივი განსხვავება, SOFA-ს ცხრილის შეფასებით, შედარებით მსუბუქ და მძიმე ორგანულ უკმარისობას შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღინიშნა თითქმის ანალოგიურად – 1,4-ჯერ. რაც შეეხება პაციენტის მდგომარეობის სიმძიმის განსაზღვრას დინამიკაში, აქ C-რეაქტიულ ცილასთან უკეთესი კორელაცია გამოვლინდა (70,6%), ვიდრე IL6-თან (60%).

ლიტერატურა

1. *Bauer J., Herrmann F.* Ann. Hematol., 1991, 62, 203-210.
2. *Deodhar S.* Cleve. Clin. J. Med., 1987, 56, 126-130.
3. *Dias L.P., Alves Ribeiro Ercasap S., Ates E.* Brazil. J. Infect. Dis., 1999, 3, 15-22.
4. DuCloss, Terry W. Ann. Med., 2000, 32, 274-278.
5. Hirano T. In: Interleukins: Molecular biology and immunology (T. Kishimoto, Ed.). Basel, Chem. Immunol., 1992, 51, 153-180.
6. *Kishimoto T, Akira S, Narazaki M, Taga T.* Blood, 1995, 86, 1243-1254.

ПРОГНОСТИЧЕСКАЯ ЦЕННОСТЬ С-РЕАКТИВНОГО БЕЛКА И IL-6 ПРИ ТЯЖЕЛОМ СЕПСИСЕ

К. Мшвидобадзе, А. Нануашвили

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Для диагностики и прогнозирования органических нарушений, вызванных сепсисом, применяются С-реактивный белок и интерлеикин-6, однако, каторому из них принадлежит прогностическое преимущество до конца не известно. При сравнительно легких и тяжелых формах органической недостаточности, изменения С-реактивного белка и интерлеикина-6 аналогичны. Что касается определения тяжести положения пациента в динамике, лучшая корреляция выявилась в отношение С-реактивного белка (70,6%), по сравнению с интерлеикином-6 (60%).

THE PROGNOSTIC VALUE OF C-REACTIVE PROTEIN AND INTERLEUKIN-6 DURING SEVERE SEPSIS

K. Mshvidobadze, A. Nanuashvili

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

C-reactive protein (CRP) and interleukin-6 (IL 6) are used in diagnosis and prognosis of sepsis-induced organic damage. However, it is not clear whether CRP or IL-6 is more useful in clinical settings. The analysis of our data demonstrated that in relatively mild, as well as in extensive organic insufficiency, both CRP and IL-6 levels increased 1.4 fold. The patients' clinical status dynamics was better correlated with CRP (70.6%) than with IL-6 (60%).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობის გავლენა ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფთა გარეგანი სუნთქვის ფუნქციაზე და კარდიო-ჰემოდინამიკის მაჩვენებლებზე

ნ. ნაკაიძე

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი

მიღებულია 29.10.2004

დაკვირვებები ჩატარდა ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულ 64 ადამიანზე, რომელთაც მკურნალობა ჩაუტარდათ პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით.

დადგენილია, რომ ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულებში აღნიშნული მეთოდით მკურნალობა იწვევს ბრონქული განვლადობის გაუმჯობესებას, ჰიპოქსიის შემცირებას, ზოგჯერ კი მის გაქრობასაც, ფილტვების სარეზერვო შესაძლებლობების ამაღლებას. აღნიშნული დადებითი ძვრები უფრო გამოხატული იყო ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტის დროს.

შინაგანი სუნთქვის ფუნქციის გაუმჯობესება დადებითად მოქმედებდა კარდიო-ჰემოდინამიკისა და ეკგ მაჩვენებლებზე. ეს პროცესი, რომელიც ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტის დროს უფრო ვლინდებოდა, გამოიხატება გულის რიტმისა და დარტყმითი ინდექსების დაქვეითებაში, პერიფერიული სისხლძარღვოვანი ხვედრითი წინააღმდეგობის მომატებაში, სისხლის მიმოქცევის აჩქარებაში "ფილტვი-ყურის" მიდამოში, არტერიული სისხლის წნევის და ეკგ მონაცემების ნორმალიზაციაში ან ნორმალიზაციისაკენ ტენდენციაში.

გარეგანი სუნთქვის ფუნქციისა და კარდიო-ჰემოდინამიკის დადებითი ცვლილებები იწვევენ ტოლერანტობის ამაღლებას ფიზიკური დატვირთვისადმი და ამ დროს შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობის გაზრდას.

მცირდებოდა აგრეთვე დატვირთვის შედეგად მომატებული პულსის და სისხლის არტერიული წნევის ნორმალიზაციის დრო.

საკვანძო სიტყვები: გარეგანი სუნთქვა, ულტრაფონოფორეზი, "სუპერ ლანგი", ქრონიკული ბრონქიტი, კარდიო-ჰემოდინამიკა

ქრონიკული ბრონქიტის პროგრესირების პათოგენეტიკურ ჯაჭვში მნიშვნელოვანი ადგილი გარეგანი სუნთქვის ფუნქციის დარღვევებს უჭირავს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც, თავის მხრივ, იწვევენ კარდიო-ჰემოდინამიკის მაჩვენებლების პათოლოგიურ ცვლილებებს [1, 2, 3].

მასალა და მეთოდები

გამოკვლეულია ქრონიკული არაობსტრუქციული ბრონქიტის (ქაბ) მქონე 30 და ქრონიკული ობსტრუქციული ბრონქიტის (ქობ) მქონე 34 ავადმყოფი, რომლებსაც ჩაუტარდათ მკურნალობა პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით. პრეპარატი წარმოადგენს სამკურნალო მცენარეების და ანტიოქსიდანტების ნარევს.

პრეპარატი შეგვყავდა ფილტვების ჰილუსების პროექციის მიდამოში.

პროცედურის მიღების დროს ენერგიის ნაკადის სიმკვრივე იყო 0,7 ვტ/სმ^2. ერთ ველზე (ერთი ფილტვის პოლუსის პროექციის მიდამო) ზემოქმედების დრო შეადგენდა 7,5 წთ. ერთი პროცედურის საერთო ხანგრძლივობა იყო 15 წთ. რეჟიმი – უწყვეტი. ავადმყოფებს ენიშნებოდათ 14-15 პროცედურა.

პროცედურის ჩასატარებლად გამოიყენებოდა "სუპერ ლანგი"-ს 10%-იანი მალამო. მალამოს დასამზადებლად აღნიშნული პრეპარატის 11 გ-ს ვხსნიდით 55 გ ლანოლინში და 55 გ ვაზელინის ზეთში.

მიღებული მეთოდების მიხედვით, მკურნალობამდე და მის შემდეგ, ქრონიკული ბრონქიტის (ქბ) მქონე ავადმყოფებში შეისწავლებოდა:

ა. გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლები: სუნთქვის სიხშირე, მოცულობა და წუთმოცულობა; ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია; შტანგესა და გენჩის სინჯების სიდიდეები; ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა (ფსტ); ფილტვების ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობა (ფფსტ) და ფილტვების ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობა I წამში (ფფსტ$_1$); ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმძლავრეები; წუთში ჟანგბადის შთანთქმა; ჟანგბადით არტერიული (O_2 არტ) და ვენური (O_2 ვენ) სისხლის გაჯერება.

ბ. კარდიო-ჰემოდინამიკის მაჩვენებლები: პულსის სიხშირე; სისხლის სისტოლური (სსაწ), დიასტოლური (სდაწ) და საშუალო დინამიკური არტერიული წნევა; გულისა და დარტყმითი ინდექსები; კუთრი პერიფერიული სისხლძარღვოვანი წინააღმდეგობა; "ფილტვ-ყურის" მონაკვეთზე სისხლის ნაკადის მოძრაობის სიჩქარე; ეკგ მონაცემები.

გ. ტოლერანტობა ფიზიკური დატვირთვის მიმართ ველოერგომეტრის მეშვეობით.

ფიზიკური დატვირთვის მიმართ ტოლერანტობის განსაზღვრისას გამოიყენებოდა უწყვეტად მზარდი საფეხურებრივი დატვირთვის მეთოდი. ავადმყოფებს ეძლეოდათ 2 სამწუთიანი დატვირთვა. დატვირთვის საწყისი სიმძლავრე შეადგენდა 150 კგმ/წთ-ში. მეორე დატვირთვის სიმძლავრე იყო 300 კგმ/წთ-ში.

ფიზიკური შრომისუნარიანობა განისაზღვრებოდა ფორმულით PWC = $N_1 + (N_2 - N_1) \times F - f_1 / f_2$; სადაც ჭჩ ფიზიკური შრომისუნარიანობაა, გულის შეკუმშვათა სიხშირის (გშს) ასაკობრივი ცვლილებების გათვალისწინებით; N_1 და N_2 წარმოადგენენ I და II დატვირთვის სიმძლავრეებს; f_1 და f_2 – გშს-ებია I და II დატვირთვების ბოლოს; – გულის შეკუმშვათა ის სიხშირე, რომელიც შეადგენს ასაკობრივი მაქსიმალური პულსის 87%-ს.

ქართული ბიბლიოთეკა

ვსაზღვრავდით, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს საერთო მოცულობას და სისხლის არტერიული წნევის მაჩვენებლებს I და II დატვირთვების ბოლოს. შეისწავლებოდა აგრეთვე გშს და სისხლის არტერიული წნევის სიდიდეების საწყის სიდიდეებამდე აღდგენის დრო.

შედეგები და მათი განხილვა

გარეგანი სუნთქვის ფუნქციის დარღვევები, ჩვენს მიერ გამოკვლეულ ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფებში, ვლინდებოდა სუნთქვის სიხშირის, მისი მოცულობისა და წუთმოცულობის გაზრდაში; წუთში ჟანგბადის შთანთქმის მატებაში; ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის, შტანგესა და გენჩის სინჯების სიდიდეების, ფსტ-ს, ფფსტ-ს, ფფსტ$_1$, ორი ბოლო მაჩვენებლის ცალ-ცალკე შეფარდების ფსტ-თან, ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმძლავრეების, არტერიული და ვენური სისხლის ჟანგბადით გაჯერების შემცირებით. აღნიშნული პატოლოგიური ძვრები მეტად გამოხატული იყო ქობ-ის მქონე ავადმყოფებში.

დადგენილ იქნა, რომ პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობა ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულ ავადმყოფებში იწვევს ბრონქული გამავლობის გაუმჯობესებას, ჰიპოქსიის დაქვეითებას (გაქრობამდე) და ფილტვების სარეზერვო შესაძლებლობების ზრდას. ყველაფერი ეს ვლინდებოდა სუნთქვის სიხშირის, მოცულობისა და წუთმოცულობის შემცირებაში; წუთში ჟანგბადის შთანთქმის დაქვეითებაში; ფსტ-ს, ფფსტ-ს, ფფსტ$_1$, ბოლო ორი მაჩვენებლის ცალ-ცალკე შეფარდების ფსტ-თან, ჩასუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმძლავრეების, ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის, შტანგესა და გენჩის სინჯების სიდიდეების, ჟანგბადით არტერიული და ვენური სისხლის გაჯერების მატებაში. აღნიშნული დადებითი ძვრები უფრო გამოხატული იყო ძაბ-ს დროს (ცხრილი 1).

ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფებში ბრონქული გამავლობის გაუარესება, გულ-მკერდის ღრუში შიდა წნევის მომატება, ალვეოლურ ვენტილაციასა და ფილტვებში სისხლის ნაკადს შორის შეუსაბამობა და ჰიპოქსია, უარყოფითად მოქმედებენ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციაზე.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფებში აღინიშნებოდა გულის და დარტყმითი ინდექსების მატება, კუთრი პერიფერიული სისხლძარღვოვანი წინააღმდეგობის დაქვეითება; "ფილტვყურის" მონაკვეთზე სისხლის ნაკადის სიჩქარის შენელება; ამა თუ იმ ხასიათის პათოლოგიური ეკგ ძვრები, რომლებიც ძირითადად გამოწვეული იყო გულის მარჯვენა განაყოფების ცვლილებებით. აღნიშნული პათოლოგიური ძვრები უფრო გამოხატული იყო ქობ-ის დროს.

სისხლის სისტოლური, დიასტოლური და საშუალო დინამიკური არტერიული წნევის მაჩვენებლები ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფებში, ძირითადად მერყეობდნენ ნორმის ფარგლებში. საშუალოდ, მკურნალობამდე, ქობ-ის დროს აღინიშნებოდა ამ მაჩვენებლების გარკვეული ზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

პრეპარატ „სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობის გავლენა ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფთა გარეგანი სუნთქვის ფუნქციის მაჩვენებლებზე (ყველგან p < 0,001)

მაჩვენებლები			პათოლოგიის ფორმები	
			ქაბ (n = 30)	ქობ (n = 34)
სუნთქვის სიხშირე წუთში (N = 11-15 წუთში; 12,44 ± 0,27 წუთში)	M ± m	მკ-მდე	20,73 ± 0,27	24,91 ± 0,24
		მკ. შემდეგ	13,73 ± 0,15	20,32 ± 0,21
	t		*21,79*	*14,11*
სუნთქვის წუთმოცულობა, %% (N = 100,44-150,24; 140,75 ± 1,28)	M ± m	მკ-მდე	174,96 ± 2,33	206,67 ± 1,37
		მკ. შემდეგ	156,09 ± 2,03	196,14 ± 0,99
	t		*6,09*	*6,19*
სუნთქვის მოცულობა, ‰ (N = 89,22-126,46; 114,57 ± 1,28)	M ± m	მკ-მდე	151,30 ± 2,18	170,97 ± 0,76
		მკ. შემდეგ	123,29 ± 1,79	154,04 ± 0,83
	t		*9,91*	*15,02*
ფილტვების მაქსიმალური ვენტილაცია, ‰ (N = 94,56-125,32; 103,57 ± 0,63)	M ± m	მკ-მდე	58,46 ± 0,56	41,63 ± 0,74
		მკ. შემდეგ	82,87 ± 0,55	59,20 ± 0,86
	t		*30,79*	*15,44*
შტანგეს სინჯი, წამებში (N = 50-58 წამი; 54,92 წამი ± 0,50 წამი)	M ± m	მკ-მდე	34,03 ± 0,28	21,91 ± 0,28
		მკ. შემდეგ	42,76 ± 0,31	26,52 ± 0,32
	t		*20,31*	*10,75*
გენჩის სინჯი, წამებში (N = 35-40 წამი; 37,56 წამი ± 0,38 წამი)	M ± m	მკ-მდე	25,00 ± 0,36	15,73 ± 0,30
		მკ.შემდეგ	31,16 ± 0,30	18,52 ± 0,32
	t		*12,94*	*6,33*
ფსტ, ‰ (N = 92,24-126,28; 104,5 ± 0,81)	M ± m	მკ-მდე	58,99 ± 0,51	39,81 ± 0,60
		მკ. შემდეგ	80,63 ± 0,50	55,70 ± 0,60
	t		*30,07*	*18,57*
ფფსტ, ლ (N = 4,5-6,4; 5,24 ± 0,18)	M ± m	მკ-მდე	2,69 ± 0,02	1,82 ± 0,03
		მკ. შემდეგ	4,96 ± 0,03	2,98 ± 0,04
	t		*45,77*	*19,71*
ფფსტ$_I$, ლ (N = 3,4-5,2; 4,58 ± 0,23)	M ± m	მკ-მდე	1,70 ± 0,03	1,04 ± 0,01
		მკ. შემდეგ	3,35 ± 0,03	1,77 ± 0,02
	t		*32,67*	*27,13*
ფფსტ / ფსტ, ‰ (N = 94,56-138,84; 119,02 ± 1,21)	M ± m	მკ-მდე	74,74 ± 0,64	59,05 ± 0,94
		მკ. შემდეგ	97,86 ± 0,28	73,32 ± 0,85
	t		*32,85*	*11,17*
ფფსტ$_I$ / ფსტ, ‰ (N = 74,26-113,84; 97,60 ± 0,68)	M ± m	მკ-მდე	47,31 ± 1,20	34,41 ± 0,83
		მკ. შემდეგ	66,33 ± 0,82	43,83 ± 0,83
	t		*12,99*	*7,97*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1 (გაგრძელება)

ჩასუნთქვის სიმძლავრე, ლ/წმ (N = 4,4-6,2; 5,54 ± 0,08)	M ± m	მკ-მდე	3,47 ± 0,07	2,32 ± 0,01
		მკ. შემდეგ	5,42 ± 0,03	3,93 ± 0,07
	t		*23,17*	*20,02*
ამოსუნთქვის სიმძლავრე, ლ/წმ (N = 3,8-5,4; 4,58 ± 0,23)	M ± m	მკ-მდე	2,43 ± 0,05	1,56 ± 0,02
		მკ. შემდეგ	4,18 ± 0,05	2,88 ± 0,04
	t		*22,29*	*24,47*
ჟანგბადის შთანთქმა წუთში, ‰ (N = 82,36-119,54; 100,94 ± 1,44)	M ± m	მკ-მდე	157,71 ± 0,96	189,49 ± 3,42
		მკ. შემდეგ	133,66 ± 1,19	173,26 ± 3,42
	t		*15,63*	*3,34*
არტერიული სისხლის გაჯერება ჟანგბადით, ‰ (N = 94,2-95,8; 95,14 ± 0,12)	M ± m	მკ-მდე	90,64 ± 0,10	87,20 ± 0,07
		მკ. შემდეგ	95,08 ± 0,17	89,36 ± 0,21
	t		*21,73*	*9,59*
ვენური სისხლის გაჯერება ჟანგბადით, ‰ (N = 73,4-75,6; 74,94 ± 0,18)	M ± m	მკ-მდე	67,62 ± 0,07	58,83 ± 0,24
		მკ. შემდეგ	73,49 ± 0,10	62,18 ± 0,25
	t		*46,68*	*9,46*

ამავე დროს, ქობ-ის დროს უფრო ხშირი იყო ტაქიკარდიის შემთხვევები, ქაბ-ის დროს კი – ბრადიკარდიის შემთხვევები.

პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობა ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფებში იწვევდა გულისა და დარტყმითი ინდექსების შემცირებას; კუთრი პერიფერიული სისხლძარღვოვანი წინააღმდეგობის მატებას; "ფილტვ-ყურის" მონაკვეთზე სისხლის ნაკადის სიჩქარის ზრდას; მანორმალიზირებლად მოქმედებდა სისხლის არტერიული წნევის მაჩვენებლებზე და ეკგ მონაცემებზე. აღნიშნული დადებითი ძვრები უფრო გამოხატული იყო ქობ-ის დროს (ცხრილები 2 და 3).

ცხრილი 2

პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობის გავლენა ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფთა კარდიო-ჰემოდინამიკის მაჩვენებლებზე

მაჩვენებლები			**პათოლოგიის ფორმები**	
			ქაბ (n = 30)	**ქობ (n = 34)**
პულსის სიხშირე, წუთში (N – 60-80; 72 ± 1,88)	M ± m	მკ-მდე	75,53 ± 1,44	79,76 ± 1,53
		მკ.შემდეგ	71,06 ± 0,81	77,47 ± 1,30
	t		2,68	1,13
	p		< 0,02	> 0,2
სისხლის სისტოლური არტერიული წნევა, mmHg (N = 110-150; 121,20 ± 1,88)	M ± m	მკ-მდე	121,16 ± 3,00	136,03 ± 1,00
		მკ.შემდეგ	111,67 ± 1,03	129,71 ± 2,25
	t		2,98	2,56
	p		< 0,001	< 0,02

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2 (გაგრძელება)

სისხლის დიასტოლური არტერიული წნევა, mmHg (N = 70-90; 79,20 ± 1,15)	M ± m	მკ-მდე	79,33 ± 1,67	84,55 ± 1,87
		მკ.შემდეგ	71,16 ± 0,65	79,11 ± 1,27
	t		4,53	2,40
	p		< 0,001	< 0,05
სისხლის საშუალო დინამიკური არტერიული წნევა, mmHg (N = 87-112; 97,16 ± 1,43)	M ± m	მკ-მდე	97,27 ± 2,22	107,00 ± 2,32
		მკ.შემდეგ	88,40 ± 0,81	101,74 ± 1,61
	t		3,74	3,25
	p		< 0,001	< 0,01
გულის ინდექსი, ლ/წთ/მ^2 (N = 2,42-3,36; 2,82 ± 0,09)	M ± m	მკ-მდე	4,25 ± 0,05	5,86 ± 0,05
		მკ.შემდეგ	2,82 ± 0,02	4,69 ± 0,06
	t		24,64	13,63
	p		< 0,001	< 0,001
დარტყმითი ინდექსი, მლ/მ^2 (N = 30,25-56,00; 39,16 ± 0,42)	M ± m	მკ-მდე	56,90 ± 1,09	74,61 ± 1,83
		მკ.შემდეგ	39,89 ± 0,52	61,14 ± 1,40
	t		14,00	5,82
	p		< 0,001	< 0,001
კუთრი პერიფერიული სისხლ-ძარღვოვანი წინააღმდეგობა, პ.ე. (N = 25,88-46,29; 34,46 ± 0,39)	M ± m	მკ-მდე	22,90 ± 0,56	18,30 ± 0,44
		მკ.შემდეგ	31,34 ± 0,37	21,90 ± 0,56
	t		12,45	5,03
	p		< 0,001	< 0,001
სისხლის ნაკადის მოძრაობის დრო „ფილტვ-ყურის" მონაკვეთზე, წმ (N = 3,2-4,2; 4,09 ± 0,10)	M ± m	მკ-მდე	5,99 ± 0,08	8,02 ± 0,12
		მკ.შემდეგ	3,10 ± 0,05	6,24 ± 0,12
	t		27,87	10,02
	p		< 0,001	< 0,001

ცხრილი 3

პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობის გავლენა ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფთა პათოლოგიურ ეკგ ცვლილებებზე

მაჩვენებლები			**პათოლოგიის ფორმები**			
			ძაბ (n = 30)		**ძობ (n = 34)**	
			აბს.	**%**	**აბს.**	**%**
გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარჯვნივ	**მკ-მდე**		12	40,00	28	76,47
	მკ. შემდეგ	გაქრა	–	–	–	–
		შემცირდა	12	40,00	26	82,35
		დუ	–	–	1	2,94
		მოიმატა	–	–	1	2,94

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 3 (გაგრძელება)

გულის ელექტრული ღერძის გადახრა მარცხნივ	მკ-მდე				2	5,88
	მკ. შემდეგ	გაქრა			–	–
		შემცირდა			2	5,88
		დუ			–	–
მარჯვენა პარკუჭის ჰიპერტროფიის ნიშნები	მკ-მდე				2	5,88
	მკ. შემდეგ	გაქრა			–	–
		შემცირდა			–	–
		დუ			2	5,88
მარჯვენა პარკუჭის გადაძაბვის ნიშნები	მკ-მდე		4	13,33	9	26,47
	მკ. შემდეგ	გაქრა	4	13,33	3	8,82
		შემცირდა	–	–	4	11,76
		დუ	–	–	1	2,94
		გაუძლიერდა	–	–	1	2,94
ჰისის კონის მარჯვენა ფეხის არასრული ბლოკადის ნიშნები	მკ-მდე				4	11,76
	მკ. შემდეგ	გაქრა			–	–
		შემცირდა			2	5,88
		დუ			2	5,88
ატრიოვენტრიკულური გამტარობის შენელება	მკ-მდე		2	6,66	9	26,47
	მკ. შემდეგ	გაქრა	2	6,66	2	5,88
		შემცირდა	–	–	5	14,70
		დუ	–	–	2	5,88
სინუსური ტაქიკარდია	მკ-მდე		2	6,66	5	14,70
	მკ. შემდეგ	გაქრა	1	3,33	1	2,94
		შემცირდა	1	3,33	2	5,88
		დუ	–	–	1	2,94
		მოიმატა	–	–	1	2,94
სინუსური ბრადიკარდია	მკ-მდე		3	10,00	2	5,88
	მკ. შემდეგ	გაქრა	3	10,00	1	2,94
		შემცირდა	–	–	1	2,94
		დუ	–	–	–	–
პარკუჭოვანი ექსტრასისტოლია	მკ-მდე				4	11,76
	მკ. შემდეგ	გაქრა			3	8,82
		შემცირდა			1	2,94
		დუ			–	–

გარეგანი სუნთქვის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციების გაუმჯობესება, ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულებში იწვევდა ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიკური შრომისუნარიანობის და დატვირთვის დროს მთლიანი შესრულებული სამუშაოს მოცულობის ზრდას. ნაკლებად, I და II ფიზიკური დატვირთვის ბოლოს, იზრდებოდა გულის შეკუმშვათა სიხშირე და სისხლის არტერიული წნევის მაჩვენებლების სიდიდეები. აღნიშნული დადებითი ძვრები, რომლებიც უფრო გამოხატული იყო ძაბ-ის დროს, წარმოდგენილია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4

პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობის ზეგავლენა ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფთა ველოერგომეტრიული გამოკვლევის მაჩვენებლებზე

მაჩვენებლები				პათოლოგიის ფორმები	
				ძაბ (n = 26)	ძობ (n = 28)
ფიზიკური შრომისუნარიანობა, კგმ/წთ (N = 1221- 2049; 1624,84 ± 50,46)	M ± m	მკ-მდე		693,69 ± 27,89	360,64 ± 20,48
		მკ. შემდეგ		1175,65 ± 33,79	571,17 ± 29,72
	t			10,99	5,83
	p			< 0,001	< 0,001
შესრულებული მუშაობის მოცულობა, კგმ (N = 750-1350; 1153,84±36,99)	M ± m	მკ-მდე		923,07 ± 29,64	707,14 ± 27,66
		მკ. შემდეგ		1075,96 ± 33,00	808,92 ± 25,97
	t			3,44	3,61
	p			< 0,01	< 0,01
გშს I დატვირთვის ბოლოში, წთ (ნორმები: ფონი – 64-78; 70,07 ± 0,72; დატვირთვის ბოლოს – 78-90; 83,23 ± 0,71)	მკ-მდე	M ± m	ფონი	75,46 ± 1,69	80,00 ± 1,88
			დატვირთვის ბოლოში	95,38 ± 1,51	112,00 ± 1,52
		t		8,75	13,20
		p		< 0,001	< 0,001
	მკ. შემდეგ	M ± m	ფონი	71,23 ± 0,94	76,92 ± 1,85
			დატვირთვის ბოლოში	89,07 ± 0,99	101,85 ± 1,69
		t		12,99	9,92
		p		< 0,001	< 0,001
გშს II დატვირთვის ბოლოში წთ (ნორმები: ფონი – 64-78; 70,07 ± 0,72; დატვირთვის ბოლოს – 90-104; 96,61 ± 0,78)	მკ-მდე	M ± m	ფონი	75,46 ± 1,69	80,00 ± 1,88
			დატვირთვის ბოლოში	111,15 ± 1,87	134,71 ± 1,29
		t		14,12	23,92
		p		< 0,001	< 0,001
	მკ. შემდეგ	M ± m	ფონი	71,23 ± 0,94	76,92 ± 1,85
			დატვირთვის ბოლოში	101,30 ± 1,10	118,92 ± 1,53
		t		20,61	17,47
		p		< 0,001	< 0,001

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 4 (გაგრძელება)

სსაწ I დატვირთვის ბოლოს, mmHg (ნორმები: ფონი – 110-140; 125,38 ± 1,26; დატვირთვის ბოლოს – 140-120; 136,53 ± 1,10)	მკ-მდე	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	122,50 ± 3,30 139,42 ± 3,44	135,35 ± 3,55 157,85 ± 3,12
		t		3,54	4,75
		p		< 0,01	< 0,001
	მკ. შემდეგ	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	111,92 ± 1,21 121,92 ± 1,24	129,64 ± 2,78 144,46 ± 2,85
		t		5,76	3,71
		p		< 0,001	< 0,001
სსაწ II დატვირთვის ბოლოს, mmHg (ნორმები: ფონი – 110-140; 125,38 ± 1,26; დატვირთვის ბოლოს – 130-155; 149,81 ± 1,28)	მკ-მდე	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	122,50 ± 3,30 150,00 ± 3,46	135,35 ± 3,55 172,85 ± 2,65
		t		5,74	8,45
		p		< 0,001	< 0,001
	მკ. შემდეგ	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	111,92 ± 1,21 127,69 ± 1,24	129,64 ± 2,78 154,64 ± 2,74
		t		9,06	6,39
		p		< 0,001	< 0,001
სდაწ I დატვირთვის ბოლოს, mmHg (ნორმები: ფონი – 70-80; 76,73 ± 0,78; დატვირთვის ბოლოს – 70-80; 75,00 ± 0,67)	მკ-მდე	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	80,00 ± 1,81 80,76 ± 1,53	84,46 ± 2,31 88,75 ± 2,00
		t		0,32	1,39
		p		> 0,5	> 0,1
	მკ. შემდეგ	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	71,34 ± 1,70 70,19 ± 0,51	79,10 ± 1,56 76,60 ± 2,04
		t		0,64	0,97
		p		> 0,5	> 0,2
სდაწ II დატვირთვის ბოლოს, mmHg (ნორმები: ფონი – 70-80; 76,73 ± 0,78; დატვირთვის ბოლოს – 70-80; 73,26 ± 0,55)	მკ-მდე	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	80,00 ± 1,81 86,15 ± 1,76	84,46 ± 2,31 93,57 ± 1,90
		t		2,43	3,03
		p		< 0,05	< 0,01
	მკ. შემდეგ	M ± m	ფონი დატვირთვის ბოლოში	70,57 ± 0,57 69,23 ± 0,53	79,10 ± 1,56 74,82 ± 2,43
		t		1,71	1,48
		p		> 0,1	> 0,1

მცირდებოდა აგრეთვე II ფიზიკური დატვირთვის შედეგად გულის შეკუმშვათა სიხშირის და სისხლის სისტოლური და დიასტოლური წნევის გაზრდილი სიდიდეების საწყის სიდიდეებამდე დაბრუნების დრო (ცხრილი 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 5

პრეპარატ "სუპერ ლანგი"-ს ულტრაფონოფორეზით მკურნალობის გავლენა ფიზიკური დატვირთვის შედეგად კარდიო-ჰემოდინამიკის გაზრდილი სიდიდეების საწყის სიდიდეებამდე აღდგენის დროზე, ქრონიკული ბრონქიტის მქონე ავადმყოფებში

გამოკვლევის ეტაპი	პათოლოგიის ფორმები							
	ქაბ (n = 26)				ქობ (n = 28)			
	აღდგენის დრო							
	3 წუთი		5 წუთი		3 წუთი		5 წუთი	
	აბს.	‰	აბს.	‰	აბს.	‰	აბს.	‰
მკურნალობამდე	10	38,46	12	46,15	5	17,85	12	42,85
მკურნალობის შემდეგ	22	84,61	4	15,38	16	57,14	12	42,85

ლიტერატურა

7. *Чарыев А.Ч.* В кн.: Дифференциальная диагностика при бронхолегочной патологии. Москва, Пульс, 1992, 11-31.
8. *Doyle K.L., Mark J.B.* Adv. Intern. Med., 1998, 43, 233-252.
9. *Schwaiblmair J.L., Reichenspurner H.D., Muller C.D., et al.* Am. J. Respir. Care Med., 1999, 159, 1277-1283.

ВЛИЯНИЕ ЛЕЧЕНИЯ БОЛЬНЫХ ХРОНИЧЕСКИМ БРОНХИТОМ УЛЬТРАФОНОФОРЕЗОМ ПРЕПАРАТА "СУПЕР ЛАНГ" НА ФУНКЦИЮ ВНЕШНЕГО ДЫХАНИЯ И КАРДИО-ГЕМОДИНАМИЧЕСКИЕ ПОКАЗАТЕЛИ

Н. Накаидзе

Цхалтубский филиал Грузинского научно-исследовательского института курортологии и физиотерапии

РЕЗЮМЕ

Обследовано 64 больных хрониическим бронхитом, которых лечили уьтрафонофоретическим введением препарата "Супер Ланг". Установлено, что указаный метод лечения улучшает проводимость бронхов, уменьшает либо полностью устраняет гипоксию и увеличивает резервные возможности легких. Указанные положительные сдвиги лучше проявляются у больных необструктивным хроническим бронхитом.

Улучшение внутреннего дыхания оказывало положительное воздействие на кардиодинамические и ЭКГ показатели – уменьшались индексы сердечного и пульсового ритма, повышалась резистентность периферических сосудов и т.д. Подобное воздействие в наибольшей степени проявляется у больных необструктивным хроническим бнонхитом.

Позитивные сдвиги в функции внешнего дыхания и в кардио-гемодинамических показателях увеличивало толерантность к физическим нагрузкам и общий объём работы, выполняемой при нагрузке.

ეროვნული ბიბლიოთეკა

EFFECT OF TREATMENT WITH ULTRAPHONOPHORESIS OF PREPARATION "SUPER LUNG" ON FUNCTION OF LUNG VENTILATION AND CARDIO-HEMODYNAMIC INDICES IN PATIENTS WITH CHRONIC BRONCHITIS

N. Nakaidze

Georgian Institute of Health-Resoprt Management and Physiotherapy, Tskhaltubo Branch

SUMMARY

Observations were carried on in 64 patients with chronic bronchitis subjected to the ultraphonophoresis of the preparation "Super Lung" .

It has been established that the treatment results in improvement of bronchial permeability, reduction of the hypoxia (up to its elimination), increase of reserve capacity of the lungs. The mentioned positive shifts were more pronounced in chronic non-obstructive bronchitis.

The improvement of the lung ventilation function had a positive influence on the cardio-hemodynamics and ECG indices. This process, more expressed in chronic non obstructive bronchitis, resulted in decrease of cardiac and pulse rate indices, as well as in increase of specific resistance of peripheral vessels, hastening of the blood flow in the area "lungs-ear", normalization of the indices in arterial blood pressure or its tendency, and ECG.

Positive changes in the function of the lung ventilation and cardio-hemodynamics induced increase of tolerance to physical loading, as well as increase of overall volume of the work done during the loading.

Time of the pulse rate normalization increased during physical loading and arterial blood pressure decreased as well.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

КЛЕТОЧНЫЕ ИНДЕКСЫ ПУПОВИННОЙ КРОВИ У НОВОРОЖДЕННЫХ С ВЫСОКИМИ ПЕРИНАТАЛЬНЫМИ РИСК-ФАКТОРАМИ ПРИ ВНУТРИУТРОБНОМ ИНФИЦИРОВАНИИ

Э.Г. Николейшвили, И.И. Таборидзе, Л.Т. Аладашвили, Л.Г. Гелашвили, Л.Г. Сидамонидзе

Педиатрическая клиника им. Гурамишвили №5, Тбилиси; Экспериментальные родильные дома г. Тбилиси

Принята 25.10.2004

Клинические анализы крови и их интерпретация занимают одно из ведущих мест в клинической практике, особенно в динамике патологического процесса. Кроме диагностического значения, данные клинического анализа крови и определение гематологических индексов часто имеют большое прогностическое значение [4]. В связи с этим, особый интерес вызывают показатели индексов белой крови [2, 3], такие как лейкоинтоксикационный индекс (ЛИИ), лимфоцитарный индекс (ЛИ), индекс иммунореактивности (ИИР), индекс ядерного сдвига (ИЯС), нейтрофил-лимфоцитарный коэффициент (НЛК) и индекс Н : О [1, 5, 6].

ЛИ оказался значимым для недоношенности и для летальности среди недоношенных. ИЯС оказался информативным для летальности среди недоношенных и был, также, повышен в группе риска по сравнению с контролем. Индекс Н : О повышен в группе риска сравнительно с контрольной группой. ЛИИ, на нашем материале, оказался неинформативным для всех групп сравнения.

Ключевые слова: инфекции, лейкоинтоксикационный индекс, лимфоцитарный индекс, индекс иммунореактивности, индекс ядерного сдвига, нейтрофил-лимфоцитарный коэффициент, индекс Н : О, пуповинная кровь

Целью работы являлось определение индексов белой крови в плазме пуповинной крови (лейкоинтоксикационный индекс – ЛИИ, лимфоцитарный индекс ЛИ, индекс иммунореактивности – ИРИ, индекс ядерного сдвига – ИЯС, нейтрофил-лимфоцитарный коэффициент – НЛК и индекс Н : О, соотношение незрелых форм лейкоцитов к общему их числу) при рождении у детей высокого риска развития инфекционного процесса.

МАТЕРИАЛ И МЕТОДЫ

Работа выполнена на основе исследования пуповинной крови 90 новорожденных, рожденных от матерей высокого риска. Среди них недоношенных – 45.

Исследование проспективно-когортное. Новорожденные из контингента родильного дома №5 и экспериментального роддома г. Тбилиси, 2002-2004 гг.

Контрольную группу составили 48 детей, рожденных от матерей без факторов риска, среди них недоношенных – 5.

В группы риска включали новорожденных, матери которых имели следующие риск-факторы: клинические бактериальные, вирусные и грибковые инфекционные процессы непосредственно до родов и при родах, в частности хориоамнионит, клинически выявленный бактериальный вагиноз и хронические урогенитальные инфекции; многочисленные аборты и мертворождения в анамнезе; гестоз, продолжавшийся >4 недель. Риск-факторы со стороны плода: безводный промежуток более 12 часов, стремительные роды, рождение с низкой массой тела, многоплодие, маловодие, многоводие, асфиксия, СДР первого типа, РДС, новорожденные, нуждающееся в инвазивных процедурах.

Статистическая обработка данных включала подсчет средних арифметических величин (M), стандартных ошибок средних арифметических (m). Достоверность различия показателей между группами рассчитывались по коэффициенту Стьюдента, различие считали значимым при $P < 0,05$. Анализ данных проводился с помощью пакета прикладных программ SPSS 11.5.

РЕЗУЛЬТАТЫ И ИХ ОБСУЖДЕНИЕ

За период наблюдения из когорты высокого риска выделились следующие группы: сепсис новорожденных развился у 41, умерли 26 новорожденных. Смертность среди недоношенных – 53,2%. среди доношенных – 4,4%.

Бактериологически доказанный сепсис оказался у 23 новорожденных, среди них St.aureus – у 5, Escherichia coli – 3, Citrobacter – 2, Salmonella SPP – 1, Klebsiella – 5, Candida – 3, Ceratia – 1, микст-инфекции: Candida+St.aureus – 1, E.coli+Proteus – в 2-х случаях.

Сравнение клеточных индексов пуповинной крови группы риска и контрольной группы показало (Таблица 1), что в группе риска значимо повышены ИЯС, ИН.

Таблица 1

Статистическое различие между показателями белой крови среди новорожденных из группы риска и из группы контроля

Показатели	Группа контроля, n = 49	Группа риска, n = 90	P <
ЛИИ	1,27 ± 0,09	1,56 ± 1,46	0,1858
ЛИ	0,25 ± 0,02	0,35 ± 0,35	0,0650
ИИР	4,44 ± 0,33	5,99 ± 6,12	0,0907
ИЯС	0,09 ± 0,01	0,19 ± 0,13	0,0000
Н : О	0,07 ± 0,00	0,16 ± 0,11	0,0000
НЛК	4,52 ± 0,34	3,84 ± 2,08	0,0803

Выделение из этих групп недоношенных детей показало, что среди них значимое различие не отмечается (Таблица 2), в то время, как среди доношенных детей значимыми оказались для ИЯС и Н : О. Значимость различия в исследуемых параметрах среди недоношенных и доношенных, приведены в Таблице 3.

Таблица 2

Статистическое различие между показателями белой крови и СРБ среди новорожденных из группы риска и из группы контроля по возрасту гестации

Показатели	Недоношенные из группы риска, n = 46	Недоношенные из группы контроля, n = 5	P<	Доношенные из группы риска, n = 45	Доношенные из группы контроля, n = 44	P<
ЛИИ	1,71 ± 0,27	1,20 ± 0,19	0,5425	1,40 ± 0,13	1,28 ± 0,10	0,4916
ЛИ	0,43 ± 0,06	0,26 ± 0,05	0,3760	0,27 ± 0,04	0,25 ± 0,02	0,6755
ИРИ	6,55 ± 1,09	4,34 ± 0,38	0,5102	5,45 ± 0,66	4,45 ± 0,36	0,1884
ИЯС	0,18 ± 0,02	0,10 ± 0,02	0,1920	0,19 ± 0,02	0,08 ± 0,01	0,0000
Н : О	0,16 ± 0,02	0,07 ± 0,02	0,1381	0,15 ± 0,01	0,07 ± 0,00	0,0000
НЛК	3,60 ± 0,33	3,90 ± 0,55	0,7634	4,05 ± 0,29	4,59 ± 0,37	0,2453

Таблица 3

Значимость различия между показателями белой крови среди недоношенных и доношенных детей

Показатели	Доношенные, n = 89	Недоношенные, n = 51	P<
ЛИИ	1,34 ± 0,08	1,66 ± 0,25	0,140
ЛИ	0,26 ± 0,02	0,41 ± 0,06	0,003
ИРИ	4,95 ± 0,38	6,34 ± 0,99	0,126
ИЯС	0,14 ± 0,01	0,17 ± 0,02	0,110
Н : О	0,11 ± 0,01	0,15 ± 0,02	0,060
НЛК	4,32 ± 0,24	3,63 ± 0,30	0,0750

Как видно из таблицы, у недоношенных детей в пуповинной крови отмечается значимое повышение ЛИ.

На следующем этапе исследования сравнили клеточные индексы среди детей рожденных матерями из группы риска, по летальному исходу (Таблица 4).

Как видно из таблицы, в группе летального исхода в пуповинной крови значимо повышены все параметры, кроме Н : О.

На следующем этапе исследования сравнили клеточные индексы среди недоношенных детей рожденных матерями из группы риска, по исходу (Таблица 5).

ეროვნული ბიბლიოთეკა

Таблица 4

Статистическая оценка смертности детей в группе риска по клеточным показателями белой крови

Показатели	Летальный исход, n = 26	Благоприятный исход, n = 64	P<
ЛИИ	2,01 ± 0,46	1,38 ± 0,10	0,0481
ЛИ	0,54 ± 0,10	0,27 ± 0,03	0,0000
ИИР	8,38 ± 1,83	5,01 ± 0,48	0,0000
ИЯС	0,23 ± 0,03	0,17 ± 0,02	0,0054
Н:О	0,19 ± 0,03	0,14 ± 0,01	0,3893
НЛК	2,95 ± 0,51	4,20 ± 0,22	0,0000

Таблица 5

Статистическая оценка смертности недоношенных детей в группе риска по клеточным показателям белой крови

Показатели	Летальный исход, n = 24	Благоприятный исход, n = 22	P<
ЛИИ	2,12 ± 0,49	1,26 ± 0,16	0,115
ЛИ	0,57 ± 0,11	0,27 ± 0,03	0,011
ИРИ	8,79 ± 1,96	4,11 ± 0,40	0,030
ИЯС	0,22 ± 0,03	0,14 ± 0,02	0,030
Н : О	0,19 ± 0,03	0,12 ± 0,02	0,118
НЛК	3,19 ± 0,53	4,04 ± 0,36	0,197

Как видно из таблицы, среди недоношенных для летального исхода значимыми оказались ЛИ, ИЯС и ИРИ в пуповинной крови.

Как показали наши результаты, клеточные индексы являются информативными для определения исхода в группах высокого риска развития инфекционного процесса.

На нашем материале ЛИИ оказался неинформативным для всех групп сравнения.

ЛИ оказался значимым для недоношенности и для определения летальности среди недоношенных. ИЯС оказался информативным для летальности среди недоношенных и так же повышен в группе риска по сравнению с контролем. Индекс Н : О повышен в группе риска по сравнению с контролем.

На основании описанного материала, можно заключить, что анализ комплекса использованных нами клеточных индексов реактивности выявил существенные значения для новорожденных в группах высокого риска. Индексы белой крови определяют летальность в группе риска.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРА

1. *Clark J.* Eur. J. Pediat., 1995, 154, 138-144.
2. *Dollner H, Vatten L, Linnebo I, Zanussi GF, Laerdal A, Austgulen R.* Biol. Neonate, 2001, 80, 41-72.
3. *Hatherill M., Tibby S.M., Sykes K., Turner C., Murdoc I.A.* Arch. Dis. Child., 1999, 81, 417-421.
4. *Булак Г.В.* Дисс. канд. мед. наук, Москва, 2000.
5. *Иванов Д.О.* Автореферат дисс....доктора медицинских наук.Санкт-Петербург, 2002.
6. *Шабалов Н.П., Иванов Д.О.* Академический медицинский журнал, 2001, 1, 81-88.

ჭიპლარის სისხლის უჯრედული ინდექსები მაღალი პერინატალური რისკის ფაქტორების მქონე ახალშობილებში საშვილოსნოსშიდა ინფიცირებისას

ე. ნიკოლეიშვილი, ი. თაბორიძე, ლ. ალადაშვილი, ლ. გელაშვილი, ლ. სიდამონიძე

მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა №5; ქ. თბილისის ექსპერიმენტული სამშობიარო სახლები

რეზიუმე

სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა თეთრი სისხლის ინდექსების ინფორმატიულობის განსაზღვრა ჭიპლარის სისხლის პლაზმაში (ლეიკოინტოქსიკაციური ინდექსი, ლიმფოციტური ინდექსი, იმუნორეაქტიულობის ინდექსი, ბირთვის წანაცვლების ინდექსი, უ/ს ფარდობა. სამუშაო შესრულებულია 90 მაღალი რისკის და 48 საკონტროლო ახალშობილის შესწავლის საფუძველზე ქ. თბილისის №5 და ექსპერიმენტული სამშობიარო სახლების კონტინგენტში. ლიმფოციტური ინდექსი მომატებულია დღენაკლულებში და ინფორმატიულია ლეტალობისათვის. ბირთვების წანაცვლების ინდექსი მომატებულია რისკის ჯგუფში კონტროლთან შედარებით და ინფორმატიულია დღენაკლულებში, ლეტალური გამოსავალის განსაზღვრისათვის, უ/ს-ფარდობა მომატებულია რისკის ჯგუფში კონტროლთან შედარებით. ლეიკოინტოქსიკაციური ინდექსი არ არის ნიშნადი არც ერთ შესასწავლ ჯგუფში.

CELLULAR INDICES OF UMBILICAL BLOOD IN THE NEONATES WITH HIGH PERINATAL RISK-FACTORS DURING INTRAUTERAL INFECTION

E. Nikoleishvili, I. Taboridze, L. Aladashvili, L. Gelashvili, L. Sidamonidze

M. Guramishvili Pediatric Clinic No 5, Tbilisi; Experimental maternity homes of Tbilisi

SUMMARY

Definition of hematological indices often have high prognostic value for outcome of a disease. The purpose of work was definition of indices of a white blood in the umbilical blood (leuko-

ეროვნული ბიბლიოთეკა

intoxication index, lymphocyte index, immunoreactivity index, index of nuclear alteration, neutrofill-lymphocyte coefficient, and index of immaturity) at birth for children of high risk.

The work is fulfilled on a basis of prospective cohort study of umbilical blood in 90 neonates, born to mothers with high risk and in 43 control neonates, from the Maternity Home №5, Tbilisi. It was determined that cell count is informative for outcome in the risk-group. The lymphocyte index was significant for prematurity and for lethality among the premature. The index of nuclear alteration was informative for lethality in premature, and was also raised in the risk-group against the controls. The index of immaturity was raised in the risk-group as compared to the control. Leukocyte index was not informative in all groups compared.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-4665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

ოქსიტოცინის გავლენა კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირებაზე ვირთაგვებში

მ. სვანიძე, ე. მონიავა, მ. ბუცხრიკიძე, ნ. ბუკია, ნ. ზამბახიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 24.09.2004

ნაშრომის მიზანს შეადგენდა ოქსიტოცინის მცირე დოზების გავლენის შესწავლა ვირთაგვების სხვადასხვა ქცევით აქტზე – დასწავლისა და მეხსიერების პროცესებზე. ექსპერიმენტში გამოიყენებოდა სინთეზური ოქსიტოცინი (Oxytocin, Gedeon Richter). ოქსიტოცინი შეგვყავდა პერიტონეუმში, დოზით 2 მკგ ცხოველზე, ექსპერიმენტის დაწყებამდე 15-20 წთ-ით ადრე.

კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირებას ვახდენდით სპეციალურ საექსპერიმენტო გალიაში. გამომუშავება ხდებოდა გელერმანის შემთხვევითი სქემის მიხედვით.

ექსპერიმენტის შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოქსიტოცინი, კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირებისას, მხედველობითი დიფერენციაციის გამომუშავების პროცესზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ მოქმედებს ცხოველის ზოგად ქცევაზე საექსპერიმენტო გალიაში. კერძოდ, იგი ამცირებს შფოთვის რეაქციას და ზრდის საკვების მოპოვების აქტივობას ცხოველებში.

საკვანძო სიტყვები: ოქსიტოცინი, კვებითი პირობითი რეფლექსი, დასწავლა, მეხსიერება, ვირთაგვა

მეხსიერებისა და დასწავლის პროცესების მოდულირებაში ნეიროჰიპოფიზური პეპტიდური ჰორმონების როლის შესახებ მდიდარი ინფორმაცია მოიპოვება უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ სტატიებსა და მონოგრაფიებში [4, 5, 6, 7]. უმთავრესად მღრღნელებზე (ვირთაგვები, თაგვები) ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით ვარაუდობენ, რომ ვაზოპრესინს და ოქსიტოცინს ერთმანეთის საპირისპირო როლი აქვს: პირველს აქვს მეხსიერების და დასწავლის პროცესების გაადვილების უნარი, ხოლო მეორეს – ამნეზიის გამოწვევის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ოქსიტოცინის გავლენა სხვადასხვა ქცევით აქტზე, დასწავლისა და მეხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიერების პროცესებზე. მოცემულ ექსპერიმენტში ვაკვირდებოდით აღნიშნული ჰორმონის გავლენას კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირებაზე.

მასალა და მეთოდები

ცდები ტარდებოდა 250-300 გ წონის, თეთრ, ლაბორატორიულ, უჯიშო, 30 მამრ ვირთაგვაზე.

კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირებას ვახდენდით საექსპერიმენტო გალიაში, რომელიც შედგებოდა სასტარტო (30 × 50 × 30 სმ) და საცდელი (50 × 100 × 100 სმ) განყოფილებებისაგან. ისინი გამიჯნული იყო გამჭვირვალე ორგანული მინის ტიხრით და ასაწევ-დასაწევი კარით. წინა კედელზე, ერთმანეთისაგან 90 სმ-ის დაშორებით, მდებარეობდა ორი საკვებური, რომელთა ზემოთაც, 40 სმ-ის სიმაღლეზე, დამაგრებული იყო პირობითი სიგნალის წყარო – 60 ვატი სიმძლავრის ელექტრონათურა.

თავდაპირველად ხდებოდა ცხოველების შეჩვევა საექსპერიმენტო დანადგართან. 5-დღიანი ადაპტაციის შემდეგ, ვიწყებდით მხედველობითი დიფერენციაციის ფორმირებას. პირობითი სიგნალის ჩართვიდან 5 წამის შემდეგ სასტარტო განყოფილების კარი იღებოდა და ცხოველს ეძლეოდა საკვების თავისუფლად მოპოვების საშუალება. გალიის ორივე საკვებურში მოთავსებული იყო სპეციალური საკვები გრანულები. შეჩვევის პერიოდში ცხოველების მიერ მიღებული საკვების რაოდენობა არ იზღუდებოდა. ამასთანავე, ვირთაგვა საკვებს მხოლოდ საექსპერიმენტო გალიაში ღებულობდა, ვივარიუმში კი მას საკვები არ ეძლეოდა.

ცხოველებს სინჯებს ვაძლევდით გელერმანის შემთხვევითი რიცხვების ცხრილის მიხედვით. ერთი ცდა 10 სინჯს მოიცავდა. სინჯთაშორის ინტერვალი იყო ერთი წუთი. აღირიცხებოდა სწორი პასუხების რაოდენობა, საკვებურთან მისვლის, ჭამისა და უკან დაბრუნების დრო. ვაკვირდებოდით ვირთაგვების ზოგად ქცევას. ცდები ტარდებოდა მაღალი კვებითი მოტივაციის პირობებში (საკვების 24-საათიანი დეპრივაცია).

საექსპერიმენტოდ გამოყენებული იყო უნგრული წარმოების სინთეზური ოქსიტოცინი (Oxytocin, Gedeon Richter). ცხოველები დაყოფილი იყო ორ, საცდელ და საკონტროლო, ჯგუფად. ყოველი ცდის წინ ვამზადებდით ოქსიტოცინის სამუშაო ხსნარს და მომზადებული ხსნარის 0,2 მლ, ანუ ოქსიტოცინი დოზით 10 მკგ/კგ, შეგვყავდა საცდელი ჯგუფის ცხოველების პერიტონეუმში (ოქსიტოცინის ჯგუფი – 20 ვირთაგვა). ცდას ვიწყებდით პრეპარატის შეყვანიდან 15-20 წთ-ის შემდეგ. ცხოველებს, რომლებიც გამოიყენებოდნენ ოქსიტოცინის მოქმედების გასაკონტროლებლად, ასევე ცდის წინ ინტრაპერიტონეალურად, 15-20 წთ-ით ადრე, უკეთდებოდა იგივე რაოდენობის ფიზიოლოგიური ხსნარი (საკონტროლო ჯგუფი – 10 ვირთაგვა).

შედეგები და მათი განხილვა

ექსპერიმენტებით გამოვლენილი იქნა, რომ ცდის დაწყებამდე 15 წთ-ით ადრე შეყვანილი ოქსიტოცინი მხედველობითი დიფერენციაციის გამომუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს. კერძოდ, მხედველობითი დიფერენციაციის ტესტის შესრულების კრიტერიალურ დონეს (სწორი რეაქციების არანაკლებ 80%), როგორც საკონტროლო, ასევე საცდელი ჯგუფის ცხოველები აღწევენ, საშუალოდ, ტესტირების მე-11 – მე-12 დღეს (სურ. 1). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონტროლო და საცდელი ჯგუფის ცხოველების საკვებმოპოვებითი რეაქციის საერთო დროისა და მისი ცალკეული კომპონენტების შესრულების დინამიკის შედარებისას აღმოჩნდა, რომ ოქსიტოცინის ჯგუფის ცხოველები, საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით, ხასიათდებოდნენ როგორც საკვების მოპოვების რეაქციის საერთო დროის, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების (სასტარტო განყოფილებიდან გამოსვლის, სამიზნე განყოფილების გავლის) ხანგრძლივობის უფრო დაბალი მაჩვენებლით.



სურ. 1. ოქსიტოცინის გავლენა კვებითი რეაქციის ფორმირების დინამიკაზე.

ოქსიტოცინის ჯგუფის ცხოველები, საკონტროლო ჯგუფის ცხოველებთან შედარებით, ხასიათდებოდნენ უფრო მაღალი სასტარტო მზადყოფნით, საცდელი ჯგუფის ცხოველებს საკონტროლოსთან შედარებით უფრო იშვიათად სჭირდებოდათ ექსპერიმენტატორის მხრიდან სტიმულის მიცემა. სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება აღინიშნებოდა ტესტირების მე-4 და მე-5 დღეს ($U = 0$; $p < 0,05$; $U = 0,5$; $p < 0,05$) (სურ. 2).

კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირების საწყის ეტაპზე ორივე ჯგუფის ცხოველებში პირობითრეფლექსურ პასუხს წინ უსწრებდა ქაოტური კვლევითი აქტიურობა, თუმცა საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში ეს მაჩვენებელი უფრო მეტად იყო გამოხატული, საცდელი ცხოველების ჯგუფთან შედარებით. სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება აღინიშნებოდა პირობითი რეაქციის ფორმირების მე-4 ($U = 0$), მე-5 ($U = 0$), მე-6 ($U = 0,5$) დღეს (სურ. 3).

აღსანიშნავია, რომ კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირების პროცეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში საცდელი ჯგუფის ცხოველებს საერთოდ არ აღენიშნებოდათ ე.ი. გაშეშების რეაქცია.



სურ. 2. პირობითი საკვებმოპოვებითი რეაქციის ფორმირების თანმხლები ემოციურ-ქცევითი რეაქციების ცვლილების დინამიკა. * – P < 0,05.



სურ. 3. პირობითი საკვებმოპოვებითი რეაქციის ფორმირების თანმხლები ქაოტური კვლევითი აქტივობის ცვლილების დინამიკა. * – P < 0,05.

ექსპერიმენტის შედეგებმა გამოავლინა, რომ ოქსიტოცინის მოქმედების შედეგად კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირების პროცესში მცირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიშის, შფოთვის გამოვლინება, რაზეც მიუთითებს საცდელი ცხოველების ჯგუფში ე.წ. გაშეშების რეაქციის არარსებობა; ცხოველებში ძლიერდება ინიციატიურობა, მცირდება საკვების მოპოვების რეაქციის ხანგრძლივობა, რაც საკვების ძებნის აქტივობის გაძლიერებაზე მეტყველებს.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კვლევითი ქცევა პირობითი რეფლექსის ფორმირების წინაპირობაა და ის აუცილებელია მისი წარმოქმნისათვის. ბუნებრივია, რომ ე.წ. ბიოლოგიურად წარმატებული შედეგის მიღწევა ხორციელდება მისი შემთხვევითი წესით წარმოქმნისას, კვლევითი ქცევის შედეგად [1, 3].

მოცემულ შემთხვევაში კვლევითი ქცევა ახალ სიტუაციაში დამოკიდებულია, ერთი მხრივ, სიფხიზლეზე, რომელიც განპირობებულია შიშით, და დეპრივირებული ცხოველის კვებით მოტივაციაზე. საორიენტაციო-თავდაცვითი მოტივაციის შემცირება საწყის ეტაპზე დადებით გავლენას ახდენს კვებითი ქცევის ფორმირებაზე, რადგან ცხოველებში იწვევს საკვების მოძიების რეაქციის გაძლიერებას.

ჩვენს ექსპერიმენტში გამოვლენილი შედეგები, რომლებიც მეტყველებს ოქსიტოცინის ჯგუფში საკვების მოძიების ქცევის გაძლიერებაზე, დაკავშირებული უნდა იყოს შიშის, შფოთვის შემცირებასთან. თუმცა, ეს არ აისახება მხედველობითი დიფერენციაციის ფორმირების პროცესზე. ეს, შესაძლოა, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ დასწავლის პროცესში, თავისთავად, საორიენტაციო-თავდაცვითი ქცევა ისედაც მცირდება საკონტროლო ჯგუფშიც, რაც იმ პირველად უპირატესობას უმნიშვნელოდ აქცევს და წინა პლანზე, როგორც ჩანს, გამოდის სხვა ფაქტორები [2].

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ კვებითი პირობითი რეაქციის ფორმირებისას ოქსიტოცინი მხედველობითი დიფერენციაციის გამომუშავების პროცესზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ მოქმედებს საექსპერიმენტო გარემოში ზოგად ქცევაზე. კერძოდ, იგი ამცირებს შფოთვის რეაქციას და ზრდის საკვების მოპოვების აქტივობას ცხოველებში.

ლიტერატურა

1. *Григорьев Н. Р.* Журн. высш. нервн. деят., 1998, 48, 75-82.
2. *Кругликов Р. Н., Орлова Н. В., Маи В. Н., Сарычев Е. И., Йоит К.* Журн. высш. нервн. деят., 1987, 37, 95-102.
3. *Хоничева Н. М., Лушекина Е. А.* Журн. высш. нервн. деят., 1993, 43, 1137-1141.
4. *De Wied D.* Proc. R. Soc., Lond., (Biol.), 1980, 210, 183-194.
5. *De Wied D.* Prog. Brain Res., 1983, 760, 155-167.
6. *Kovacs G. L., Telegdy G.* Pharmacol. Ther. 1982, 18, 375-395.
7. *Versteeg D. H. G.* Pharmacol. Ther., 1983, 19, 29-325.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВЛИЯНИЕ ОКСИТОЦИНА НА ФОРМИРОВАНИЕ ПИЩЕВОЙ УСЛОВНОЙ РЕАКЦИИ У КРЫС

М. Сванидзе, Э. Мониава, М. Буцхрикидзе, Н. Букия, Н. Замбахидзе

Институт физиологии им. И.С. Бериташвили Академии наук Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью настоящей работы было изучение влияния малых доз окситоцина на поведенческую активность, обучение и процессы памяти крыс. В эксперименте использовали синтетический окситоцин фирмы Гедеон Рихтер, в дозе 2 мкг на животное. Окситоцин вводили интраперитониально, за 15 – 20 мин до начала эксперимента.

Формирование пищевой условной реакции проводили в специальном экспериментальном устройстве. Выработку производили по случайной схеме Гелермана.

На основе экспериментальных данных можно заключить, что окситоцин, во время формирования пищевой условной реакции, не влияет на выработку зрительной дифференцировки, но влияет на общее поведение животных в экспериментальной среде. В частности, у животных снижается тревожность и увеличивается пищедобывательная активность.

INFLUENCE OF OXYTOCIN ON FORMATION OF ALIMENTARY CONDITIONED REACTIONS IN THE RATS

M. Svanidze, E. Moniava, M. Butskhrikidze, N. Bukia, N. Zambakhidze

I. Beritashvili Institute of Physiology, Georgian Academy of Sciences, Tbilisi

SUMMARY

The goal of the study was evaluation of the influence of small doses of Oxytocin on behavioral activity, learning, and memory in the rats. Synthetic Oxytocin produced by Gedeon Richter (Hungary) was used in a dose of 2 μg per animal. The drug was administered intraperitoneally, 15-20 min before the experiment initiation.

Formation of the alimentary conditioned reaction was performed in a special experimental apparatus. Elaboration of the reaction was carried out according to the Gellerman's scheme.

On the basis of experimental results it could be concluded that Oxytocin does not affect discrimination of the visual stimuli during acquisition of the alimentary conditioned reaction, but it dose influence general behavior of an animal in the experimental setting. Specifically, Oxytocin decreases anxiety and increases food-seeking exploratory behavior in the animals.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

კარდიორესპირატორული სისტემის მაჩვენებლები გეომაგნიტური ქარიშხლების პერიოდში

ე. ტატიაშვილი, გ. ფირანაშვილი, ი. ხიპაშვილი,
მ. მირცხულავა, ე. კორინთელი, თ. კოტორაშვილი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, თბილისი

მიღებულია 25.10.2004

ორგანიზმის მრავალ სისტემათა შორის ნებისმიერი სახის ფიზიკური დატვირთვის საუკეთესო ინდიკატორად მიჩნეულია გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საყრდენ-მამოძრავებელ სისტემებში მიმდინარე ცვლილებები, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრება სპორტსმენის ფიზიკური მომზადების დონე და ფუნქციური შესაძლებლობები.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემების შედეგად დადგინდა, რომ გეომაგნიტურ დღეებში, 16 წელზე უმცროსი ასაკის სპორტსმენთა სხვადასხვა პარამეტრების შედარებისას, მკვეთრი ცვლილებები მიიღება კარდიორესპირატორული სისტემის პარამეტრებში. მთლიან საკვლევ ჯგუფსა და მაგნიტოლაბილურ ჯგუფს შორის, 16 წელზე უმცროსი ასაკის სპორტსმენებში ნათლად ჩანს გულისცემის სიხშირის მკვეთრი ზრდა მაგნიტური ქარიშხლების წინა დღეს, საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ პულსის ცვლილება სეზონური ხასიათისაა და მაგნიტური ქარიშხლების პერიოდში უფრო გამოხატულია გაზაფხული-შემოდგომის პერიოდში.

მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მაგნიტური ქარიშხლების დროს წარმოქმნილი მაგნიტური ველების ზემოქმედებისას სპორტსმენთა ტრენირების პროცესზე, ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით, სტანდარტული დატვირთვის დროს, ძირითადი მოპასუხე კარდიორესპირატორული სისტემაა.

საკვანძო სიტყვები: მეტეოლაბილობა, ახალგაზრდა მოჭიდავეები, სპორტული კვალიფიკაცია, ასაკი

ორგანიზმში ყველა სახის ფიზიკური დატვირთვის ინდიკატორად მიჩნეულია გულ-სისხლძარღვთა, სუნთქვის და საყრდენ-მამოძრავებელ სისტემებში მიმდინარე ცვლილებები, რომელთა საშუალებითაც განისაზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვრება სპორტსმენის ფიზიკური მომზადების დონე და ფუნქციური შესაძლებლობები.

მასალა და მეთოდები

გამოკვლევები ჩატარდა სპორტული სკოლის 12-26 წლის ასაკის მოჭიდავეებზე. გამოკვლეული იქნა 92 სპორტსმენი., აქედან 52 ვარჯიშობდა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში და 40 – ძიუდოში. სპორტსმენები დაყოფილი იქნენ ორ ასაკობრივ ჯგუფად, პირველ ჯგუფში გაერთიანდა 12-15 წლის 44 სპორტსმენი, მეორე ჯგუფში – 16-26 წლის 48 სპორტსმენი. საკონტროლო ჯგუფი დაკომპლექტებული იყო არასპორტსმენებით – 46 ცდის პირი, აქედან 22 მოზარდი 12-15 წლის იყო და 24 – 16-28 წლის.

საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფში გამოკვლევები ჩატარდა სხვადასხვა პირობებში: 1. მოსვენებულ მდგომარეობაში (ფონური მაჩვენებლები); 2. სტანდარტული ფიზიკური დატვირთვისას და მისი დამთავრების შემდეგ; 3. მაგნიტური ქარიშხლების პირობებში – მაგნიტური ქარიშხლის დაწყებამდე წინა დღეს, მაგნიტური ქარიშხლის დღეს და დამთავრების შემდეგ.

სპორტსმენთა უმეტესობას შეადგენდნენ დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენები (58,9%). ხოლო პირველთანრიგოსნები, სპორტის ოსტატები, და კანდიდატები შეადგენდნენ მაღალი კვალიფიკაციის ჯგუფს – 41,1%.

შედეგები და მათი განხილვა

საექსპერიმენტო ჯგუფში დაკვირვებების ქვეშ მყოფი 92 პირიდან გამოყოფილი იქნა მაგნიტოლაბილური მ-ჯგუფი, რომელშიც იყვნენ ცდის ის პირები, რომლებიც აქტიური მაგნიტოლაბილობით გამოირჩეოდნენ. აღნიშნულ ჯგუფში გაერთიანდა 21 ცდის პირი (23%), რომელთა შორის ასაკი მერყეობდა 18-დან 21 წლამდე; მათგან 15 მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენი იყო, ხოლო 6 – უთანრიგო. აღმოჩნდა, რომ მ-ჯგუფის სპორტსმენთა შორის მაგნიტურ ქარიშხლებზე უმეტესად 18-21 წლის მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპორტსმენები რეაგირებდენ, ხოლო უმცროსი ასაკის და დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში მეტეოლაბილობა ნაკლებად მეღავნდებოდა.

მ-ჯგუფში გაერთიანებული სპორტსმენები მაგნიტურ ქარიშხლებზე რეაგირებენ გულისცემის სიხშირის მომატებით. საექსპერიმენტო მ-ჯგუფის ასაკობრივი ქვეჯგუფების მიხედვით მიღებული იქნა შემდეგი მონაცემები: 16 წელზე ნაკლები ასაკის სპორტსმენებში გულისცემის სიხშირე დატვირთვის წინ (ფონური მაჩვენებელი) – 98 ± 2,88 წთ$^{-1}$ უდრიდა, ხოლო 16 წელზე უფროსი ასაკის სპორტსმენებში – 80 ± 1,79 წთ$^{-1}$; ხოლო დატვირთვის დროს, შესაბამისად, 150 ± 3,19 და 185 ± 4,25 წთ$^{-1}$ მნიშვნელობამდე იზრდებოდა. დატვირთვის შემდეგ გულისცემის სიხშირე 123 ± 2,91 წთ$^{-1}$ და 148 ± 3,02 წთ$^{-1}$ აღწევდა. რაც შეეხება საკონტროლო ჯგუფის მეტეოლაბილურ ცდის პირებს, 16 წელზე უმცროსი ასაკის სპორტსმენებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისცემის სიხშირე, დატვირთვის წინ (ფონური მაჩვენებელი), შეადგენ და 100 ± 2,89 წთ$^{-1}$-ს და 16 წელზე უფროსი ასაკისათვის კი – 82 ± 1,7 წთ$^{-1}$-ს. დატვირთვის დროს მონაცემები შეიცვალა: 152 ± 3,21 წთ$^{-1}$ და 195 ± 4,25 წთ$^{-1}$, დატვირთვის შემდეგ კი მიღებულია 125 ± 2,95 წთ$^{-1}$ და 154 ± 4,02 წთ$^{-1}$. შეიძლება დავასკვნათ, რომ 16 წელზე ნაკლები ასაკის ცდის პირებში საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფებს შორის განსხვავება არ აღინიშნება. რაც შეეხება 16 წელზე მეტი ასაკის ცდის პირებს, დატვირთვის პროცესში საკონტროლო ჯგუფში გულისცემის სიხშირე მეტია ვიდრე საექსპერიმენტო ჯგუფში ($P < 0,01$); ამ შემთხვევაში, დატვირთვის შემდეგ, აღინიშნება მცირე განსხვავება ($P < 0,1$). ესე იგი, ახალგაზრდა სპორტსმენები შედარებით უფრო მეტეოლაბილურები არიან, ვიდრე გაუწვრთნელი თანატოლები, რაც ნათლად ჩანდა საწვრთნო-სასწავლო ვარჯიშების პერიოდში.

საექსპერიმენტო და საკონტროლო მ-ჯგუფში მიღებული შედეგები, ასაკობრივი ქვეჯგუფების მიხედვით განსხვავდება მთლიანი ჯგუფის მონაცემებისაგან. ასე მაგალითად, 16 წელზე მეტი ასაკის პირებში ეს განსხვავება ნათლად ჩანს დატვირთვის პროცესში: თუ საკონტროლო მ-ჯგუფში 16 წელზე უფროსი ასაკის ცდის პირების გულისცემის სიხშირე დატვირთვის დროს ტოლი იყო – 195 ± 4,25 წთ$^{-1}$-ის, დატვირთვის შემდეგ იცვლებოდა 154 ± 4,02 წთ$^{-1}$-ის მნიშვნელობამდე. რაც შეეხება საექსპერიმენტო მ-ჯგუფს, ეს მონაცემი შეადგენდა, შესაბამისად, 185 ± 4,25 წთ$^{-1}$-ს, და დატვირთვის შემდეგ კი – 148 ± 3,02 წთ$^{-1}$-ს. ამრიგად, მთლიანი საექსპერიმენტო და საკონტროლო ჯგუფის ცდის პირების მონაცემები ასეთი იყო: საკონტროლო ჯგუფში, დატვირთვის დროს – 172 ± 4,12 წთ$^{-1}$-ის, ხოლო დატვირთვის შემდეგ – 137 ± 2,5 წთ$^{-1}$-ის ტოლი იყო; საექსპერიმენტო ჯგუფში კი, შესაბამისად, 152 ± 3,96 წთ$^{-1}$, და დატვირთვის შემდეგ კი 123 ± 2,98 წთ$^{-1}$-ის ტოლი.

მ-ჯგუფის ცდის პირების, 16 წელზე მეტი ასაკის, როგორც სპორტსმენ, ისე არასპორტსმენ ახალგაზრდებში, გულისცემის სიხშირის ცვლილება მაგნიტური ქარიშხლების დღეებში მნიშვნელოვნად განსხვავდება მთლიანი ჯგუფის მონაცემებისაგან ($P < 0,005$ – დატვირთვისას და $P < 0,01$ დატვირთვის შემდეგ). რაც შეეხება მოსვენებულ მდგომარეობაში მიღებულ მონაცემებს, განსხვავებები არ აღინიშნება. ერთი სიტყვით, გულისცემის სიხშირის მნიშვნელობა მაგნიტოლაბილურ ახალგაზრდებში მეტია, ვიდრე საკონტროლო მნიშვნელობების სიდიდე, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გულისცემის სიხშირის ცვალებადობა მნიშვნელოვანი პარამეტრია მეტეოლაბილობის დასადგენლად, როგორც სპორტსმენებში, ისე გაუწვრთნელ ახალგაზრდებში.

საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფის ცდის პირების მაჩვენებლები რეგისტრირდებოდა მთელი წლის განმავლობაში. დადგინდა, რომ სეზონების მიხედვით, ადგილი აქვს გულისცემის სიხშირის ცვლილებას გეომაგნიტურ დღეებში, წლის პერიოდთან დამოკიდებულებაში.

საკონტროლო ჯგუფში ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ არის გარკვეული ცვლილებები გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში. მაგნიტოლაბილობა შედარებით აქტიურდება გაზაფხულისა და შემოდგომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერიოდში. ამ დროს მაგნიტური დღეების ზემოქმედება სპორტსმენის გულისცემის სიხშირეზე უფრო გამოხატულია წვრთნის პროცესში.

გაზაფხულსა და შემოდგომაზე მაგნიტური დღეების მოქმედება სპორტსმენთა გულისცემის სიხშირის მნიშვნელობაზე გაწვრთნილობის დროს უფრო ძლიერია. განსაკუთრებით მკვეთრი ცვლილებები აღინიშნებოდა დატვირთვების დროს, ფიზიკური ვარჯიშების პერიოდში.

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებით დადგინდა, რომ გეომაგნიტურ დღეებში 16 წელზე ნაკლები ასაკის სპორტსმენებში განსხვავებები გულისცემის სიხშირის მნიშვნელობაში ნორმალურ მონაცემებთან შედარებით უფრო საგრძნობია, ვიდრე მეორე ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენებში. სწორედ ამ ასაკის სპორტსმენთა სხვადასხვა პარამეტრის შედარებისას გამომჟღავნდა ცვლილებები მთლიან საკვლევ ჯგუფსა და მ-ჯგუფს შორის. 16 წელზე ნაკლები ასაკის სპორტსმენებში ნათლად ჩანს პულსური მაჩვენებლის ცვლილება მაგნიტური ქარიშხლის წინა დღეს.

გარდა ამ მონაცემებისა, გამოკვლეული იქნა სპორტსმენების სხვადასხვა ფუნქციური და ფიზიკური პარამეტრები, მაგრამ შესამჩნევი ცვლილებები მაგნიტური ქარიშხლების ზემოქმედებისას არ აღინიშნა. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მაგნიტური ქარიშხლების დროს წარმოქმნილი მაგნიტური ველების ზემოქმედებისას სპორტსმენთა წვრთნის პროცესზე, ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით, სტანდარტული დატვირთვის დროს, ძირითადი მორეაგირე სისტემა კარდიორესპირატორული სისტემაა.

ПОКАЗАТЕЛИ КАРДИОРЕСПИРАТОРНОЙ СИСТЕМЫ В ПЕРИОД МАГНИТНЫХ БУРЬ

Е. Татиашвили, Г. Пиранашвили, И. Хипашвили, М. Мирцхулава, Е. Коринтели, Т. Которашвили

Академия физического воспитания и спорта Грузии, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Целью данной работы было установить степень реагирования кардиореспираторной системы спортсменов-борцов на геомагнитные возмущения, при проведении спортивно-учебных занятий, определить возможные механизмы действия биологических и экологических факторов на организм в целом и, конкретно, на кардиореспираторную систему спортсмена во время физических нагрузок.

Была исследована кардиореспираторная система 92 спортсменов-борцов, в период физических тренировок во время магнитных бурь. По полученным данным, у 21 спортсмена отмечалась метеолабильность – зависимость некоторых показателей кардиореспираторной системы от магнитных бурь. В магнитные дни, при проведении спортивно-учебных занятий, у спортсменов частота пульса достоверно увеличивалось по сравнению с контролем. Надо отметить, что такая зависимость состояния спортсменов от присутствия магнитных бурь, была более выражена весной и осенью, что указывает на сезонную зависимость этого явления.

ეროვნული ბიბლიოთეკა

PARAMETERS OF CARDIORESPIRATORY SYSTEM IN THE PERIOD OF MAGNETIC STORMS

E. Tatiashvili, G. Piranishvili, I, Khipashvili, M. Mirtskhulava, E. Korinteli, T. Kotorashvili

Georgian Academy of Physical Education and Sports, Tbilisi

SUMMARY

The aim of the work was determining a responsiveness degree of the cardio-vascular system of the wrestler sportsmen to the geo-magnetic events occurring during the so-called magnetic storms. During the period of increased solar activity geomagnetic field acts quite distinctly on human health and metabolism.

Total of 92 wrestlers of different age and qualification were investigated in various conditions – prior to standard physical loading, during training, and following completion of training during the days of geomagnetic storms. Age of the wrestlers varied from 12 to 28. They were divided into two age groups – composed of 12-16 years old sportsmen (44 persons), and 16-28 years old ones (48 person).

Important regularities concerning organism's functional changes and physical characteristics during geomagnetic storms have been identified. These changes have specific impact on the sportsmen's training and depend on sportsman's age and qualification.

It was found that 23 % of sportsmen are prone to magnetic lability, mostly prior and after magnetic storms. This relationship appears predominantly in the younger age group sportsmen.

We conclude that the principal effect is revealed in pulse changes during geomagnetic storms in sportsmen in conditions of standard loadings.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

სტომატოლოგიაში ბიოფლავონოიდების გამოყენების პერსპექტივები – მიმოხილვა

ხ. ქორიძე, გ. გურგენიძე, მ. ბაქრაძე, ა. შალაშვილი**

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი; * ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, თბილისი

მიღებულია 26.10.2004

თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს სინთეზური ქიმიის ნაწარმების შეცვლა მცენარეული ნედლეულისაგან დამზადებული პრეპარატებით. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბიოფლავონოიდები, რომლებსაც ახასიათებთ ანტიალერგიული, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, ანტივირუსული, სპაზმოლიზური, ანტიჰეპატოტოქსიკური, წყლულის საწინააღმდეგო, იმუნომოდულატორული, ანტიოქსიდანტური, ანტიკანცეროგენული, ჰიპოლიპიდემიური, ქოლესტერინის შემცველობის დამაქვეითებელი მოქმედება, რის საფუძველზეც მათ შეუძლიათ ორგანიზმის დაცვა ზოგიერთი ქრონიკული დაავადებისაგან, მათ შორის ქრონიკული რეციდიული აფთური სტომატიტისაგან, რომელიც იმუნოლოგიური რეაქტიულობის ცვლილების ფონზე მიმდინარეობს და რომლის სამკურნალოდ ადგილობრივად გამოყენებული მრავალი საშუალება დაავადების რეციდივს ვერ აგვაცილებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად მეტად საინტერესოდ გვესახება ახალი პრეპარატი – ბიოფლავონოიდი, დამზადებული ჰესპერიდინის საფუძველზე, რომელიც მიიღება მანდარინის კანისაგან და წარმოადგენს დაბალმოლეკულურ ჰაპტენურ ნაერთს.

საკვანძო სიტყვები: ბიოფლავონოიდები, ჰესპერიდინი, იმუნოლოგია, ალერგია, ქრონიკული რეციდიული აფთური სტომატიტი

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებს შორის სტომატიტის ქრონიკულ ფორმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, რადგან მათი გამომწვევი მიზეზების, განვითარების მექანიზმებისა და კლინიკური გამოხატულების მრავალგვარობა მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის დასახელებული პათოლოგიის პათოგენეზის დადგენისა და მკურნალობის ეფექტური მეთოდების შერჩევისას. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ალერგიული ბუნების რეციდიულ აფთურ სტომატიტს, რომელთანაც ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა გართულებები მძიმე შედეგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეციდიული აფთური სტომატიტი ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული და მძიმე დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ტალღისებურად და ხასიათდება ეროზიულ-წყლულოვანი პროცესების ხშირი რეციდივებით პირის ღრუს ლორწოვან გარსზე, გამოხატული ტკივილის სინდრომით, რომელთა სიმძიმე და პერიოდი იზრდება დაავადების ხანგრძლივობასთან ერთად. ასაკთან ერთად, რეციდივები ხშირდება, ზოგჯერ ქრონიკული რეციდიული აფთური სტომატიტი პერმანენტულ მიმდინარეობას ღებულობს. აღნიშნული პათოლოგია ერთნაირად გვხვდება როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში [1].

პირის ღრუს მრავალი პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრება იმუნოლოგიური მექანიზმებით. პირის ღრუს ლორწოვანი გარსი ერთ-ერთ ყველაზე ალერგოგენულ ზონად ითვლება, რომელიც მდიდარია მედიატორული და რეცეპტორული წარმონაქმნებით. პირის ღრუს ლორწოვან გარსში პლაზმური უჯრედების დიდი რაოდენობა დაკავშირებულია მასში იმუნური სხეულების დაგროვებასთან [5]. მრავალი დაკვირვება დაბეჯითებით ადასტურებს ურთიერთკავშირს რეციდიული აფთური სტომატიტის კლინიკური გამოვლინების სიმძიმესა და ორგანიზმის ადგილობრივი და ზოგადი იმუნიტეტის მდგომარეობას შორის. აქედან გამომდინარე, ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის გამოკვლევის ახალ მიდგომად ითვლება ჰემოგრამებისა და იმუნოგრამების გამოყენება.

დადგენილია, რომ ქრონიკული რეციდიული აფთური სტომატიტი მიმდინარეობს ბაქტერიული ალერგენებით ორგანიზმის სენსიბილიზაციის ფონზე [2]. რეციდიული აფთური სტომატიტის მქონე ავადმყოფებში ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობის ცვლილება იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ ჯგუფის ავადმყოფების კომპლექსურ თერაპიაში ჩართული იყოს პრეპარატები, რომლებიც გამოხატულ ანტიალერგიულ, დაცვით და ანთების საწინააღმდეგო უნარს ფლობენ. ამდენად, მკურნალობის პრობლემა მეტად აქტუალურია [6].

მედიცინის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სტომატოლოგიურ-ალერგიული პათოლოგიები არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი დაავადებები. არსებობს მჭიდრო კავშირი პირის ღრუს ორგანოებსა და მთლიანად ორგანიზმს შორის, რის გამოც პირის ღრუში მიმდინარე ალერგიული სტომატიტები ხშირად ორგანიზმის ზოგადი პათოლოგიების მიზეზი ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ ალერგენები ყოველთვის არ ითვლებიან სტომატიტების გამომწვევებად; ყველაზე დიდი მნიშვნელობა მათ რეციდივების განვითარებაში აქვთ და ერთადერთი კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა ახალი ანტიალერგიული პრეპარატების რეალური ეფექტურობის შესახებ, არის კლინიკური გამოჯანმრთელება ქრონიკული დაავადებების დროს. ამასვე მოწმობს რიგი ავტორების მონაცემები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ფლავონოიდები ეფექტური ანტიოქსიდანტებია და შეუძლიათ ორგანიზმი დაიცვან ზოგიერთი ქრონიკული დაავადებისაგან [12].

თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს სინთეზური ქიმიური ნაწარმების შეცვლა მცენარეული ნედლეულისაგან დამზადებული პრეპარატებით. მცენარეული სამკურნალო ნივთიერებებიდან

ფიტოთერაპიაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფარმაკოლოგიურად აქტიური ისეთი ნივთიერებები, როგორიცაა ბიოფლავონიოდები. მათი თერაპიული ეფექტი პირველად აღმოჩენილია 1936 წელს, რუშნიაკისა და სენტ-დიორდის მიერ. მას შემდეგ გამოვლენილ იქნა ფლავონოიდების ფარმაკოლოგიური ეფექტების მთელი რიგი, მათ შორის სპაზმოლიზური, ანტიალერგიული, ანტიტოქსიკური, იმონომოდულატორული, წყლულის საწინააღმდეგო, ანტიჰეპატოტოქსიკური, ანტიანთებითი, ანტიმიკრობული, ანტივირუსული, ანტიოქსიდანტური, ანტიკანცეროგენული თვისებები [9]. ბოლო დროს დაიწყო იმ მექანიზმების გამოვლენა, რომლებიც ამ ნივთიერებების ბიოლოგიურ მოქმედებას განაპირობებს [7]. ალერგიული და ანთებითი რეაქციების მწვავე ფაზაში მონაწილეობს მასტოციტებისა და ბაზოფილებისაგან ჰისტამინისა და სხვა მედიატორების გამოთავისუფლება, რისი დათრგუნვის უნარი აღმოაჩნდა ფლავონოიდებს.

Таким образом, использование высокочувствительных психофизических методов исследования позволяет утверждать, что нарушения в зрительном анализаторе при ЭОП возникают до снижения остроты зрения и очевидных офтальмоскопических признаков оптической нейропатии; нарушения топографии цветовой и КЧ носят функциональный, а не органический характер. Своевременное обнаружение дисфункции зрительного анализатора позволяет прогнозировать хороший исход медикаментозного лечения и с помощью медицинской коррекции предотвратить слепоту.

ЛИТЕРАТУРА

1. *Бровкина А.Ф.* Болезни орбиты. Москва, 1993.
2. *Бызов А.Л.* В кн.: Физиология зрения. Под ред. А.Л. Бызова. Москва,Наука, 1992, 115-162.
3. *Волков В.В., Шамшинова А.М., Розенблюм Ю.З. и др.* В кн.: Клиническая физиология зрения. Москва, Русомед, 1993, 224-260.
4. *Дворянчикова А.М., Шамшинова А.М., Арефьева Ю.А.* Журн. высш. нервн. деят., 1997, 37, 1044-1046.
5. *Ендриховский С.Н., Шамшинова А.М., Соколов Е.Н. и др.* Сенсорные системы, 1996, 10, 13-29.
6. *Руководство по медицине.* Под ред. Р. Беркоу. Москва, 1997, 1, 730–733.
7. *Kahaly G., Otto E., Forster G. et al.* Exp Clin Endocrinol. Diabetes, 1996, 104, 79-83.
8. *Kolb H.* In: Basic and Clinical Perspectives in Vision Research. New York, Plenum Press, 1995, 3-51.
9. *Lee B.B.* In: Selected proceedings of the international conference. Taylor & Francis, 1997, 65-68.
10. *Nerger J.L., Volbrecht V.J., Ayde C.J. et al.* J. Opt. Soc. Amer. A Opt. Image Sci. Vis., 1998, 15, 2816-2826.
11. *Ogden T. E.* In: Retina.St. Louis, Mostby Co., 1989, 32-36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობის ანალიზატორის სისტემის ფუნქციური მდგომარეობა ენდოკრინული ოფთალმოპათიის მქონე ავადმყოფებში

ე. ციცია შვილი

ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრი, თბილისი

რეზიუმე

ენდოკრინული ოფთალმოპათია (ეოპ) აუტოიმუნური დაავადებაა, რომელიც ვლინდება თვალბუდის რბილი ქსოვილების ცვლილებებში; მეორადად ხდება პროცესში საკუთრივ თვალის ჩართვაც. ეოპ-ის პროგრესირებას შეიძლება მოჰყვეს თვალის შეუქცევადი სტრუქტურული ცვლილებები და მხედველობის ფუნქციის დაკარგვა. ამდენად, მხედველობის ანალიზატორის სისტემის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლა ეოპ-ის სხვადასხვა სიმძიმის მქონე ავადმყოფებში, აქტუალური მეცნიერული ამოცანაა.

კლინიკური გამოკვლევები ეფუძნებოდა ორივე სქესის, 15-დან 55 წლამდე ასაკის 48 ავადმყოფის (96 თვალი) მონაცემთა ანალიზს. ამ ავადმყოფებს ჰქონდათ ეოპ-ის სხვადასხვა სტადია. კვლევის საყოველთაოდ მიღებული ოფთალმოლოგიური მეთოდების გარდა, გამოყენებულ იქნა ფსიქოფიზიკური მეთოდები, რომელთა საშუალებითაც დგინდებოდა სივრცითი კონტრასტული მგრძნობელობის (სკმ) და ფერითი კონტრასტული მგრძნობელობის ("OFF-ON") ტოპოგრაფია.

მაღალმგრძნობიარე ფსიქოფიზიკური მეთოდების გამოყენება იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ მხედველობის ანალიზატორის დარღვევები, ეოპ-ს დროს, გაცილებით ადრე ჩნდება, ვიდრე ოფთალმოლოგიური ცვლილებები და მხედველობის სიმკვეთრის დაქვეითება. მხედველობის ანალიზატორის დისფუნქციის დროული გამოვლინება მედიკამენტური მკურნალობის კარგი გამოსავლის პროგნოზირების საშუალებას იძლევა და სამედიცინო კორექციით შესაძლებელი ხდება სიბრმავის თავიდან აცილება.

FUNCTIONAL STATE OF VISUAL SYSTEM IN THE PATIENTS WITH ENDOCRINE OPHTHALMOPATHY

E. Tsitsiashvili

National Center of Ophthalmology and Neurology, Tbilisi

SUMMARY

The endocrine ophthalmopathy (EOP) is an autoimmune disease, which shows in alterations in the soft tissues of an orbit with secondary involvement of an eye. Progressing of the EOP results in irreversible structural changes of an eye and eventual loss of visual function. Therefore, investigation of functional state of the visual system in the patients with EOP of different degrees of severity, is a pressing problem.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Clinical investigations were carried out in 48 patients (96 eyes) of either sex, aged from 15 to 55 years, with different stages of the EOP. Along with the routine ophthalmological methods of investigation, the psychophysical methods were used in order to study spatial contrast sensitivity (SCS) and color contrast sensitivity ("ON-OFF").

It was determined that implementation of the highly sensitive psychophysical methods allows asserting that disorders in the visual system during the EOP manifest much earlier than the ophthalmologically determined decrease of visual acuity. Timely finding of malfunctions in the visual system will result in prognosis of better outcome of the medicamentous treatment and in prevention of blindness.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

კანის ჭრილობების რეგენერაციის დინამიკა ექსპერიმენტში სხვადასხვა სახის ნაკერის და დექსამეტაზონის ზემოქმედების პირობებში

ნ. ჭუჭულაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 29.10.2004

ექსპერიმენტში შესწავლილია კანის ჭრილობების შეხორცების დინამიკა სხვადასხვა სახის კანშიდა და კანზედა ნაკერის გამოყენების პირობებში, და დექსამეტაზონის მცირე დოზების გამოყენებისას, თითოეული სახის ნაკერის დროს. ჰექსამეტაზონის შეყვანა ხდებოდა ანთებითი პროცესების პროფილაქტიკისა და ჭრილობის რეგენერაციის მიზნით.

ექსპერიმენტი ჩატარებულია 60 ზრდასრულ ვირთაგვაზე. ცხოველები დაიყო 3 ჯგუფად: I ჯგუფში ცხოველების ზურგის კანის ჭრილობების შესაკერად გამოყენებული იყო კანშიდა უწყვეტი ნაკერი, II ჯგუფში – კანზედა უწყვეტი ნაკერი, ხოლო III ჯგუფში – კანზედა კვანძოვანი ნაკერი. თითოეული ჯგუფი დაყოფილი იყო ორ ქვეჯგუფად – საექსპერიმენტო (2 მგ დექსამეტაზონის შეყვანა კანქვეშ, ჭრილობის მიყენებამდე) და საკონტროლო (დექსამეტაზონის გარეშე).

მორფოლოგიური გამოკვლევებით ნანახია, რომ ჭრილობის ოპტიმალური რეგენერაცია დამოკიდებულია ნაკერის სახეზე, კანშიდა უწყვეტი ნაკერი ქმნის ჭრილობის შეხორცების ყველაზე ოპტიმალურ პირობებს. კანშიდა უწყვეტი ნაკერის პირობებში მიმდინარე შეხორცება გაურთულებლად მიმდინარეობს და რეგენერაციის პროცესი არ გვიანდება, მაგრამ დექსამეტაზონი ამ პროცესებს უფრო აჩქარებს.

საკვანძო სიტყვები: ჭრილობა, კანქვეშა უწყვეტი ნაკერი, შეხორცება, დექსამეტაზონი, ვირთაგვა

თანამედროვე პლასტიკურ ქირურგიაში, განსაკუთრებით კი ყბა-სახის ქირურგიაში, კვლავ აქტუალური რჩება რბილი ქსოვილების ჭრილობების დამუშავება და შეკერვა ისე, რომ საბოლოოდ მიღებული იქნას ნაკლებშესამჩნევი ნაწიბური, რომელიც ირგვლივ მდებარე ქსოვილებისაგან პრაქტიკულად არ განსხვავდება.

ჩვენი შრომის მიზანს წარმოადგენდა ექსპერიმენტში კანის ჭრილობების შეხორცების დინამიკის შესწავლა სხვადასხვა სახის ნაკერის (კანშიდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანზედა) გამოყენების პირობებში. ასევე, შევისწავლეთ დექსამეტაზონის მცირე დოზების გავლენა თითოეული სახის ნაკერის დროს, ანთებითი პროცესების პროფილაქტიკაში და ჭრილობის რეგენერაციის სტიმულაციაში.

მასალა და მეთოდები

ცდები ჩატარდა 60 ზრდასრულ ვირთაგვაზე. ცხოველები დაყოფილი იყო 3 ჯგუფად: I ჯგუფი, სადაც ზურგზე მიყენებული კანის ჭრილობების შესაკერად გამოიყენებოდა კანშიდა უწყვეტი ნაკერი, II ჯგუფი – კანზედა უწყვეტი ნაკერი, III ჯგუფი – კანზედა კვანძოვანი ნაკერები.

თითოეული ჯგუფი დაყოფილი იყო ორ ქვეჯგუფად: საექსპერიმენტო (ჭრილობაში 2 მგ დექსამეტაზონის ერთჯერადი შეყვანა) და საკონტროლო (დექსამეტაზონის გარეშე).

ცხოველებს, ვივარიუმის ერთნაირ პირობებში, ვაკვირდებოდით ექსპერიმენტის მე-3, მე-5, მე-7, მე-14 და 21-ე დღეს.

მორფოლოგიური კვლევისათვის გამოყენებული იქნა მხოლოდ ჰისტოლოგიური მეთოდი, ხოლო ზოგიერთი ფაქტის დასაზუსტებლად – ელექტრონული მიკროსკოპია.

შედეგები და მათი განხილვა

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ ჭრილობის მიყენებიდან მე-4 დღეს, საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში, ჭრილობის რეგიონში სუსტად არის გამოხატული დემარკაციული ანთების ნიშნები; ჭრილობის დანეკროზებული კიდეები და ფსკერი დაფარულია რეგენერატით – პოლიბლასტებით და ეპითელოიდური უჯრედებით. საექსპერიმენტო ჯგუფში (დექსამეტაზონის შეყვანის ფონზე) ჭრილობის მიყენებიდან მე-3 დღეს ამ რეგიონში დემარკაციული ანთება საერთოდ არ არის გამოხატული. დექსამეტაზონის შეყვანის შემდეგ, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, გაგანიერებული და სისხლსავსე კაპილარები ცოტაა და, შესაბამისად, მცირეა კაპილარების კედელთან კიდურად განლაგებული და ადჰეზიური ლეიკოციტები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ დექსამეტაზონის ზემოქმედების პირობებში, ექსპერიმენტის მე-5 დღეს, გრანულაციურ ქსოვილში გაცილებით ნაკლებია ჰემოგენური უჯრედები და მეტია შემაერთებელქსოვილოვანი უჯრედები, პოლიბლასტები და ეპითელოიდური უჯრედები, ვიდრე ეს საკონტროლო ჯგუფში იყო ნანახი. ჭრილობის მიყენებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ, დაქსამეტაზონის ზემოქმედების შემთხვევაში, ჭრილობა ამოვსებულია მწიფებადი გრანულაციური ქსოვილით, მაშინ, როდესაც საკონტროლო ჯგუფში, ოპერაციიდან მე-5 დღეს, გრანულაციური ქსოვილი ჩამოყალიბებული კი იყო, მაგრამ ტენდენცია მწიფებისაკენ არ აღინიშნებოდა. დექსამეტაზონის ზემოქმედების პირობებში, ჭრილობის მიყენებიდან მე-5 დღეს, ელექტრონული მიკროსკოპიით ვლინდება ფიბრობლასტები და მათ ციტოპლაზმაში პრეკოლაგენური ბოჭკოები. აღნიშნულიდან ცხადია, რომ დექსამეტაზონის მცირე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოზები ხელს უწყობს, ასტიმულირებს რეგენერაციულ პროცესს [3, 4]. როგორც ცნობილია, დექსამეტაზონი არის ზეჟანგური ჟანგვის ინჰიბიტორი. ეს სტეროიდი არ იძლევა დაზიანებულ ქსოვილში აზოტის ჟანგის ჭარბი რაოდენობით გამოყოფის საშუალებას, ამიტომ, თავიდანვე, ჭრილობის მიყენებისთანავე, დექსამეტაზონის ორგანიზმში შეყვანა არის ზეჟანგური ჟანგვის პროცესების ინტენსიფიკაციის პროფილაქტიკა. აღნიშნულის შედეგად ჭრილობის კიდეები და ფსკერი არ იფარება დანეკროზებული ქსოვილის დეტრიტით. ეს გარემოება კი ამცირებს ჭრილობის კიდეებზე და ფსკერზე, საიდანაც უნდა დაიწყოს რეგენერაცია, რეგენერაციის ხელშემშლელ ფაქტორებს და თავიდანვე ჩნდება შემაერთებელქსოვილოვანი დედა-უჯრედები პოლიბლასტების სახით. დექსამეტაზონი მონაწილეობს ამ უჯრედების მომწიფებაში, მათ ეპითელოიდურ უჯრედებად გარდაქმნაში და ამ უკანასკნელთაგან ფიბრობლასტების წარმოქმნაში. ამის გამო, ცხოველის ორგანიზმში დექსამეტაზონის შეყვანის დროს, ჭრილობის მიყენებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ, ჭრილობა ამოვსებულია მწიფებადი გრანულაციური ქსოვილით. აღნიშნული მიუთითებს, რომ დექსამეტაზონი არის ის სამკურნალწამლო ზემოქმედება, რომელიც იმდენად აჩქარებს ზემოხსენებულ პროცესებს, რომ ჭრილობის მიყენებიდან მე-7 დღეს ჭრილობის რეგენერაციის პროცესი დამთავრებულია, მაგრამ გრანულაციური ქსოვილის ყველა უბანი მომწიფებული არ არის, რაც ჭრილობის მიყენებიდან მე-14 დღეს მთავრდება.

ცხოველთა II ჯგუფში, როდესაც ჭრილობები შეკერილი იყო კანზედა უწყვეტი ნაკერით, საკონტროლო ქვეჯგუფში, მიუხედავად იმისა, რომ ოპერაცია ასეპტიკურ პირობებში იყო ჩატარებული, ხშირად ანთებით გართულებებს ჰქონდა ადგილი. ჭრილობის მიყენებიდან 3 დღის შემდეგ აღინიშნებოდა დემარკაციული ანთება. დემარკაციულ ანთებას ეჭირა 100-200 მკმ ფართი და ამ ფართის ფარგლებში არსებული ყველა კალიბრის სისხლძარღვი სავსე იყო. ამ ფართიდან 100 მკმ-ის ზონაში დემარკაციული ანთების შიგნით და ჭრილობის კიდეების მიმდებარე ქსოვილი დანეკროზებული და დაშლილი იყო. ჭრილობის მიყენებიდან 5 დღის შემდეგ ჭრილობის კიდეებიდან დაწყებული იყო რეგენერაცია და წარმოიქმნა პოლიბლასტების და ეპითელოიდური უჯრედების პოპულაციები. ჭრილობის მიყენებიდან მე-7 დღეს ჭრილობა დაჩირქდა და რეგენერაციის პროცესის თავისებურებების გამოვლენა შეუძლებელი გახდა.

დექსამეტაზონის ზემოქმედების პირობებში, II ჯგუფის ცხოველებს ჭრილობის ირგვლივ სადემარკაციო ანთების ზოლი ფართო აქვთ. ამიტომ ჭრილობით გამოწვეულ ქსოვილების ნეკროზს ემატება დემარკაციული ანთების შიგნით განვითარებული ნეკროზი და ჭრილობა გაცილებით მეტ დანეკროზებულ ქსოვილს შეიცავს, ვიდრე კანშიდა უწყვეტი ნაკერის დროს. აღნიშნულის გამო, ჭრილობის მიყენებიდან 3 დღის შემდეგ, ჭრილობა ამოვსებულია დეტრიტით და ადგილობრივი მაკროფაგებით, რომლებიც დეტრიტის ნაწილაკების ფაგოციტოზს აწარმოებენ. აღნიშნულს ადასტურებს ელექტრონული მიკროსკოპიაც. შემდგომი პერიოდის გამოკვლევებმა (მე-5, მე-7, მე-14 და 21-ე დღეები) გვიჩვენა, რომ 21-ე დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრილობა ამოვსებულია მწიფებადი გრანულაციური ქსოვილით და დაფარულია რეგენერაციის პროცესში მყოფი მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელით. ამგვარად, ამ ჯგუფის ცხოველებში (დექსამეტაზონის შეყვანით) 21-ე დღეს ჭრილობაში შეხორცების პროცესი დამთავრებული არ არის. ჭრილობის შეხორცება მიმდინარეობს მეორადი დაჭიმვით, გაურთულებლად, მაგრამ დექსამეტაზონის შეყვანამ ვერ შეძლო ჭრილობა დაეცვა ვრცელი ნეკროზული ზონისაგან, რომლის დეტრიტმაც მნიშვნელოვნად შეანელა რეგენერაციის პროცესი იმით, რომ ხელი შეუშალა პოლიბლასტებისა და ეპითელოიდური უჯრედების გამრავლებას. მნიშვნელოვანია ის, რომ ხანგრძლივად მეორადი დაჭიმვით მიმდინარე ჭრილობის შეხორცება დექსამეტაზონმა დაიცვა ინფექციისაგან და ჭრილობა შეხორცდა გაურთულებლად.

ცხოველთა III ჯგუფში, როდესაც გამოყენებული იყო კანზედა კვანძოვანი ნაკერები, აღმოჩნდა, რომ ჭრილობის შეხორცების პროცესი მიმდინარეობს ერთნაირად, როგორც დექსამეტაზონის შეყვანის გარეშე, ისე დექსამეტაზონის შეყვანის შემდეგ.

ექსპერიმენტის ამ სერიებში დემარკაციული ანთების პროცესი არ იფარგლება კვანძოვანი ნაკერების ირგვლივი რეგიონით. იგი ვრცელდება ჭრილობის კიდეებსა და ფსკერში მთლიანად და იკავებს თითქმის 200 მკმ სიგანის ზედაპირს. დემარკაციული ანთების შიდა ზედაპირის მიმდებარე ქსოვილი განიცდის ნეკროზს.

ექსპერიმენტის მე-3 დღეს ჭრილობა შეიცავს არა მხოლოდ დეტრიტს, არამედ ჯერ კიდევ დანეკროზებულ ჩამოქერცლილ ქსოვილს. მე-5, მე-7 დღეს ვითარდება ჭრილობის კიდეების ანთება, მათ შორის 7 ცხოველში – მიკროაბსცესების განვითარებით. პოლიბლასტებისა და ეპიღელიოიდური უჯრედების გამრავლება ვლინდება მხოლოდ მე-14 დღიდან. ექსპერიმენტის 21-ე დღეს აღინიშნება მხოლოდ გრანულაციური ქსოვილი, რომელშიც უხვადაა უცხო სხეულის გიგანტური უჯრედები. ამგვარად, გამოკვლევის შედეგები მოწმობს, რომ კანის კვანძოვანი ნაკერებით გაკერვის პირობებში, დექსამეტაზონის ზემოქმედების შემთხვევაშიც, ჭრილობის მიყენებიდან 21-ე დღეს რეგენერაციის პროცესი მთლიანად დამთავრებული არ არის.

ამრიგად, როგორც ლიტერატურის [1, 2, 5], ისე ჩვენი მონაცემებით, კანის ჭრილობების რეგენერაცია და კოსმეტიკურად ოპტიმალური ნაწიბურის მიღება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ჩვენი ექსპერიმრნტული მონაცემებით, კანის ჭრილობის ოპტიმალური რეგენერაცია დამოკიდებულია ნაკერის სახეზე (კანშიდა, კანზედა – თავისი მოდიფიკაციებით). ჩვენი დაკვირვებით, კანშიდა უწყვეტი ნაკერი ყველაზე ოპტიმალურ პირობებს ქმნის ჭრილობის შეხორცებისათვის. ამ დროს არ ხდება ეპიდერმისის ტრავმა, ხოლო დერმის ტრავმა მინიმალურია.

კანზედა ნაკერების დროს ჭრილობის კიდეების ტრავმა მეტია, მატულობს ნეკროზული პროცესები. კანზედა ნაკერების არხი ოპერაციის შემდგომი ჭრილობის დაინფიცირების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს.

კანის ჭრილობის შემდეგ კოსმეტიკურად მისაღები ნაწიბურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა ჭრილობის კიდეების ურთიერთ ზუსტ მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობაში დაფიქსირება, რისთვისაც მიზანშეწონილია გამადიდებელი ტექნიკის გამოყენება.

ჩვენი მონაცემებით, კანშიდა უწყვეტი ნაკერის პირობებში მიმდინარე შეხორცება ისედაც გაურთულებლად მიმდინარეობს და რეგენერაციის პროცესი არ გვიანდება, მაგრამ დექსამეტაზონის ზემოქმედების პირობებში ის ჩქარდება კიდეც და გართულებების განვითარების შესაძლებლობას ამცირებს.

II სერიის გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ჭრილობის შეხორცება, როდესაც ნაკერი კანზედა უწყვეტია, განსხვავდება იმ შეხორცებისგან, რომელიც კანშიდა უწყვეტი ნაკერის შემდეგ მიმდინარეობს. ამის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ კანზედა ნაკერის დროს ქსოვილის დიდი მოცულობა განიცდის ნეკროზს, მისგან წარმოქმნილი დეტრიტის ელიმინაცია დიდ დროს მოითხოვს. ეს ახანგრძლივებს რეგენერაციის პროცესს და ქმნის ინფექციის განვითარების პირობებს.

კანზედა უქყვეტი ნაკერის დროს დექსამეტაზონი მთლიანად ვერ ასტიმულირებს რეგენერაციის პროცესს, მაგრამ ორგანიზმში მისი შეყვანით ჭრილობის შეხორცება ანთებითი გართულებების გარეშე მიმდინარეობს.

კანზედა კვანძოვანი ნაკერების დროს დექსამეტაზონის მასტიმულირებელი მოქმედება ჭრილობის შეხორცებაზე ჩვენ ვერ ვნახეთ. მიუხედავად ამისა, დექსამეტაზონის გამოყენებას საჭიროდ ვთვლით ანთებითი პროცესების პროფილაქტიკისთვის, რადგან კანზედა კვანძოვანი ნაკერები ნაკერის არხით ინფექციის შეჭრის დიდი რისკის ფაქტორს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. *Бухонова А.И.* Труды Крым. мед. ин-та, 1973, 49, 120-122.
2. *Вязьмина Т.Н.* Автореф. Дисс. канд. мед. наук. Краснодар, 1980, 20.
3. *Ефимов Е.А.* Посттравматическая регенерация кожи, Москва, Медицина, 1975.
4. *Ефимов Е.А.* Бюлл. экспер. биол. мед., 1975, 81, 268-370.
5. *Пфафрод Л.Р, Слуцкий Л.И.* Лабораторное дело, 1984, № 1, 3-6.

ДИНАМИКА РЕГЕНЕРАЦИИ КОЖНЫХ РАН В ЭКСПЕРИМЕНТЕ ПРИ ИСПОЛЬЗОВАНИИ РАЗЛИЧНЫХ КОЖНЫХ ШВОВ И ДЕКСАМЕТАЗОНА

Н. Чучулашвили

Тбилисский государственый медицинский университет

РЕЗЮМЕ

В эксперименте изучена динамика заживления кожных ран, при использовании различных внутрикожных и надкожных швов и под влиянием малых доз дексаметазона, использованных для профилактики воспалительных процессов и для стимуляции регенерации кожных ран.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Эксперименты проведены на 60 белых крысах. Животные были разделены на 3 группы: в первой групе кожные раны на спине животного зашивались внутрикожным непрерывным швом, во второй группе – надкожным непрерывным швом и в третьей группе – простым узловым швом. Каждая группа была разделена на две подгруппы: экспериментальную (2 мг дексаметазона в кожу, до ранения) и контрольную (без дексаметазона)

При морфологичесом исследовании выявлено, что внутрикожный непрерывный шов создает самые оптимальные условия для заживление раны.

В условиях внутрикожного шва рана заживает без осложнений и процесс регенерации не запаздывает, а при влиянии малых доз дексаметазона эти процессы ускоряются, что уменьшает шанс возникновения осложнений в ране.

DYNAMICS OF SKIN WOUND REGENERATION IN EXPERIMENT WHEN USING DIFFERENT SKIN SUTURES AND DEXAMETHAZONE

N. Chuchulashvili

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Dynamics of skin wound healing was studied in experiments with different skin suturing and under small doses of dexametazone, used for prevention of inflammatory processes and in order to promote skin regeneration.

Experiments were carried out in 60 albino rats. They were divided into 3 groups. In the first group the skin wounds were mended by subcuticular continuous suture, in the second group – by continuous superficial suture, and in third group – by simple node suture. Each group was divided into the two subgroups: experimental (2 mg dexamethasone into skin, before cutting) and control (no dexamethazone)

Morphological studies have clearly shown that subcuticular continuous suture creates the best conditions for healing the wound. In conditions of subcuticular continuous suture, wounds heal without complications and process of regenerations does not delay. However, hexametazone in small doses, accelerates further these processes and decreases a risk of complications in the wound.

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. А, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

ინდუცირებადი აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბირების გავლენა ჰიპოქსია-ისქემიით გამოწვეულ დაზიანებაზე ნეონატალური ვირთაგვის თავის ტვინში

მ. ხურცია, ი. ფავლენიშვილი, ი. დიასამიძე, გ. გაბრიჩიძე, ი. ზანანიანი, გ. ბექაია*

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი; * ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი

მიღებულია 21.10.2004

შესწავლილია ინდუცირებადი აზოტის ოქსიდის სინთაზის (NOS) ინჰიბირების ეფექტი ჰიპოქსია-იშემიით გამოწვეულ დაზიანებაზე ნეონატალური ვირთაგვების თავის ტვინში. გამოყენებულია ცნობილი ექსპერიმენტული მოდელი, რომელიც გულისხმობს ერთ-ერთი საძილე არტერიის გადაკვანძვას დაბადებიდან მე-7 დღეს და შემდეგ 2,5 საათიან ჰიპოქსიურ ზემოქმედებას 8% ჟანგბადისა და 92% აზოტის ნარევის სუნთქვით. დადგენილია, რომ NOS-ის ინჰიბირება ამინოგუანიდინის (300 მგ/კგ) ინტრაპერიტონეული შეყვანით, მნიშვნელოვნად ამცირებს თავის ტვინის ქსოვილის ისქემია-ჰიპოქსიურ დაზიანებას.

საკვანძო სიტყვები: ინდუცირებადი NOS, აზოტის ოქსიდი, ისქემია-ჰიპოქსია, თავის ტვინი, ვირთაგვა

აზოტის ოქსიდი და ამაგზნებელი ამინმჟავები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თავის ტვინის ისქემიური დაზიანების განვითარებაში. როგორც NOS-ს, ისე გლუტამატ რეცეპტორების ანტაგონისტები წარმოადგენენ ნეიროპროტექტორებს თავის ტვინის ისქემია-ჰიპოქსიით გამოწვეულ დაზიანების დროს. ამინოგუანიდინი ცნობილია, როგორც ინდუცირებადი NOS-ის ინჰიბიტორი, თუმცა იგი მეტ-ნაკლებად აინჰიბირებს NO-ს სხვა სინთაზებსაც. მისი ეფექტი თავის ტვინის ჰიპოქსია-ისქემიით გამოწვეულ დაზიანებაზე ნეონატალურ ვირთაგვებში საჭიროებს დამატებით კვლევას და ამდენად ჩვენ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად ამ საკითხის შესწავლა.

მასალა და მეთოდიკა

გამოყენებული იყო ნეონატალურ ვირთაგვებზე ჰიპოქსია-ისქემიის გამოწვევის ცნობილი ექსპერიმენტული მოდელი [2, 6]. დაბადებიდან მე-7 დღეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

12-17 გ მასის 30 ახალშობილ ვირთაგვას, ქლორალჰიდრატით ანესთეზიის შემდეგ, მარჯვენა საძილე არტერიაზე დავადეთ ლიგატურა. ამის შემდეგ ცხოველებს 2-3 საათით ვაბრუნებდით თავის ბუდეში. ჰიპოქსიურ ზემოქმედებას ვაწარმოებდით ცხოველთა 2 ლ მოცულობის პლექსიგლასის აირგამტარ ყუთში მოთავსებით. ყუთში, რომელიც თავსდებოდა 37°C-დე შემთბარ წყლის აბაზანაში, მიეწოდებოდა აირთა ტენიანი ნარევი. ნარევი შეიცავდა 8% ჟანგბადს და 92% აზოტს. ნარევი მიეწოდებოდა 2,5 საათის განმავლობაში, 1,1 ლ/წთ სიჩქარით. რანდომიზებულად შერჩეულ 10 ცხოველს (I ექსპერიმენტული ჯგუფი) სამი დღის განმავლობაში დღეში ერთხელ უკეთდებოდა 150 მგ/კგ ამინოგუანიდინი, გახსნილი 50 მკლ ფიზიოლოგიურ ხსნარში. დღეში ერთხელ სამი დღის განმავლობაში, ასევე რანდომიზებულად შერჩეულ ცხოველთა მეორე ჯგუფს (აქაც 10 ცხოველი) უკეთდებოდა იგივე ამინოგუანიდინის გაორმაგებული დოზა (300 მგ/კგ-ზე), ხოლო დარჩენილ 10 ცხოველს, ასეთივე სიხშირით და მოცულობით, უკეთდებოდა მხოლოდ ფიზიოლოგიური ხსნარი (საკონტროლო ჯგუფი). სამივე ჯგუფის ცხოველებში პირველ ინექციას ვაკეთებდით ჰიპოქსიური ზემოქმედების დასრულებიდან 5 წუთის შემდეგ.

ჰიპოქსიური ზემოქმედებიდან 22-ე დღეს ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფის ცხოველებს ნემბუტალის ღრმა ნარკოზის ქვეშ უკეთდებოდა დეკაპიტაცია. ნათხემისა და ტვინის ღეროს მოცილების შემდეგ, თავის ტვინს, ჰემისფეროების მიხედვით, ვყოფდით ორ ნაწილად. მარცხენა და მარჯვენა ჰემისფეროებს ცალ-ცალკე ვწონიდით პრეციზიულ სასწორზე. ცდის შედეგები გამოისახებოდა, როგორც მარჯვენა ჰემისფეროს წონის შემცირება მარცხენასთან შედარებით [(მარცხენა – მარჯვენა) / მარცხენა × 100] [2].

ჩვენს მიერ გამოყენებული ექსპერიმენტულ მოდელში ჰიპოქსიური ზემოქმედება ტვინის დაზიანებას იწვევს მხოლოდ გადაკვანძული საძილე არტერიის იპსილატერალურად [6]. ითვლება, რომ ჰიპოქსიური ზემოქმედებიდან 22-ე დღეს აღრიცხული ტვინის წონის შემცირება შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ტვინის დაზიანების ობიექტური ნიშანი, ვინაიდან საკმარისი დრო გადის, რათა მოხდეს ქსოვილის მკვდარი უბნების რეზორბცია [3]. ამასთან ერთად, ახალშობილი ვირთაგვის თავის ტვინი სწრაფად იზრდება, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო მკაფიოდ დავინახოთ მკვდარი ქსოვილის წვლილი ჰემისფეროთა მასის მატების სხვაობაში [2].

ყველა ექსპერიმენტული შედეგი გამოისახებოდა, როგორც საშუალო სიდიდეები ± საშუალოს სტანდარტული შეცდომა, ხოლო სხვაობათა სტატისტიკური მნიშვნელობა ჯგუფებს შორის ფასდებოდა სტიუდენტის t-ტესტით, ANOVA-ს გამოყენებით.

შედეგები და მათი განხილვა

პერინატალური ჰიპოქსია-ისქემიით გამოწვეული სიკვდილიანობის თვალთახედვით, საკონტროლო და ამინოგუანიდინით "ნამკურნალებ" ექსპერიმენტულ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არ აღი-

ნიშნა. კერძოდ, საკონტროლო ჯგუფში დაიღუპა 3 ცხოველი, 4 – პირველ ექსპერიმენტულ და 3 – მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფებში. ყოველი მათგანი მოკვდა პრაქტიკულად ჰიპოქსია-ისქემიური ზემოქმედების დასრულებისას, ხოლო დანარჩენი 22 დღის განმავლობაში ცხოველთა სიკვდილიანობას ადგილი არ ჰქონია. ყველა ჯგუფის გადარჩენილმა ცხოველმა ინტენსიურად მოიმატა წონა და ამ მხრივაც ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ აღინიშნებოდა. საკონტროლო, პირველ და მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფებში ცხოველთა წონის მატებამ 22 დღის განმავლობაში შესაბამისად შეადგინა: 12,1 ± 1,3; 14,3 ± 2,2 და 12,9 ± 3,2 გრამი.

მიღებულ შედეგებზე სისტემური ჰიპოთერმიის შესაძლო გავლენის შეფასების მიზნით, როგორც საკონტროლო, ისე ექსპერიმენტული ჯგუფების ცხოველებში 1,0 მმ დიამეტრის დრეკადი თერმოწყვილის მეშვეობით (VCI, USA), იზომებოდა რექტალური ტემპერატურა. გაზომვის დრო და მიღებული შედეგები მოყვანილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში ჰიპოქსიამდე და მის შემდეგ 24 საათის განმავლობაში გაზომილი რექტალური ტემპერატურა

ინექცია	რექტალური ტემპერატურის (°C) აღრიცხვის დრო					
	ჰიპოქსია-მდე	ჰიპოქსიის ბოლოს	ინექციიდან 5 წუთის შემდეგ	ინექციიდან 1 საათის შემდეგ	ინექციიდან 4 საათის შემდეგ	ინექციიდან 24 საათის შემდეგ
ფიზიოლოგიური ხსნარი	35,1 ± 1,2	36,8 ± 1,3	32,1 ± 3,5	35,2 ± 0,8	36,3 ± 1,0	35,8 ± 0,7
ამინოგუანიდინი (150 მგ/კგ)	34,9 ± 0,8	35,7 ± 2,3	33,9 ± 1,8	36,1 ± 0,9	36,5 ± 1,5	36,5 ± 1,1
ამინოგუანიდინი (300 მგ/კგ)	34,5 ± 1,8	36,2 ± 1,2	33,6 ± 2,9	35,4 ± 1,1	36,2 ± 0,8	36,6 ± 0,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, ამ შემთხვევაშიც ჯუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა არ აღინიშნება. ყველა ჯგუფში ადგილი აქვს ტემპერატურის პოსტჰიპოქსიურ დროებით ვარდნას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჰიპოქსიური ზემოქმედებიდან 22-ე დღეს ყველა ჯგუფის ცხოველს, ნემბუტალის მაღალი დოზით ევთანაზიის შემდეგ, ჩაუტარდა ჰემისფეროთა სეპარაცია და მათი მასის განსაზღვრა. მიღებული შედეგები და მათი სტატისტიკური ანალიზი მოყვანილია მე-2 ცხრილში.

როგორც მიღებული მონაცემები მოწმობს, მარცხენა ჰემისფეროს მასა (გადაკვანძული საერთო საძილე არტერიის კონტრალატერალური მხარე) საკონტროლო და ექსპერიმენტულ ცხოველებში სტატისტიკურად არ განსხვავდება. რაც შეეხება მარჯვენა ჰემისფეროს, მისი მასა, მარცხენასთან შედარებით საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში საშუალოდ 35,4%-ით

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შემცირებული, პირველ ექსპერიმენტულ ჯგუფში – 20%-ით და მეორე ექსპერიმენტულ ჯგუფში – 12%-ით (სურ. 1).

ცხრილი 2

საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფების ცხოველთა თავის ტვინის ჰემისფეროთა მასა (მგ) ჰიპოქსიური ზემოქმედებიდან 22-ე დღეს

ცხოველის №	საკონტროლო ჯგუფი (n = 7)			I ექსპერიმენტული ჯგუფი (n = 6)			II ექსპერიმენტული ჯგუფი (n = 7)		
	მარცხენა ჰემისფერო (მგ)	მარჯვენა ჰემისფერო (მგ)	სხვაობა (მგ)	მარცხენა ჰემისფერო (მგ)	მარჯვენა ჰემისფერო (მგ)	სხვაობა (მგ)	მარცხენა ჰემისფერო (მგ)	მარჯვენა ჰემისფერო (მგ)	სხვაობა (მგ)
1	468,2	300,1	168,1	488,2	398,0	90,2	477,6	422,0	55,6
2	470,3	298,8	171,5	490,1	391,2	98,9	482,4	426,9	58,5
3	469,8	310,0	159,8	479,4	385,8	93,6	473,3	416,5	56,8
4	460,3	294,1	166,2	472,8	373,3	99,5	469,8	409,9	59,9
5	482,2	303,6	178,6	469,9	373,5	96,4	480,2	419,5	60,7
6	476,1	311,2	164,9	471,2	374,1	97,1	478,6	424,3	54,3
7	473,3	312,8	1605	-	-	-	483,8	427,9	55,9
M ± m	471,4 ± 2,57	304,4 ± 2,69	167,0 ± 2,07	478,6 ± 3,6	38,.6 ± 2,57	9595 ± 1,43	477,9 ± 1,87	420,5 ± 2,39	57,4 ± 0,89
	P<0,01			P<0,01			P<0,01		



სურ. 1. მარჯვენა ჰემისფეროს მასის პროცენტული შემცირება (მარცხენასთან შედარებით) საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარებული კვლევა ნათლად მოწმობს, რომ ამინოგუანიდინის გამოყენება, ანუ ინდუცირებადი NOS-ის ინჰიბირება, მნიშვნელოვნად ამცირებს თავის ტვინის დაზიანებას, რომელიც, ჩვენს მიერ გამოყენებულ ექსპერიმენტულ მოდელში, როგორ წესი, გამოიწვევა გადაკვანძული საერთო საძილე არტერიის იპსილატერალურად. ანალოგიური შედეგები მიღებული იყო აგმატინის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ამინოგუანიდინის ბუნებრივ ანალოგს. იგი, არგინინ დეკარბოქსილაზას მეშვეობით, L-არგინინისგან ძირითადად ასტროციტებში სინთეზირდება [5]. ამგვარ კვლევაში, თავის ტვინის მორფოლოგიური ანალიზის ჩატარებამდე, ჩვეულებრივ, 72-საათიანი დაყოვნებით კმაყოფილდებიან. ჩვენ შემთხვევაში, ისევე, როგორც ზემოხსენებულ ნაშრომში, გამოვიყენეთ 22-დღიანი დაყოვნება რამაც საშუალება მოგვცა სრულად გაგვეთვალისწინებინა ნეირონებზე ჰიპოქსია-ისქემიის ზემოქმედების შესაძლო შორეული შედეგები [7]. ჩვენს მიერ გამოყენებული ორი დოზიდან უფრო ეფექტური აღმოჩნდა მაღალი (300 მგ/კგ) დოზა. ამინოგუანიდინის 150 მგ/კგ დოზამ შეამცირა მარჯვენა ჰემისფეროს დაზიანებული ქსოვილის მასა და დაიყვანა იგი (მარცხენა ჰემისფეროსთან შედარებიოთ) 33%-დან 20%-მდე, ხოლო გაორმაგებულმა დოზამ დაზიანება 12%-მდე დაიყვანა. ყველა აღნიშნულ შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნობა საკმაოდ მაღალია ($P < 0,01$).

NO ფერმენტულად L-არგინინისგან ფორმირდება NOS-ს მეშვეობით. NOS-ს გააჩნია სამი იზოფორმა. მათ შორის ინდუცირებადი NOS არ არის წარმოდგენილი ნორმალურ ქსოვილში და ტრავმისა და ანთების დროს ინდუცირდება ტრანსკრიპციულ დონეზე ასტროციტებში, მიკროგლიოციტებსა და ანთებად უჯრედებში. ენდოთელური NOS ექსპრესირებულია ენდოთელურ უჯრედებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვაზოდილატაციის საქმეში, ხოლო ნეირონული NOS კარგად არის წარმოდგენილი ნეირონებში და აქტიურდება უჯრედშიდა კალციუმის იონებით.

ჰიპოქსია-ისქემიის პირობებში NO-ს პროდუქცია მკვეთრად მატულობს ნეირონული და ენდოთელური NOS-ების გააქტივებით, ხოლო მოგვიანებით – ინდუცირებადი NOS-ის ჩართვით. ენდოთელური NOS-ის ინჰიბირება აუარესებს სიტუაციას თავის ტვინში, რადგან ამცირებს სისხლით მომარაგებას [4], ხოლო ნეირონული NOS-ის ინჰიბირება კი ამცირებს თავის ტვინის დაზიანებას [1]. როგორც ჩანს, ინდუცირებადი NOS-ის ფუნქციობის დათრგუნვა ამინოგუანიდინით მნიშვნელოვნად ამცირებს ჰიპოქსიით გამოწვეულ NO-ს ზეჭარბ პროდუქციას და, ამგვარად, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნეიროპროტექტორი პერინატალური ჰიპოქსიის პირობებში.

ლიტერატურა

1. *Escott J.K., Beech J.S., Haga K.K., Williams S., Meldrum B., Bath P.M.* J. Cereb. Blood Flow Metab., 1996, 18, 281-287.
2. *Feng Y., Piletz J.E., Leblanc M.H.* Pediatric Research, 2002, 52, 606-611.
3. *Hagberg H., Gilland E., Diemer N., Andine P.* Biol. Neonate, 1994, 66, 205-216.
4. *Huang Z., Huang P., Panahian N., Dalkara T., Fishman M., Moskowitz M.* Science, 1994, 265, 1883-1885.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. *Reis D.J., Regunathan S.* Trends Pharmacol. Sci., 2000, 21, 187-193).
6. *Rice J.E., Vannucci R.C., Towfighi J.* Ann Neurol., 1981, 9, 131-141.
7. *Trescher W., Ishiwa S., Jonhston M.* Brain Dev., 1997, 19, 326-338.

ВЛИЯНИЕ ИНГИБИРОВАНИЯ ИНДУЦИРУЕМОЙ NO-СИНТАЗЫ НА ГИПОКСИЧЕСКИ-ИШЕМИЧЕСКИЕ ПОВРЕЖДЕНИЯ ГОЛОВНОГО МОЗГА НЕОНАТАЛЬНЫХ КРЫС

М. Хурция, И. Павленишвили, И. Диасамидзе*, Г. Габричидзе, И. Зананян, Г. Бекая

Государственная медицинская Академия Грузии; * Батумский университет им. Ш. Руставели

РЕЗЮМЕ

Аминогуанидин известен как ингибитор индуцируемой NO-синтазы, хотя он в той или иной степени ингибирует и остальные NO-синтазы. Его эффект на гипоксически-ишемические повреждения в головном мозгу требует дополнительных исследований. Мы посчитали целесообразным изучить данный вопрос на неонатальных крысах.

Была использована хорошо известная экспериментальная модель, которая подразумевает перевязку одной из сонных артерий на седьмой день после рождения и затем проведение гипоксического воздействия дыханием смеси, содержащей 8% кислорода и 92% азота. На 22-ой день после гипоксического воздействия, под глубоким нембуталовым наркозом, контрольным и экспериментальным крысам делается декапитация. Эффект гипоксическо-ишемического воздействия оценивается сравнением массы левого и правого полушарий головного мозга.

Как показывают полученные данные, у контрольных животных масса полушария ипсилатерально перевязанной сонной артерии, на 22-ой день, примерно на 35% меньше массы контралатерального полушария, в то время как в экспериментальной группе, в которой животным интраперитонеально вводился 300 мг/кг аминогуанидин, разница в массах составляет в среднем лишь 12%. Видимо, ингибирование функционирования индуцируемой NO-синтазы уменьшает избыточную продукцию оксида азота, вызванную ишемией-гипоксией и, следовательно, выполняет нейропротекторную роль в условиях перинатальной гипоксии.

INFLUENCE OF INDUCUIBLE NO-SYNTHASE INHIBITION ON HYPOXIC-ISCHEMIC DAMAGE TO THE BRAIN OF THE NEONATAL RATS

M. Khurtsia, I. Pavlenishvili, I. Diasamidze*, G. Gabrichidze, I. Zananyan, G. Bekaya

Georgian State Medical Academy, Tbilisi; * Shota Roustaveli Batumi State University

SUMMARY

Aminoguanidyn is known as an inhibitor of inducible NO-synthase, although it inhibits also, more or less, the rest of NO-synthases. Its effect in hypoxic-ischemic damages in the brain require additional studies. Thus, we decided to study this problem in the neonatal rats.

The well-known experimental model has been used, which implies ligation of one of the carotid arteries on the seventh day postpartum and then influence of hypoxic gas mixture containing 8% oxygen and 92% nitrogen. On the 22nd day of hypoxic impact, the heads of experimental and control animals are severed under deep Nembutal anesthesia. Effect of hypoxic-ischemic influences are evaluated by weight comparison of the left and right hemispheres.

The results obtained in our experiments have shown that weight of the brain hemisphere of control animals, ipsilateral to the ligated artery, on 22nd day, is lower than the weight of the contralateral hemisphere, by about 35%, while in the experimental animals, in which 300 mg/kg of aminoguanidyn was administered intraperitoneally, difference in the hemisphere weights was about 12%. Obviously, inhibition of the inducible NO-synthase functioning decreases excessive production of NO, which occurs as a result of ischemia-hypoxia, and therefore plays a neuroprotective role in the perinatal hypoxia.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ. A, 2004, ტ. 30, № 6. ISSN-0321-1665
Известия АН Грузии, сер. биол. A, 2004, т. 30, № 6.
Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. A, 2004, vol. 30, No. 6.

მოზარდების მშობლებთან ურთიერთობების მედიკო-ფსიქოლოგიური ასპექტები

თ. ჯალიაშვილი, მ. გეგელაშვილი

საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემია, თბილისი

მიღებულია 26.10.2004

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა, მათი ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების დროულად აღმოჩენა და პრევენცია სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში. ზემოაღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სიყმაწვილის ასაკში გამოვლენილი ფსიქიკური და ქცევითი დარღვევები ხშირად ზრდასრულ პოპულაციაში ფსიქონევროლოგიური დარღვევებისა და ანტისოციალური ქცევის პრედიქტორია, რაც თავის მხრივ განაპირობებს როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკური ხასიათის პრობლემებს საზოგადოებაში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მოზარდთა ფსიქოსოციალური დევიაციების კვლევის შედეგების ნაწილი, კერძოდ – 12-18 წლის მოზარდთა მშობლებთან დამოკიდებულების ზოგიერთი თავისებურება.

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი ტესტ-ბატარეა: ფსიქო-სოციალური კითხვარი, რუბინშტეინის თვითშეფასების ტესტი, როკიჩის ღირებულებათა საკვლევი ტესტი და რეი-ტეილორის ნეირო-ფსიქოლოგიური ტესტი. მოზარდების მშობლებთან ურთიერთობების ზოგიერთი თავისებურება გაანალიზებულია ფსიქოსოციალური კითხვარის მონაცემებზე დაყრდნობით.

აღინიშნება მშობლებთან როგორც კარგი დამოკიდებულების, ასევე ურთიერთგაგების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, შემთხვევათა უმრავლესობაში ვლინდება მშობლის, როგორც რეფერენტული ჯგუფის მნიშვნელობა მოზარდისათვის.

რეკომენდებულია მშობლებთან სპეციალური საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალური ხელშეწყობის სამსახურების ამოქმედება და ბავშვზე და ოჯახზე გამიზნული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოსოციალური დევიაციები, მოზარდი, პუბერტატული ასაკი

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციული ღონისძიებების შემუშავებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ვინაიდან საქართველოში დღეს არ არსებობს მონაცემთა სრულყოფილი ბაზა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცესის წარმატებით განხორციელებას, აუცილებლად გვესახება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ბავშვებსა და მოზარდებში დევიანტური ქცევების გავრცელების, მათი თავისებურებების შესწავლის და შესაბამის, სტატისტიკურად სარწმუნო მონაცემებზე დაყრდნობით პრევენციული სტრუქტურების შექმნა, დანერგვა და ამოქმედება.

ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფებს შეადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სხვადასხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მყოფი, საქართველოში მცხოვრები 12-18 წლის მოზარდები.წინამდებარე ნაშრომში განხილულია მოზარდთა ფსიქოსოციალური დევიაციების კვლევის შედეგების ნაწილი. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ისეთ საკითხზე, როგორიცაა 12-18 წლის მოზარდების დამოკიდებულება მშობლებთან, ვინაიდან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ აღზრდა და მშობლებთან ურთიერთობა, მშობლის როლური აღქმა, დიდ გავლენას ახდენს მოზარდის ქცევაზე [1, 2, 4, 6, 7, 11, 14, 15, 17].

მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონურ დონეზე. კვლევისას ვითვალისწინებდით მოზარდთა სოციალურ, ეკონომიკურ, მორალურ, ეთნიკურ და კულტურულ თავისებურებებს. მოცული იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონი (შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, აჭარა, სამეგრელო, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი), რათა მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა საქართველოს მთელი ტერიტორია მისი ეთნიკური სიჭრელის გათვალისწინებით (გორი და სამაჩაბლო – ოსები, გარდაბანი – აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობა), ხოლო თბილისის მასშტაბით შევეცადეთ ისეთნაირად დაგვეგეგმა ჩვენი კვლევა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო როგორც ეთნიკური (ქართული, სომხური, რუსული), ასევე სოციალური დიფერენცირება ("ელიტური" და დაბალი სოციალური უზრუნველყოფის დასახლებების სკოლები). სულ, შემთხვევითი შერჩევით, გამოიკითხა 1520 მოზარდი.

ცხრილი 1

მოზარდთა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

სქესი	მამრობითი	მდედრობითი	სულ
რაოდენობა	653 (43%)	867 (57%)	1,520 (100%)
ასაკი (12-14)	199 (42%)	272 (58%)	471(31%)
ასაკი (15-16)	333 (43%)	439 (57%)	772 (51%)
ასაკი (17-18)	121 (44%)	156 (56%)	277 (18%)

მოზარდების მშობლებთან დამოკიდებულების შესწავლა მოხდა ფსიქოსოციალურ კითხვარზე დაყრდნობით, რომელიც მრავალ სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაცემებთან ერთად, ითვალისწინებდა მოზარდის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე ინფორმაციას მოზარდის დამოკიდებულებაზე საკუთარ თავთან, თანატოლებთან, ოჯახთან და მეგობრებთან.

შედეგები და მათი განხილვა

იმ პასუხების შეფასებით, რომლებიც შეეხებოდა მოზარდისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულებას, გამოვლინდა რიგი კორელიაციებისა, რომლებიც წარმოდგენილია გრაფიკული სურათების (1, 2, 3) სახით.

როგორც სურათიდან ჩანს, 1429 გამოკითხული, ანუ გამოკითხულთა 94,93%, აღნიშნავს, რომ კარგი დამოკიდებულება აქვს დედასთან, ხოლო 1261 (83,22%) მოზარდი აღნიშნავს რომ აქვს კარგი დამოკიდებულება მამასთან. 153 გამოკითხული, ანუ გამოკითხულთა 10,13%, აღნიშნავს რომ აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება მამასთან, ხოლო 59, ანუ 3,85%, მიუთითებს ნეიტრალურ დამოკიდებულებაზე დედასთან და მხოლოდ 18, ანუ გამოკითხულდა 1,18%, მიუთითებს ცუდ დამოკიდებულებაზე მამასთან. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია დედის შემთხვევაში და აღინიშნება მხოლოდ 3 შემთხვევაში, ანუ რესპოდენტთა 0,2%-ში (სურ. 1).



სურ. 1. მოზარდის დამოკიდებულება მშობლებთან.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ მშობლებთან დაკავშირებით კითხვარში მოტანილ დებულებას, სახელდობრ კი დებულებას – "მე და დედა კარგად ვუგებთ ერთმანეთს", ეთანხმება 1344 (88,42%) მოზარდი და დებულებას – "მე და მამა კარგად ვუგებთ ერთმანეთს" ეთანხმება 1047 (68,88%) მოზარდი (სურ. 2).

მესამე სურათზე მოყვანილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე კი ვლინდება მშობლის, როგორც რეფერენტული ჯგუფის მნიშვნელობა მოზარდისათვის. როგორც სურათიდან (სურ. 3) ჩანს, 543 მოზარდი, ანუ გამოკითხულთა 35,7%, სწორედ მშობელს თვლის ცხოვრებაში ყველაზე მისაბაძ ადამიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 2. მოზარდის დამოკიდებულება მშობლებთან (გაგრძელება).



სურ. 3. მოზარდისთვის მისაბაძ ადამიანთა კატეგორიები.

ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ აღინიშნება მშობლებთან როგორც კარგი დამოკიდებულების, ასევე ურთიერთგაგების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. მნიშვნელოვნად გვესახება, აგრეთვე, ის გარემოებაც, რომ მოზარდებს უმეტეს შემთხვევაში სურთ მიბაძონ მშობელს, ამდენად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მშობელი გარკვეულწილად წარმოადგენს რეფერენტულ ჯგუფს მოზარდისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გათვალისწინებით, რომ პუბერტატული ასაკი თავისი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური სპეციფიკური თავისებურებებით და კრიტიკული, ქცევის მოშლის აღმოცენებისა და სხვა ფსიქიკური გამოვლინებების თვალსაზრისით, ხასიათდება ისეთი რეაქციებით, რომლებშიც დომინირებს ემანსიპაციის, ოპოზიციის და პროტესტის რეაქციები [3], მიღებული მონაცემები რამდენადმე მოულოდნელი და საინტერესო აღმოჩნდა, ვინაიდან გამოვლინდა ის გარემოება, რომ მოზარდებისათვის რეფერენტულ ჯგუფს სწორედ მშობელი წარმოადგენს. უფრო ღრმა ანალიზისათვის იგეგმება გამოკითხვის შედეგების დეტალური მულტიფაქტორული ანალიზი პუბერტატის პერიოდიზაციის, სქესის და ასევე სოციალურ-ეკონომიური ფაქტორების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ზუსტი კორელაციური კავშირურთიერთობები. ამ ეტაპზე მიღებული მონაცემები ნათლად ავლენს მოზარდისათვის მშობლის, როგორც რეფერენტული ჯგუფის მნიშვნელობას.

მოზარდების დიდი უმრავლესობისათვის რეფერენტულ ჯგუფს მშობელი წარმოადგენს. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოზარდის ფსიქიკური აბერაციის პირველადი ფსიქოპრევენციული ღონისძიებების ერთ-ერთი სამიზნე მშობელია. აქედან გამოდინარე, მათთვის სპეციალური საგანმანათლებლო და ფსიქოსოციალური ხელშეწყობის სამსახურების ამოქმედება და ბავშვზე და ოჯახზე გამიზნული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

შენიშვნა

შრომა შესრულებულია GIP-ის (ჟენევის ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი) ფინანსური დახმარებით.

ლიტერატურა

1. *Вроно Е.М.* Семейная психология и семейная терапия. 1998, 4, 26-30.
2. *Гурьева В.А., Вострокнутова Н.В.* В кн.: Очерки социальной психиатрии (Под ред. Дмитриева), Москва, 1998.
3. *Личко А.Е.* Подростковая психиатрия. Ленинград, 1985.
4. *Сухарева Т.Е.* Лекции по психиатрии детского возраста. Избранные главы. Москва, Медицина, 1974.
5. *Cohen P., Flory M.* In: DSM-IV Sourcebook, Vol. 4 (T.Widiger, Ed). Washington, DC: American Psychiatric Association, 1998, 455-463.
6. *Frick P.J., Lahey B.B., Loeber R., Stouthamer-Loeber M., Christ M.A.G., Hanson K.J.* Consult. Clin. Psychol., 1992, 60, 49-55.
7. *Haapasalo J., Tremblay R.E.* J. Consult. Clin. Psychol., 1994, 62, 1044-1052.
8. *Kelley B.T., Loeber R., Keenan K., DeLamatre M.* In: Developmental Pathways in Boys' Disruptive and Delinquent Behavior. 1997, Washington, DC: Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention, US Department of Justice
9. *Lahey B.B., Loeber R., Quay H.C., Frick P.J., Grimm J.* In: DSM-IV Sourcebook, vol. 3 (T.A. Widiger, A.J. Frances, H.A. Pincus, R. Ross, M.B. First, W. Davis, Eds.). Washington, DC: American Psychiatric Association, 1997, 189-209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. *Loeber R., Burke J.D., Lahey B.B., Winters A., Zera M.* Am. Acad. Child. Adolesc. Psychiatry, 2000, 39, 1468-1484.
11. *McCord J.* Psychiatry, 1991, 54, 227-237.
12. *McLoyd V.C.* Am Psychol., 1998, 53, 185-204.
13. *Offord D., Bennett K..* J. Am. Acad. Child. Adolesc. Psychiatry, 1994, 33, 1069-1078.
14. *Robins L.N.* Deviant Children Grown Up: A Sociological and Psychiatric Study of Sociopathic Personality. 1966, Baltimore, Williams & Wilkins.
15. *Stormshak E.A., Bierman K.L., McMahon R.J., Lengua L.J.* J. Clin. Child Psychol., 2000, 29, 17-29.
16. *Webster-Stratton C., Dahl, R.W.* In: Advanced Abnormal Child Psychology (M. Hersen, R.T.Ammerman, Eds.), 1995, Hillsdale, NJ, Lawrence Erlbaum Associates.
17. *World Health Organization.* 2002, Global Action Program MhGAP.
18. *Wootton J.M., Frick P.J., Shelton K.K., Silverthorn P.* J. Consult. Clin. Psychol., 1997, 65, 301-308.

МЕДИКО-ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ВЗАИМООТНОШЕНИЙ ПОДРОСТКОВ С РОДИТЕЛЯМИ

Т. Джалиашвили, М. Гегелашвили

Грузинская государственная медицинская Академия, Тбилиси

РЕЗЮМЕ

Забота о детско-подростковом психическом здоровьи, раннее выявление и превенция психических и поведенческих отклонений преобретает все большее значение во всем мире. Особенно это актуально в развивающихся странах. Вышесказанное обусловленно тем, что выявленные в раннем возрасте психические и поведенческие расстройства часто являются предикторами психоневрологических отклонений и антисоциального поведения, что, со своей стороны, обусловливает проблемы для всего общества как социального, так и экономического характера.

В статье приведена часть результатов исследования психосоциальных отклонений подростков, которое проводилось по всей Грузии.

В процессе иследования была использована следующая тест-батарея: Специальный психосоциальный опросник, тест самооценки Рубинштейна, тест исследования ценностей Рокича и нейропсихологический тест Рей-Тейлора.

Некоторые особенности взаимоотношений подростков с родителями были проанализированы на основе данных психосоциального опросника.

Отмечается статистически высокий показатель как хорощих отношении, так и хорошего взаимопонимания подростков и родителей. Отмечяется, также, что в большинстве случаев родители являются референтной группой для подростков.

Рекомендуется использование специальных образовательных и психосоциальных служб и программ, ориентированных на семью и родителей.

ეროვნული ბიბლიოთეკა

MEDICAL-PSYCHOLOGICAL ASPECTS OF RELATIONSHIP BETWEEN ADOLESCENTS AND PARENTS

T. Jaliashvili, M. Gegelashvili

Georgian State Medical Academy, Tbilisi

SUMMARY

Children- and adolescents' mental health has moved in the frontline worldwide, especially in developing countries, in terms of prevention and early detection of mental and behavioral disorders. In most cases mental and behavioral disorders at early stages of life are the predictors for antisocial and psychosocial disorders in adulthood; the latter multiplies the problems of social, as well as economic character.

The present article presents a part of research on adolescent's psychosocial deviation, particularly some peculiarities of relationships between 12-18 years old adolescents and parents.

The tests, which were implemented in the study are: Psychosocial Questionnaire, Rubinstein Self-Evaluation, Rockiech Value Test, and Rey-Tailor Neuropsychological Test (RCFT). Some peculiarities of relationship between adolescents and parents were analyzed according to the results of psychosocial questionnaire.

